



მედია დისკურსის კონტრასტული ანალიზი (ბრიტანული და ქართული პრესის ახალი
ამბების მიხედვით)

ავტორი:

მედეა სვანი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

პროფესორი

ელენე აბაშიძე

თბილისი

2017

მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება პრაგმატიკული მარკერების ანალოგიზაცია-კონტრასტირების პრობლემას თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების მედიადისკურსის ფარგლებში.

კვლევის საგანს წარმოადგენს მედიადისკურსისათვის რელევანტური წერილობითი ტექსტის სტილის თავისებურებები თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში. თანამედროვე საკომუნიკაციო (საინფორმაციო) სივრცის ღიაობის ერთ-ერთ მანიფესტაციას წარმოადგენს საინფორმაციო ფორმატის მეტ-ნაკლები უნივერსალურობა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სხვადასხვა ენაში აღნიშნული ფორმატის „სტაბილურობას“. თუმცა საინფორმაციო სივრცის ტრანსპონირებულობა ვერ აქრობს მის ინვარიანტულობას, რომელიც განსაზღვრულია ყოველი ერის ლინგვოკულტუროლოგიური სივრცის სპეციფიკით.

სადისერტაციო თემის აქტუალურობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორით: მიუხედავად იმისა, რომ დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომთა რაოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავია, ახალი ამბების ტექსტის ლინგვო-სტილისტური ფენომენი არ არის სრულყოფილად შესწავლილი, კერძოდ, აღნიშნული ფენომენი ჯერ არ ქცეულა ინტერდისციპლინური კვლევის საგნად კონტრასტივისტიკის ჭრილში.

ნაშრომის მიზანია თანამედროვე ინგლისური და ქართული ლინგვოკულტურული სივრცის დესკრიფცია მედიადისკურსის მარკერების იდენტიფიცირებისა და კლასიფიკაციების გზით. დასახული მიზნის დეტალიზირებული ვერსია შემდგენიარად ქდერს - ნაშრომის მიზანია:

ა) ქართულ-ბრიტანული პრესის ახალი ამბების პრაგმატიკული მარკერების არსის განსაზღვრა, მარკერთა ფუნქციურ-სემანტიკური ტიპოლოგიზაცია, პრესის ჟანრობრივ და ლინგვისტურ მახასიათებელთა იდენტიფიცირება;

ბ) ენათა მსგავსება-განსახვავებულობით დეტერმინირებული უნივერსალიებისა და უნიკალიების გამოვლენა, ასევე საკვლევ ენებში მედიადისკურსის პრაგმატიკული მარკერების ფუნქციონირების პრინციპების მსგავსება-განსახვავებულობის დადგენა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივად არის გადაჭრილი შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. შედგენილია წერილობით ტექსტთა კორპუსი;

2. შესწავლილია პრაგმატიკულ მარკერთა ტიპების თავისებურება;
3. გაანალიზებულია მარკერთა ფუნქციონირების სპეციფიკა საკვლევ ენებში;
4. განზოგადებულია კვლევის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეს განსაზღვრავს ანალოგიზაცია-კონტრასტირების მეშვეობით გამოვლინილი ინგლისურ და ქართულენოვანი მედიადისკურსისათვის რელევანტური პრაგმატიკული მარკერების ფუნქციონირების სივრცეში არსებული იზომორფიზმისა და ალომორფიზმის იდენტიფიცირება.

ნაშრომის სტრუქტურასა და მოცულობას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე აწყობილ 130 გვერდს, შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის, ლექსიკონებისა და გამოყენებული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების (საანალიზო კორპუსი) სია.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, ხაზგასმულია კვლევის მეცნიერული სიახლე და აქტუალობა, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ასევე, განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი და ანალიზის კონკრეტული მეთოდები.

პირველ თავში - „მედია - დისკურსის შესწავლის თეორიული წინაპირობა“ - განისაზღვრება დისკურსი ცნება და სტრუქტურა, პრესის დისკურსი, საგაზეთო რეპორტაჟის ლინგვო სტილისტური ანალიზი.

მეორე თავი - „მედია - დისკურსის შესწავლის თეორიული საფუძვლები და საუბრის ფაზების სტრუქტურული და სტილისტური ანალიზი ბრიტანულ და ქართულ ენებში“ - ეძღვნება მედია - დისკურსის შესწავლის თეორიული საფუძვლების კვლევას და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა სტილის ცნება, დისკურსის ანალიზის არსი, სტრუქტურულ-სტილისტური აღწერა შეპირისპირებით პლანში, ახალი ამბების შესწავლა, პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი ფუნქციობა ასევე მედია - დისკურსის მონაცვლეობის სტილის ფორმები, ბრიტანულ და ქართულ გაზეთებში გამოყენებული სემიოტიკური ნიშნების შედარება-ერთობლიობა.

მესამე თავი განიხილავს მედია - დისკურსის ტექსტის სტილის კონტრასტულ ანალიზს ბრიტანულ და ქართულ ენებში, კერძოდ, მის ლინგვოსტილისტურ თავისებურებებს, სტილისტურ მახასიათებლებს, როგორც ლინგვოკულტურულ ფენომენს.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის შემაჯამებელი განზოგადებები, რომლებიც ადასტურებენ კვლევის მიმართულების, მისი პრობლემატიკისა და არჩეული მეთოდოლოგიის მართებულობას.

სარჩევი

შესავალი-----	6
თავი 1.	
„მედია - დისკურსის შესწავლის თეორიული წინაპირობა“	
1.1 დისკურსის ცნება და სტრუქტურა-----	9
1.2. პრესის დისკურსი-----	14
1.3 საგაზეთო რეპორტაჟის ლინგვო-სტილისტური ანალიზი-----	18
თავი 2. „მედია - დისკურსის შესწავლის თეორიული საფუძვლები და საუბრის ფაზების სტრუქტურული და სტილისტური ანალიზი ბრიტანულ და ქართულ ენებში.	
2.1 დისკურსის ანალიზი-----	27
2.2 პრაგმატიკული მარკერების ფუნქცია-----	33
2.3 ახალი ამბების შესწავლა-----	42
2.4 ახალი ამბების დისკურსის შედარებითი ანალიზი ქართულ და ბრიტანულ გაზეთებში გამოყენებული სემიოტიკური ნიშნების მაგალითზე-----	53
თავი 3	
„მედია - დისკურსის ტექსტის სტილის კონტრასტული ანალიზი ბრიტანულ და ქართულ ენებში	
3.1 „მედია - დისკურსის ჟანრის ლინგვოსტილისტური თავისებურებები ბრიტანულ და ქართულ ენებში -----	69
3.2. რიტორიკული ანალიზის საფუძვლები-----	82
3.3 რიტორიკული ფიგურების გამოყენების სიხშირის ცხრილები ქართულ და ბრიტანულ პრესაში -----	94
3.4 ბრიტანული და ქართული ემპირიული მასალა ---	100
დასკვნა -----	115
გამოყენებული ლიტერატურა-----	117
დანართი-----	126

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი N 1-----	70
ცხრილი N 2-----	71
ცხრილი N 3-----	71
ცხრილი N 4-----	71
ცხრილი N 5-----	94
ცხრილი N 6-----	95
ცხრილი N 7-----	96
ცხრილი N 8-----	97
ცხრილი N 9-----	98
ცხრილი N 10-----	99

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ემდგნება პრაგმატიკული მარკერების ანალოგიზაცია-კონტრასტირების პრობლემას თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების მედიადისკურსის ფარგლებში.

კვლევის საგანს წარმოადგენს მედიადისკურსისათვის რელევანტური წერილობითი ტექსტის სტილის თავისებურებები თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში. თანამედროვე საკომუნიკაციო (საინფორმაციო) სივრცის ღიაობის ერთ-ერთ მანიფესტაციას წარმოადგენს საინფორმაციო ფორმატის მეტ-ნაკლები უნივერსალურობა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სხვადასხვა ენაში აღნიშნული ფორმატის „სტაბილურობას“. თუმცა საინფორმაციო სივრცის ტრანსპონირებულობა ვერ აქრობს მის ინვარიანტულობას, რომელიც განსაზღვრულია ყოველი ერის ლინგვოკულტუროლოგიური სივრცის სპეციფიკით.

სადისერტაციო თემის აქტუალურობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორით:

მიუხედავად იმისა, რომ დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომთა რაოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავია, ახალი ამბების ტექსტის ლინგვო-სტილისტური ფენომენი არ არის სრულყოფილად შესწავლილი, კერძოდ, აღნიშნული ფენომენი ჯერ არ ქცეულა ინტერდისციპლინური კვლევის საგნად კონტრასტივისტიკის ჭრილში.

ნაშრომის მიზანია თანამედროვე ინგლისური და ქართული ლინგვოკულტურული სივრცის დესკრიფცია მედიადისკურსის მარკერების იდენტიფიცირებისა და კლასიფიკაცირების გზით. დასახული მიზნის დეტალიზირებული ვერსია შემდგენიარად ქდერს - ნაშრომის მიზანია:

ა) ქართულ-ბრიტანული პრესის ახალი ამბების პრაგმატიკული მარკერების არსის განსაზღვრა, მარკერთა ფუნქციურ-სემანტიკური ტიპოლოგიზაცია, პრესის ჟანრობრივ და ლინგვისტურ მახასიათებელთა იდენტიფიცირება;

ბ) ენათა მსგავსება-განსახვავებულობით დეტერმინირებული უნივერსალიებისა და უნიკალიების გამოვლენა, ასევე საკვლევ ენებში მედიადისკურსის პრაგმატიკული მარკერების ფუნქციონირების პრინციპების მსგავსება-განსახვავებულობის დადგენა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივად არის გადაჭრილი შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. შედგენილია წერილობით ტექსტთა კორპუსი;

2. შესწავლილია პრაგმატიკულ მარკერთა ტიპების თავისებურება;
3. გაანალიზებულია მარკერთა ფუნქციონირების სპეციფიკა საკვლევ ენებში;
4. განზოგადებულია კვლევის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები.

საკვლევ მასალად გამოყენებულია ქართული და ინგლისური ბეჭდური მედიის ტესტთა კორპუსი. აღნიშნული კორპუსის ქართულენოვანი სეგმენტი მოიცავს პოლიტიკური შინაარსის ახალ ამბებს, რომლებიც შერჩეულია გაზეთებიდან: „კვირის პალიტრა“, „ქრონიკა“, „ასავალ-დასავალი“ და საინფორმაციო სააგენტოდან „ინტერპრესნიუსი“. ინგლისურენოვანი სეგმენტის მასალა კი მოპოვებულია შემდეგი ინტერნეტ-საიტებიდან და გაზეთებიდან: “Daily Mirror”, “Daily Star”, “Sun”, “Daily Express”, “Daily Mail”, “Financial Times”, “Daily Telegraph”, “Independent”, “Times”, “News of the World”, “Sunday Express”, “Sunday Mirror”, “Mail on Sunday”, “People”, “Sunday Telegraph”, “Guardian”, “Observer”, “Sunday Business”, “Independent on Sunday”, “Sunday Times”. www.guardian.co.uk, www.independent.co.uk

ნაშრომის მეცნიერული სიახლეს განსაზღვრავს ანალოგიზაცია-კონტრასტირების მეშვეობით გამოვლინილი ინგლისურ და ქართულენოვანი მედიადისკურსისათვის რელევანტური პრაგმატიკული მარკერების ფუნქციონირების სივრცეში არსებული იზომორფიზმისა და ალომორფიზმის იდენტიფიცირება.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას განაპირობებს კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველის ინტერდისციპლინარულობა, რომელიც გულისხმობს კვლევის შედეგთა როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ ანალიზს. აღნიშნული სინთეზი სრულად შეესაბამება საკვლევ ფენომენის ბუნებას - მის მარავალგანზომილებიანობას.

ნაშრომი წარმოადგენს მედიადისკურსისათვის რელევანტური პრაგმატიკული მარკერების კვლევის პრინციპთა დეტალიზაციის მცდელობას კონტრასტივიკის ჭრილში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება შემდეგში მდგომარეობს: კვლევის შედეგები ვალიდურია შეპირისპირებითი ლინგვისტიკის, ლინგვოპრაგმატიკის, კომუნიკაციური ლინგვისტიკის, პრესისა და ტექსტის ანალიზის თეორიული და პრაქტიკული კურსებისათვის.

კვლევის შედეგები დიდ დახმარებას გაუწევს ენის შემსწავლელებს ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესებაში.

ნაშრომის სტრუქტურასა და მოცულობას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე აწყობილ 135 გვერდს, შედგება შესავლის,

სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის, ლექსიკონებისა და გამოყენებული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების (საანალიზო კორპუსი) სია.

აღნიშნულ თემასთან დკავშირებული და მსგავსი პრობლემები გამოქვეყნდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალ „Scripta manent“-ში 2014-2015 წლების ნომრებში. კერძოდ ეს გახლდათ სტატიები სათაურით „სამეტყველო მაქსიმების რღვევა ქართულ და ინგლისურ ენებში“ და „მედია-დისკურსის თავისებურება“.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, ხაზგასმულია კვლევის მეცნიერული სიახლე და აქტუალურობა, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ასევე, განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი და ანალიზის კონკრეტული მეთოდები.

პირველ თავში - „მედია - დისკურსის შესწავლის თეორიული წინაპირობა“ - განისაზღვრება დისკურსი ცნება და სტრუქტურა, პრესის დისკურსი, საგაზეთო რეპორტაჟის ლინგვო სტილისტური ანალიზი.

მეორე თავი - „მედია - დისკურსის შესწავლის თეორიული საფუძვლები და საუბრის ფაზების სტრუქტურული და სტილისტური ანალიზი ბრიტანულ და ქართულ ენებში“- ეძღვნება მედია - დისკურსის შესწავლის თეორიული საფუძვლების კვლევას და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა სტილის ცნება, დისკურსის ანალიზის არსი, სტრუქტურულ-სტილისტური აღწერა შეპირისპირებით პლანში, ახალი ამბების შესწავლა, პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი ფუნქციობა ასევე მედია - დისკურსის მონაცვლეობის სტილის ფორმები, ბრიტანულ და ქართულ გაზეთებში გამოყენებული სემიოტიკური ნიშნების შედარება-ერთობლიობა.

მესამე თავი განიხილავს მედია - დისკურსის ტექსტის სტილის კონტრასტულ ანალიზს ბრიტანულ და ქართულ ენებში, კერძოდ, მის ლინგვოსტილისტურ თავისებურებებს, სტილისტურ მახასიათებლებს, როგორც ლინგვოკულტურულ ფენომენს.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის შემაჯამებელი განზოგადებები, რომლებიც ადასტურებენ კვლევის მიმართულების, მისი პრობლემატიკისა და არჩეული მეთოდოლოგიის მართებულობას.

თავი 1 „მედია - დისკურსის შესწავლის თეორიული წინაპირობა“

1.1. დისკურსის ცნება და სტრუქტურა

დისკურსის შესწავლას ცენტრალური ადგილი უჭირავს თანამედროვე ენათმეცნიერებაში. აღნიშნული ცნების ფიქსირებული დეფინიცია არ არსებობს. აქედან გამომდინარე აუცილებელია მისი განმარტება ჩვენი ნაშრომის ფარგლებში. ამისათვის ჯერ უნდა განვიხილოთ და ერთმანეთს შევადაროთ დისკურსის შესახებ არსებული ძირითადი კონცეფციები, შემდგომ კი ავირჩიოთ მათგან ჩვენი მიზნისთვის მეტყველების ენობრივი მახასიათებლების შესწავლისთვის ყველაზე მისადაგებული.

დისკურსი ინტერდისციპლინარული შესწავლის საგანია. თეორიული ლინგვისტიკის გარდა დისკურსის კვლევასთან დაკავშირებულია ისეთი მეცნიერებები და სამეცნიერო მიმართულებები, როგორც კომპიუტერული ლინგვისტიკა, ხელოვნური ინტელექტი, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, სოციოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, თეოლოგია. თუმცა აღნიშნული ტერმინის გამოყენება პირველად სწორედ ენათმეცნიერებმა დაიწყეს. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ემილ ბენვენისტიამ გამონათქვამის თეორიის შექმნაზე მუშაობისას დაიწყო ფრანგული ენათმეცნიერებისთვის ტრადიციული ტერმინი ”დისკურსის” ახალი მნიშვნელობით ხმარება. ბენვენისტისთვის დისკურსი იყო მოსაუბრისათვის სპეციფიური მეტყველების ანუ მოსაუბრესა და გამონათქვამს შორის ურთიერთკავშირის მახასიათებელი (Бенвенист/ბენვენისტი, 2002).

1952 წელს ზელინგ ჰარისმა გამოაქვეყნა სტატია ”დისკურსის ანალიზი” (Harris/ჰარისი, 1952), რომელიც ეხებოდა ზეფრაზული ერთეულების მიმართ გამოყენებულ დისტრიბუციის მეთოდს. ამგვარად ჩამოყალიბდა დისკურსის სხვადასხვაგვარი გაგების ტრადიცია: ბენვენისტი დისკურსს მიიჩნევდა გამონათქვამში მოსაუბრის პოზიციის ექსპლიციურებად, ჰარისთან კი ანალიზის ობიექტი გახდა გამონათქვამთა თანმიმდევრობა, ტექსტის ნაწყვეტი, რომელიც წინადადებაზე მაღლა დგას. ტერმინის პირველადმა მრავალმნიშვნელობიანობამ განაპირობა მისი სემანტიკის შემდგომი გაფართოება. 60-იან წლებში მიშელ ფუკომ ბენვენისტის იდეების საფუძველზე ჩამოაყალიბა დისკურსის ანალიზის საკუთარი ხედვა. მისი აზრით, მთავარია მოსაუბრის პოზიციის დადგენა არა გამონათქვამის მიმართ, არამედ სხვა სუბიექტისა და გამოხატული იდეოლოგიის მიმართ (Фуко/ფუკო, 1997). ამდენად, დისკურსი პირველ რიგში წარმოადგენს განსაზღვრული სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფისა თუ ეპოქისთვის დამახასიათებელი გამონათქვამის ტიპს (მაგ. რევოლუციური დისკურსი).

ტიენ ვან დეიკი დისკურსს განიხილავს საკომუნიკაციო ქმედების წერით ან ზეპირ ვერბალურ პროდუქტად (Van Дейк/ვან დეიკი, 1989). ამ მხრივ იგი გარკვეულწილად ჰარისის მიმდევრად გვევლინება. ამგვარად, თანდათანობით დისკურსი გაიგება როგორც თავად საკომუნიკაციო პრაქტიკა _ პროცესი და არა როგორც მისი პროდუქტი ან შედეგი. კომუნიკაციის პროდუქტს კი სულ უფრო ხშირად მოიხსენიებენ ტექსტის სახელწოდებით (Милевская/მელევსკაია, 2002).

ტერმინი "დისკურსი" აზრობრივად ახლოს დგას "ტექსტთან", თუმცა მისგან განსხვავებით ხაზს უსვამს ენობრივი ურთიერთობის დინამიურ ხასიათს. ამის საპირისპიროდ, ტექსტი ძირითადად მიიჩნევა სტატიკურ ობიექტად, ენობრივი ქმედების შედეგად. ზოგჯერ დისკურსი გაგებულია, როგორც ერთდოულად ორი კომპონენტის მომცველი: სოციალურ კონტექსტში არსებული ენობრივი ქმედების დინამიური პროცესი და მისი შედეგი (ანუ ტექსტი) (Fairclough/ფეიკლაფი, 1992; Boswood/ბოსვუდი, 2002).

დისკურსის ამგვარი სინთეზური გაგება გვეჩვენება ყველაზე პროდუქტიულად, რამდენადაც შესწავლის დროს დიალექტური მიდგომის გამოყენების საშუალებას იძლევა. ჩვენს შემთხვევაში კვლევის საგანს წარმოადგენს ენობრივი ქმედების პროდუქტი (მოკლე ტექსტური შეტყობინებები), მაგრამ თავად კვლევა წარმოუდგენელია ამგვარი ენობრივი ქმედების (შეტყობინებათა წარმოებისა და ინტერპრეტაციის) პროცესის სპეციფიურობის გათვალისწინების გარეშე.

შეიძლება აღინიშნოს, რომ დისკურსი არის ტექსტი, როგორც ქმედება. ამგვარად ტექსტი გვევლინება დისკურსის შუალედურ სტადიად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტექსტი დისკურსის, როგორც პროცესის, შედეგია (Милевская/მელევსკაია, 2002). დისკურსი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დინამიკაა, ტექსტი კი სტატიკურია. ტექსტი, როგორც სტატიკური ფორმა, გალპერინთან ასოცირებულია წერილობით მეტყველებასთან: "ტექსტი არის შედეგი დასრულებული სახის სამეტყველო პროცესისა, რომელიც ობიექტივიზირებულია წერილობითი დოკუმენტის სახით და ლიტერატურულად არის დამუშავებული აღნიშნული დოკუმენტის ტიპის შესაბამისად, როგორც გარკვეული მიზნისა და პრაგმატული მიმართულების მქონე ნაწარმოები, რომელიც შედგება სათაურისგან და სხვადასხვა ტიპის ლექსიკური, გრამატიკული, ლოგიკური, სტილისტური კავშირებით გაერთიანებული განსაკუთრებული ერთეულებისგან (ზეფრაზული ერთეულები)" (Галперин/გალპერინი, 1981). ამგვარი განმარტება ზედმეტად ვიწრო გვეჩვენება მოკლე ტექსტური დისკურსის კვლევისთვის, თუმცა აღნიშნული დეფინიციიდან ავიღებთ მთავარს _ ტექსტი არის სტატიკური და დასრულებული. ჩვენი

კვლევის საგანი დიალექტურად მოიცავს თავის თავში დასრულებულობას, ანუ წერილობით დაფიქსირებულობას და დინამიურობას, პროცესუალობას, შეტყობინებების გაცვლა-გამოცვლის საკომუნიკაციო მიზანმიმართულობას სმს მიმოწერის ფარგლებში.

ტექსტისა და დისკურსის ურთიერთგამიჯვნის შესახებ სხვა მრავალი მოსაზრებაც არსებობს, ამ მხრივ ტერმინოლოგიური აპარატი საკმაოდ არასტაბილურია. მაგალითად, ბახტინი თვლის, რომ ფართო გაგებით ტექსტი არის ურთიერთკავშირში მყოფ ნიშანთა ნებისმიერი ერთობლიობა (Бахтин/ბახტინი, 1979). ვიწრო გაგებით კი (რასაც ჩვენც ვიყენებთ) ტექსტი არის ენობრივი ფორმების დასრულებული და დაფიქსირებული თანმიმდევრობა, რომელიც წერითი გამოხატვისკენ არის მიმართული.

დისკურსის გაგებასთან ახლოს არის ასევე ტერმინი "დიალოგი". დისკურსი, როგორც ნებისმიერი საკომუნიკაციო აქტი, გულისხმობს მინიმუმ ორი ძირითადი როლის არსებობას – ადრესანტისა (ავტორის) და ადრესატის. ამასთან, ადრესანტისა და ადრესატის როლები, შესაძლოა, რიგრიგობით გადანაწილდეს დისკურსის მონაწილე პირებზე; სწორედ ასეთ შემთხვევაში გვაქვს საქმე დიალოგთან. ხოლო თუკი დისკურსის მთელი მსვლელობისას ან მისი დიდი ნაწილის მანძილზე ადრესანტის როლი ერთსა და იმავე პირს აქვს აღებული, ამგვარ დისკურსს მონოლოგს უწოდებენ. ჩვენს შემთხვევაში, ვიკვლევთ დიალოგურ სტრუქტურას, რამდენადაც სმს მიმოწერა ძირითადად ორ პირს შორის მიმდინარეობს. მართალია, არსებობს ცალმხრივი მოკლე ტექსტური შეტყობინებები, როგორცაა, მაგალითად, სხვადასხვა კომპანიებისა თუ კომერციული ბანკების მიერ სარეკლამო ან საინფორმაციო მიზნით გამოყენებული სმს-ები, მაგრამ, ამ ტიპის ტექსტებს ჩვენს ნაშრომში არ განვიხილავთ.

თანამედროვე ენათმეცნიერება თანდათან სცილდება სოსიურისეული სკოლისთვის დამახასიათებელ შეზღუდული სახის ენობრივ მიდგომას და ანგარიშს უწევს იმ ფაქტს, რომ ენობრივი მოვლენის აღწერა უნდა მოხდეს მისი დისკურსული ასპექტის გათვალისწინებით. ლექსიკური ქმედების დისკურსული ფაქტორებით ახსნის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რეფერენციალური არჩევანი, ანუ კონკრეტული პირისა თუ ობიექტის სახელდება დისკურსში: ამგვარი სახელდება შეიძლება შესრულდეს სრული სახელობითი ჯგუფის საშუალებით (საკუთარი სახელი ან აღწერა), ნაცვალსახელით ან ნულოვანი ფორმითაც კი. ამგვარი არჩევანი მხოლოდ ისეთი დისკურსული ფაქტორების თანხვედრით აიხსნება, როგორც არის მაგ, თუ როდის მოხდა აღნიშნული ობიექტის (დისკურსის მონაწილის) უკანასკნელად სახელდება, აღნიშნული სახელდების როლი გამონათქვამში, მისი მნიშვნელობა მთლიანად დისკურსში.

კოგნიტიურ-ლინგვისტურ მიდგომაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამგვარი ფაქტორები ერთიანდება რეფერენტის ინტეგრალურ მახასიათებლებად დისკურსის მოცემულ მომენტში, რომელიც შეიძლება აღიწეროს, როგორც მოსაუბრის მუშა მეხსიერებაში რეფერენტის აქტივაციის ხარისხი (Chafe/შაფე, 1976; Givyn/გივინი, 1976). დაბალი აქტივაციის დროს გამოიყენება სრული რეფერენცია, მაღალი აქტივაციისას კი – შეზღუდული (ნაცვალსახელი ან ნულოვანი რეფერენცია).

დისკურსული კონტექსტით განპირობებული ლექსიკური საშუალებების მეორე მაგალითია ე.წ. დისკურსული მარკერების ხმარება. ეს არის სპეციალური სიტყვები ან სიტყვათშეთანხმებები, როლებიც დისკურსის სტრუქტურას, მოსაუბრის მენტალურ პროცესებს ("აი", "ასე ვთქვათ" და ა.შ.), ადრესატის მენტალურ პროცესებზე კონტროლს ("გესმის", "ხვდებით") და ა.შ. აღნიშნავენ.

დისკურსის შესწავლისას დგება დისკურსის ტიპებისა და კლასიფიკაციის საკითხი. ამ მხრივ პირველ და ყველაზე მთავარ გამიჯვნას წარმოადგეს წერითი და ზეპირი დისკურსის დაპირისპირება. აღნიშნული გამიჯვნა ინფორმაციის გადაცემის არხს უკავშირდება: ზეპირი დისკურსისთვის არხი არის აკუსტიკური, წერითისთვის – ვიზუალური. ზოგჯერ ენის გამოყენების ზეპირ და წერით ფორმებს შორის განსხვავება დისკურსსა და ტექსტს შორის განსხვავებას უტოლდება. თუმცა ორი სხვადასხვა დაპირისპირების ამგვარი აღრევა გაუმართლებელი გვეჩვენება. საკმარისია მოვიყვანოთ წერილობით დაფიქსირებული დისკურსის ან ზეპირად გადმოცემული ტექსტის (მითები, ლეგენდები) მაგალითები.

მიუხედავად იმისა, რომ წერითმა მეტყველებამ შესაძლო გახადა კონცეპტუალური და აბსტრაქტული აზროვნება, სრულიად ცხადია, რომ ზეპირი დისკურსი ენის არსებობის ამოსავალი, ძირითადი ფორმაა, წერითი დისკურსი კი მასზეა აგებული. ბევრი არსებული ენა დღესაც რჩება წერითი ტრადიციების გარეშე ანუ მხოლოდ ზეპირი სახით არსებობს. თუმცა წერითი და ზეპირი დისკურსის, როგორც ენის არსებობის ორი ალტერნატიული ფორმის რეალური ურთიერთშეპირისპირება მხოლოდ 1970-იანი წლებიდან დაიწყო.

დღეისთვის დისკურსულ ანალიზში ძალზე ხშირად გამოიყენება ჟანრის ცნება.

აღნიშნული ტერმინი თავიდან ლიტერატურათმცოდნეობაში იხმარებოდა ისეთი

ნაწარმოებების განსასხვავებლად, როგორებიც არის, მაგ. ესსე, ნოველა რომანი და ა.შ.

ბახტინმა ტერმინი "ჟანრის" უფრო ფართო გაგება შემოიტანა, რომელიც გასცდა

ლიტერატურის ფარგლებს. სამეტყველო ჟანრი წარმოადგენს სამეტყველო ნაწარმოებების (ტექსტების ან გამონათქვამების) ერთობლიობას, რომელსაც ერთი მხრივ გააჩნია სხვა

ჟანრებისგან განმასხვავებელი სპეციფიური შტრიხები, მეორე მხრივ – გარკვეული საერთო მახასიათებლები, რაც განპირობებულია ჟანრების გარკვეული ჯგუფის ამა თუ იმ ფუნქციური სტილისადმი კუთვნილებით (Бахтин/ზახტინი, 1979).

ჟანრების ფილოლოგიური კლასიფიცირების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საყოფაცხოვრებო დიალოგი, მოთხრობა (ნარატივი), ხელსაწყოს გამოყენების ინსტრუქცია, ინტერვიუ, რეპორტაჟი, მოხსენება, ლექსი, რომანი და ა.შ. ჟანრებს გააჩნიათ ზოგიერთი საკმაოდ მყარი მახასიათებელი. მაგალითად, მოთხრობას პირველ რიში უნდა ჰქონდეს სტანდარტული კომპოზიცია (კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა), მეორე მხრივ კი გააჩნია ისეთი ენობრივი მახასიათებლები, როგორცაა დროში თანმიმდევრული მოვლენები, რომლებიც აღწერილია ერთნაირი გრამატიკული ფორმებით (მაგ. წარსულ დროში მყოფი ზმნებით) და რომელთა შორის არსებობს დამაკავშირებელი ელემენტები (მაგ. კავშირი "შემდეგ").

ზეპირმეტყველების ფუნქციურ-სტილისტურ სახეობებში სამეტყველო ჟანრები ერთმანეთს არც თუ ისე მკვეთრად ემიჯნება, როგორც ეს ხდება წერით სამეტყველო ჟანრებში. ამას გარდა, ზეპირმეტყველების ჟანრულ-სტილისტური მრავალფეროვნება ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი. თუმცა ამ სფეროში არსებული კვლევების შედეგები საშუალებას იძლევა ზეპირმეტყველების შემდეგი ჟანრების გამოყოფისა: მოსაუბრის რაოდენობისა და საუბარში მათი ჩართულობის მიხედვით გამოყოფენ თხრობას, დიალოგსა და პოლილოგს; მიზანმიმართულების, სიტუაციის ხასიათისა და მოსაუბრეთა სოციალური როლების მიხედვით შეიძლება გამოიყოს, მაგალითად, ისეთი სახეობები, როგორცაა ოჯახური საუბრები, პროფესიულ თუ ყოველდღიურ თემებზე დიალოგი, მოზრდილი ადამიანის საუბარი ბავშვთან, ადამიანის საუბარი ცხოველთან და ა.შ. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ჩვენი კვლევის საგანი – მედია - დისკურსი – ამ თავალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული, ღიად რჩება ჟანრთა ტიპოლოგიისა და აღწერის პრინციპებთან დაკავშირებული საკითხები. კიდევ ერთი პრობლემა უკავშირდება დისკურსის სტრუქტურას. სტრუქტურის ორი ძირითადი დონე უნდა განირჩეს: მაკროსტრუქტურა, ანუ გლობალური სტრუქტურა, და მიკროსტრუქტურა, ანუ ლოკალური სტრუქტურა. დისკურსის მაკროსტრუქტურა მის შედარებით დიდ შემადგენელ ნაწილებად დაყოფას უკავშირდება: ეპიზოდები თხრობაში, აბზაცები საგაზეთო სტატიაში, რეპლიკათა ჯგუფები ზეპირ დიალოგში, ქვეგანყოფილებები ინტერნეტ ფორუმებში და ა.შ. დისკურსის დიდ ფრაგმენტებს შორის შეიმჩნევა საზღვრები, რომლებიც გამოყოფილია ზეპირმეტყველებაში შედარებით გრძელი

პაუზებით, წერით მეტყველებაში _ გრაფიკული საშუალებებით, სპეციალური ლექსიკური ფორმებით. დისკურსის ამგვარი ფრაგმენტების შიგნით არსებობს თემატური, რეფერენციული, მოვლენათა, დროითი, სივრცითი და ა.შ ერთიანობა.

ვან დეიკის (Van Deyk/ვან დეიკი, 1989) მიხედვით მაკროსტრუქტურა _ ეს არის დისკურსის ძირითადი შინაარსის გავრცობა, რომელსაც აგებს ადრესატი გაგების პროცესში.

მაკროსტრუქტურა წარმოადგენს თანმიმდევრობას მაკროპროპოზიციებისა, ანუ პროპოზიციებისა, რომლებიც ამოსავალი დისკურსის პროპოზიციისგან წარმოდგება

გარკვეული წესების მიხედვით (ე.წ. მაკროწესები). ამგვარი წესებია: შემოკლების (უსარგებლო ინფორმაციის), გავრცობის (ორი ან მეტი ერთგვაროვანი პროპოზიციისა) და აწყობის (ანუ რამდენიმე პროპოზიციის ერთ პროპოზიციად გაერთიანება) წესები.

მაკროსტრუქტურა იგება იმგვარად, რომ წარმოქმნას სრულფასოვანი ტექსტი. დისკურსის მაკროსტრუქტურის საპირისპიროდ, მიკროსტრუქტურა არის დისკურსის დაყოფა ისეთ მინიმალურ შემადგენლებად, რომლებსაც გარკვეული აზრი აქვს დისკურსის დონეზე.

თანამედროვე მიდგომების უმრავლესობაში ამგვარ მინიმალურ ერთეულებად მიიჩნევენ ელემენტარულ პრედიკაციებს (კლაუზებს) (Hopper & Thompson/ჰოპერი და ტომპსონი, 1980). ამგვარად დისკურსი წარმოადგენს კლაუზების ჯაჭვს.

ჩვენი გაგებით, დისკურსის ცნების სპეციფიურობა მდგომარეობს მის პროცესუალობასა და დინამიურობაში და, რაც მთავარია, დისკურსის ადრესატისა და ადრესანტის პიროვნებებთან და მათ სოციოკულტურულ კონტექსტთან უშუალო კავშირში.

1.2. პრესის დისკურსი

რაც შეეხება მედიადისკურსს (რომელიც ასახავს ენისა და სხვა სემიოტიკური კოდების ფორმას, სტრუქტურასა და გამოყენებას მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ), კერძოდ, საგაზეთო დისკურსს, ის დღესდღეობით ძალზედ აქტუალურია. ადამიანთა უმრავლესობა მხატვრულ ლიტერატურაზე მეტად გაზეთებს და ჟურნალებს კითხულობს. სწორედ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მედიის ესოდენ მნიშვნელოვანი როლის გამო, ის არის მუდმივი მსჯელობისა და განხილვის საგანი როგორც მეცნიერთა, ასევე ექსპერტებისა და თავად ჟურნალისტების მხრიდანაც. მედიის ენა განსაკუთრებული ფენომენია. ენა, რომელიც მასმედიაში, განსაკუთრებით ტელევიზიაში გამოიყენება, დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებასა და საზოგადოებრივ დისკურსზე.

მაიროვიცის შეხედულებით, მასმედიას ადგილის აღქმის ცვლილებამდე მივყავართ.

ადგილში ის გულისხმობს ინფორმაციულ სამყაროში შესვლას. ელექტრონულმა მედიამ ჯგუფებს ან „ადგილებს— შორის მანამდე არსებული საინფორმაციო ბარიერი წაშალა.

ინფორმაციას ვიღებთ ადგილებიდან, რომლებიც ადრე მიუწვდომელი იყო:

საკურობილები, საავადმყოფოები, ცნობილი სახეების საერთო ოთახები და სამინებლები.

მამაკაცებს ხელი მიუწვდებათ ქალთა სამყაროზე, ბავშვები საუკეთესოდ არიან

ინფორმირებული უფროსების ცხოვრებაზე. სპეციალურ ადგილზე რაიმე რომ გავიგოთ,

საკმარისია შესაბამისი გადაცემის ყურება. ეს ნიშნავს, რომ მედია ინფორმაციული

სამყაროსადმი დამოკიდებულებას ცვლის (სვანიძე, 2012).

მედია გვაწვდის ინფორმაციას მსოფლიო მოვლენების შესახებ, მაგრამ არასდროს არის შესაძლებელი, რომ წარმოვადგინოთ სრულიად ობიექტური, ზუსტი და

სრულმნიშვნელოვანი მოვლენები, თუმცა მედია გვთავაზობს მოვლენებს ვერბალურად

ან სურათებით. ასეთი გამოხატულებები ხშირად შეზღუდულია დროისა და სივრცის

შესაბამისად. ჟურნალისტს სჭირდება, რომ პრიორიტეტი მიანიჭოს მოვლენას, ისევე

როგორც გარკვეული ხალხის პერსპექტივებს და მოსაზრებებს. გარდა ამისა, მოვლენების

შეჯამება შეიძლება მრავალფეროვანი იყოს გაზეთის პოლიტიკური უპირატესობებით ან

ჟურნალისტის შესაძლებლობებით, რომლებსაც წერენ მათზე (Baker, Gabrielatos &

McEnergy/ბეიკერი, გაბრიელატოსი & მაკენერი, 2013).

პრესის ენა არის არა მარტო შესაბამისი ენობრივი მდგომარეობის დოკუმენტი, არამედ ის

თამაშობს მნიშვნელოვან როლს ენობრივი ნორმების გამოხატვისას და ცვლილებისას

(Liuger/ლიუგერი, 1983). ამგვარი რელევანტურობის საფუძველზე კვლევის სხვადასხვა

დისციპლინებმა და მათ შორის განსაკუთრებით ლინგვისტიკამ დიდი ყურადღება

დაუთმო პრესის ენის ფენომენის ანალიზს (ჯაში, 2010).

ზოგიერთ შემთხვევაში მედიადისკურსისთვის დამახასიათებელია ორაზროვნება,

მკითხველისთვის შეიძლება გაურკვეველი იყოს ზოგიერთი ფაქტი. ეს შეიძლება

განპირობებული იყოს როგორც პოლისემიურობით, ისე კულტურათა შორის სხვაობით.

ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ს. გელაძე თავის სტატიაში „მედიადისკურსის

თავისებურება“. ჟურნალისტური, ანუ მედიადისკურსი განსხვავდება სხვა ტიპის

დისკურსებისგან, მაგრამ ისიც შეიძლება იყოს ორაზროვანი. ერთი ფრანგი ჟურნალისტი

ინგლისში მიმდინარე ერთ-ერთ საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით წერდა, რომ

მან ამ ქვეყანაში ნახა „საოცარი ღრუბლები“ («Les merveilleux nuages»). ამ ფრაზით მას

სურდა ეთქვა, რომ ინგლისში არ იყო მზიანი ამინდი, თანაც გაგვახსენა ბოდლერის ლექსი

პროზად, რომელსაც ეწოდება „საოცარი ღრუბლები“. ერთმა ფრანგმა მწერალმა ბოდლერის ლექსის სათაური თავისი რომანის სათაურად კი გამოიყენა (ლაპარაკია ფრანსუაზ საგანზე და მის რომანზე „საოცარი ღრუბლები“). ამ ფრაზით ჟურნალისტმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება ინგლისური ამინდის მიმართ, მას ან მოეწონა ღრუბლიანი ამინდი, ან გამოხატა ირონია. ეს უკანასკნელი ალბათ უფრო, რადგან ფეხბურთის მატჩის დროს სასურველია, იყოს მზიანი დღე და არა წვიმა და ღრუბლები, ანუ ორწიროვნება შეიძლება ფიგურირებდეს არა მხოლოდ ლიტერატურულ დისკურსში, არამედ ჟურნალისტურ დისკურსშიც.

გამომდინარე საყოველთაო ინტერესიდან, ჩვენს ყურადღებას იპყრობს პრესის დისკურსი, რომელიც მედიადისკურსის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. თუმცა, აქვე აღნიშნავთ, რომ ტელედისკურსი საკმაოდ განსხვავდება საგაზეთო დისკურსისაგან. ტელედისკურსი უფრო თამამი და გაბედულია, ხოლო საგაზეთო დისკურსი უფრო თავშეკავებულია, რადგანაც ის წერილობით დისკურსს წარმოადგენს. ამასთანავე, ტელედისკურსი უფრო მეტი ეფექტურობით და არეალით გამოირჩევა, ვიდრე პრესის დისკურსი (გელაძე, 2012). პრესისათვის ტიპური საკომუნიკაციო სიტუაცია შეიძლება შემდეგი ნიშნებით დავახასიათოთ:

- ა) საჯაროობა (კომუნიკაციის მონაწილეთა შეუზღუდაობა);
- ბ) იგი გადმოიცემა პერიოდულად გამომავალი მედიის „გაზეთის“ გზით;
- გ) არაუშუალობა (ერთობლივი საკომუნიკაციო სიტუაციის არარსებობა კომუნიკაციის ავტორსა და ადრესატს შორის);
- დ) ცალმხრივობა (კომუნიკაციის როლების გაცვლის შეუძლებლობა, გარდა მკითხველთა წერილებისა), ეს არის პრაქტიკულად ცალმხრივი კომუნიკაცია (Malecke/მალეკე, 1963, ჯაში, 2010).

ს. გელაძე აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ტერორიზმსა და ომზე შექმნილი წერილობითი თუ ზეპირი დისკურსები წყლის ორი წვეთივით ჰგავს ერთმანეთს, რაზეც შეიძლება ითქვას, რომ კოლექტიური მეხსიერების დამსახურებაა, რადგან ტერორიზმისა და ომის ხატი, რომელიც შექმნილია მედიის წყალობით, საერთოა დასავლური სამყაროსათვის და არა მარტო აქ, რაც იწვევს იმას, რომ მისი ამსახველი მედიადისკურსები ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ მნიშვნელოვანია სხვადასხვაენოვან მედიადისკურსებს შორის არსებული განსხვავება, რასაც განაპირობებს განსხვავება ისტორიას, სოციოკულტურულ კონტექსტებსა და ჟურნალისტურ საქმიანობას შორის. ალბათ ამ განსხვავების შედეგია ის, რომ ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა

მედიადისკურსში სხვადასხვანაირად შეიძლება წარმოჩნდეს. მაგალითად, განვიხილოთ 2008 წლის ომი საქართველოში; ქართულ მედიადისკურსში ჭარბობდა ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა: „რუსი ბარბაროსები“, „დაბომბვები“, მაშინ როდესაც, ფრანგული პრესა ამ ომს კონფლიქტად ნათლავდა, დაბომბვებს დარტყმებს უწოდებდა. უდავოა, რომ ქართულთან შედარებით ფრანგულ მედიადისკურსში ჭარბობს ევფემიზმები, რაც სიმძაფრეს უკარგავს მოვლენას. ასევე თვალში საცემია ტელედისკურსის განსხვავება წერილობითი ჟურნალისტური დისკურსისაგან. ტელედისკურსი წერილობითი დისკურსისაგან განსხვავებით სადისტურციკ კია ზოგჯერ, მაგ., მთელმა მსოფლიომ ნახა პირდაპირ ეთერში სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯა. ეს ცოტა გაუგებარია, რადგან იგივე დასავლური პრესა, კონკრეტული მოვლენის აღწერისას ევფემიზმებს იყენებდა, რაც ალბათ იმით შეიძლება აიხსნას, რომ დასავლეთს არჩეული აქვს ფრთხილი პოლიტიკა ისეთი ეპოქას ქვეყნის მიმართ, როგორც რუსეთია (გელაძე, 2012).

ამრიგად, მედიის განვითარება უწყვეტი და შეუქცევადი პროცესია, სადაც კომუნიკაციის ერთი ფორმა უკეთესით იცვლება, თუმცა ახალ მედია-საშუალებებთან ერთად ძველიც არსებობს. მედია ენის მოქმედებისა და შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენს, რომელსაც ყველა სახლში შეღწევა შეუძლია. მედიის ენა ბუნებრიობითა და კომუნიკაციური სპონტანურობით გამოირჩევა, ხოლო პრესის ენა უფრო დაკვირვებულია და დაფიქრების საშუალებას იძლევა, მაგრამ ორივე მათგანში აირეკლება მუდმივად ცვალებადი ენობრივი მოვლენები. ერთ-ერთი ასეთი მოვლენა ევფემიზაციის პროცესია. პრესაში გამოყენებული ტექსტების ხასიათიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ტიპის ტექსტები, რომლებიც ყველაზე ხშირია და ამ ტიპის ტექსტები ევფემიზმებითა და დისფემიზმებით მდიდარია.

- 1) ინფორმაციული ტექსტები - მათი ძირითადი მიზანი შეტყობინებაა, რეალური მოვლენებისა და ფაქტების შესახებ.
- 2) არგუმენტირებული ტექსტები - აზრი რომ უფრო დამაჯერებელი და მყარი გახადონ, ამ მეთოდსაც მიმართავენ პრესაში.
- 3) მტკიცება - რომელიც ჩვეულებრივ რაიმე ფაქტს ან მოვლენას შეეხება.

მეცნიერები ტექსტის სხვა მნიშვნელოვან კატეგორიებსაც გამოყოფენ, რომლებიც გამოყენების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია და დეტალურად მომდევნო ქვეთავში იქნება განხილული.

1.3 საგაზეთო რეპორტაჟის ლინგვო-სტილისტური ანალიზი

ლინგვისტური სტილისტიკა არის ძალიან მრავლისმომცველი მიმართულება და ნაყოფიერი ნიადაგი გამოსაკვლევად. ნებისმიერ ტექსტში არსებობს ლინგვისტური სტილისტიკის ინტრიგნული ჩანარები, მაგალითად როგორცაა სალიტერატურო და არასალიტერატურო, რომელიც იქითკენაა მიმართული რათა შეიქმნას თავისთავად დისკურსის ინდივიდუალობა და ზემოქმედება მოახდინოს მკითხველზე. კვლევებმა ცხადყო, რომ ეს ყელაფერი საგაზეთო რეპორტაჟებში აშკარაა. სტილის და სტილისტიკის შინაარსი შესაძლოა არასოდეს იყოს ბოლომდე ამოხსნილი და განსაზღვრული. თავისი მაღალი ინტერდისციპლინარული ბუნების გამო, ლინგვისტური სტილისტიკა ავლენს მრავლობით თვისებას სხვადასხვა ენებთან დაკავშირებით, მაგალითად ეს დომენებია: ლექსიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა, დისკურსის ანალიზი და სხვა.

სტილი მხოლოდ ორნამენტული არაა წერაში. ის შედეგია იმ არჩევანისა, რომელსაც მწერალი ახორციელებს თავის ნამუშევარში და ზუსტად ეს ის არჩევანია, რომელიც განასხვავებს ერთ მწერალს მეორესაგან თავისი თვითმყოფადობით. პრესის გამომცემლები ინაწილებენ საერთო ბუნებას მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სტილით და ორგანიზებით, რომლის მაგალითიც გახლავთ “The Day” და “The Nation”. პრესა საციცხლო როლს ასრულებს საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებაში. ისინი განიხილავენ საზოგადოებაში მომხდარ სხვადასხვა თანამედროვე მოვლენებს. მკითხველისგან მოელიან რათა მან განასხვავოს ფაქტები და მოსაზრება ერთმანეთისაგან. მას მედია გავლენას ახდენს საზოგადოების აზრზე და აკონტროლებს კიდევ მას. პრესა თითქოს „ხალხის ხმაცაა“, თითქოს ხელს უწყობს კიდევ საზოგადოების ინტერესებს. გაზეთის ობიექტურობა მთავარი თემის შეტყობინებაში შემოწმდება სტილისტური ანალიზით რამდენიმე გამომცემლობის მაგალითზე. განვიხილოთ რა არის სტილი.

სტილის განსაზღვრება

ამ სახის კვლევა არაა პირველი, საკმაოდ ბევრი კვლევა ჩატარდა ამ საკითხზე შემდეგი ავტორების მიერ. (Enkvist/ენკვისტი, 1973), (Todd/ტოდი, 1969), (Leech & Short/ლიჩი და შორტი, 1981), Crystal & Davy/კრისტალი და დეივი, 1976), (Azuike/აზუიკი, 1992). სტილის კონცეპტი ერთადერთია, რომელიც ბევრმა სცადა განესაზღვრა. Leech & Short -ის აზრით

სტილი: „ხანდახან მოითხოვს მწერლისგან ლინგვისტურ ჩვევებს, ჟანრს, პერიოდს, ეპისტოლარული სტილის კომბინაციას მწერლის ნამუშევრებში“...

ამ განსაზღვრებით სტილი ინდივიდუალობის გამოვლინებაა. აზუიკი აგრეთვე ამბობს, რომ სტილი ცდილობს დაადგინოს სიმეტრია პიროვნების ექსპრესიულობასა და მის სხვა მახასიათებლებს შორის. სტილი თავისი ბუნებით არის ინდივიდუალობის იდენტურობა ან ინდივიდუალური პიროვნულობის გამომსახველობა და რეალობის ხედვა. არ არსებობს ლინგვისტური საზომი რითაც განსაკუთრებული ბუნება ან სტილი გაიზომება. რაც მიღებულია, როგორც ნორმა ერთის მხრივ, ერთი ჯგუფისათვის, შესაძლოა საჭირო სულაც არ იყოს მეორეს მხრივ, სხვა ჯგუფისათვის. აქედან გამომდინარე ნორმა შესაძლოა იყოს „სწორი“ და „ჯეროვანი“ ე.წ. „ნაკრები“ საზოგადოებაში გამოსაყენებლად.

სტილის სხვა განსაზღვრება, როგორც ინდივიდუალობის გამოვლინება წარმოდგენილია Crystal & Davy-ის მიერ. ის განსაზღვრავს სტილს, როგორც ინდივიდუალიზმის ზოგიერთ ან ყველა ენის ჩვევებს. ის გამოიყენებს სიტყვას „მხოლოდითი“ რათა აღნიშნოს, რომ სპიკერს ან მწერალს შეუძლია მიაღწიოს თავის ნაწერში ან ნათქვამში განსაზღვრულ ექსკლუზიურობას. სტილი როგორც ვხედავთ ატარებს ინდივიდუალურობას. ენკვისტი აკვირდება რომ სტილი საკმაოდ მცოცავი (მომრავია) და საკმაოდ ძნელია მისი შესწავლა. სტილი შეიძლება ასე შეჯამდეს:

- როგორც ნიჟარა, რომელიც, თავის თავში აერთიანებს არსებულ ფიქრებს და ექსპრესიებს.
- ალტერნატიული ექსპრესიებს შორის არჩევანი.
- ინდივიდუალური მახასიათებლების ნაკრები.
- ნორმიდან გადახვევა.
- ერთად თავმოყრილი მახასიათებლების ნაკრები.
- ლინგვისტური ტერმინების ფართო გავრცელება ტექსტებში.

აზუიკი წამოგვიდგენს სამ კვლევას:

1. არანაირი განსაზღვრება არაა არსებითად მისაღები.
2. ლინგვისტებს შორის არც კონსესუსია მიღწეული თუ რა მიზნები აქვთ მათ, არც მეთოდოლოგიური მიღწევები მათ ანალიზებში.
3. ერთადერთი ნათელი წერტილი პრაქტიკოსებს შორის შეთანხმებაში არის სტილის კონცეპტის განსაზღვრებისას, როგორც „ელუზიური“. „მოქნილი“, „თვითმყოფადი“. ეს მიღწევები, მიღებულია ამ კვლევებისათვის, ესაა დისკურსი და არსებითი სტილისტიკის ანალიზი, იმიტომ რომ სტილისტიკა თავისთავად აღწერილია როგორც სხვადასხვა სტილების ლინგვისტური კვლევა.

გრაფოლოგიური ანალიზი

ეს ფუნქცია მკითხველის ყურადღების მისაპყრობადაა გამოყენებული. სხვადასხვა ფორმისა და ზომის სიტყვები ძლიერდება ანტიპოდებით, რაც თვალსასერიოა მკითხველისათვის. სხვადასხვა გაზეთებს აქვთ გრაფიკული დიზაინის მქონე თანმიმდევრული სტილი, რომელიც წარმოადგენს თავინთ „შინაურ“ სტილს. პირველი ანბანი იხეჭებოდა მუქი ფერით, დიდი შრიფტით ვიდრე სხვა ყველა ენის ანბანი. კვლევის თანახმად ეს მეთოდი თავისებურია ორი გაზეთის შედარებისას. მეორე საინტერესო ასპექტია სათაური. მნიშვნელოვანია, რამ საგაზეთო სათაურში ისაა, რომ იგი შეიცავს ნათელ ლაკონურ სიტყვებს და თუ საჭიროა დამაინტრიგებელ შეტყობინებასაც. ეს ყველაფერი აღვიძებს მკითხველის ინტერესს და მისი თვალის მსწრაფლ ათვალიერებს გაზეთის გვერდებს რათა იპოვოს სათაურში ისეთი რამ, რაც მის ყურადღებას მიიპყრობს. „თვალსასერიო“ რამ იქმნება გრაფიკული კონტრასტებით. კვლევის თანახმად ორი გაზეთის შედარებისას განსხვავება ძალიან მცირეა. მაგალითად გაზეთ „This Day“-ში მთავარი შინაარსის მქონე სიტყვები იწერება ასომთავრულით და ზოგადი ფუნქციური სიტყვები პატარ ასოებით.

Samples of „This Day“ Headlines on Jos Crisis 11 Killed as Jos Erupts in Violence Again 2 Killed in Maiduguri. Policeman Set Ablaze in Jos Voter Registration: 3 Killed in Jos

თუმცა საქმე ასე არაა გაზეთში „The Nation“. პირველი წარწერა დაწერილია მთავრული ასოებით, ხოლო ყველა სხვა სიტყვა პატარა ასოებით, გარდა არსებითი სახელებისა. გაზეთის მთავარი სათაურები დაწერილია დიდი ასოებით.

Samples of „The Nation“ Headlines on Jos Crisis

Jos again Will it ever end? Impunity in Jos

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ არის რაღაც განსხვავება სათაურების შინაარსს შორის. გაზეთი „This Day“ საინტერესოა იმით, რომ სტატიების სათაურებიდანვე ვიტყობით მაგალითად სიკვდილიანობის რიცხვის შესახებ. გაზეთს „The Nation“ განსხვავებული სტილი აქვს. მთავარი თემა გამოტანილია სათაურში, შემდეგ მოდის სხვა დეტალები და ბოლოს მაგალითად სიკვდილიანობის სტატისტიკა. ამ გაზეთში აღსანიშნი კიდევ ისაა, რომ ყველა პირველი სიტყვები დაწერილია მთავრული ასოებით.

წინადადების სტრუქტურული ანალიზი

წინადადება ესაა მანქანა, რომელსაც ავტორი იყენებს რათა გადმოსცეს თავისი შეტყობინების ინტენსივობა. მაქსიმალური ეფექტი კომუნიკაციაში მიიღწევა მწერლის მიერ წინადადებების სწორი სახით გამოყენებით. სისტემური გრამატიკა, როგორც მური ხსნის, გვაძლევს სტრუქტურის პუნქტის ფორმულას, რომელშიც გავრცელებულია მარტივი წინადადებების გამოყენება. მარტივი წინადადება შედგება მხოლოდ ერთი პუნქტისაგან.

Sample of a Compound Sentence in „This Day“ Editorials

‘At least 11 people were killed in Jos yesterday amid fresh tensions linked to a political meeting and an attack on buses carrying some passengers.’

Sample of a Compound Sentence in „The Nation“ Editorials

‘Indeed, the failure of security operatives to arrest the sponsors of communal conflicts and arms importation simply serves to entrench the apparent impunity of such sponsors.’

Samples of Complex Sentences in „This Day“ and „The Nation“

a) ‘The Ulama further revealed that a second vehicle, a Toyota Carina II with eight other occupants that were on their way to Jos, was stopped by some four youths at Bugal but the occupants managed to escape and reported the incident to the military post at Mangu Halle.’

b) ‘Up till December 24 when the most recent crisis occurred, the pattern has been the same: the world wakes up to the news of carnage in Jos with its usual casualties and calamity; government imposes a curfew; more troops are deployed, some arrests are made; victims are buried, a panel is set up to investigate the issue, sometimes a parallel enquiry is instituted.’

ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი

სიტყვები არსებითია ენაში და ისინი ვრცელდებიან იმაზე, თუ რა შედეგი აქვს იმას რასაც ვწერთ და ვამბობთ. იმ დიქციაზე რასაც მწერალი იყენებს დიდი გავლენა აქვს იმ შეტყობინების ეფექტურობაზე თუ არაეფექტურობაზე, რომელიც ჩვენ გვხვდება. თუ რეგისტრი არაადეკვატურად იხმარება, კომუნიკაცია შეფერხდება. მწერალი გადაწყვეტს თუ როგორი სიტყვები იხმაროს, მარტივი, კონკრეტული, აბსტრაქტული. მწერლის გადაწყვეტილება სიტყვებთან დაკავშირებით მეტად ესთეტიკურია ნაწერთან დაკავშირებით. ამ სექციაში ყურადღება ექცევა მნიშვნელობებს, რომლებიც გენერირებულია ლექსიკური ერთეულებით. გამომცემლები ლექსიკური ერთეულების

გამოყენებაში მიმართულია რეგისტრის ფართო კუთხით გამოყენებით. მარტივი დიქცია, რომელიც ჯეროვანია მარტივ სიტუაციასთან მიმართებაში გამოყენებულია პრესაში.

‘War of attrition multi-purpose machine guns genocide Genocide casualties and calamity inhuman cruelty‘

Mindless, Killings, hapless, victims, killing, field, Critically, wounded, murderous, gangs, ammunition, Arson, guns and machetes, AK 47, assault, rifles, Outbreaks of violence, rescue operations, carnage, Unconscionable, ruthlessness, mindless, brutality, fracas, Murderers, massacres and riots, open confrontation, Attacked, gross, cruelty, gun fire, anti-aircraft, launcher.

ფაქტიურად ამ სიტყვების ჩამონათვალი, რომელიც დაკავშირებულია ამ გამოცემასთან კვლავ კვლევის პროცესშია.

‘Apprehend investigate Law Prosecute face trial crimes Jurisdiction of the court arrest culprits International Criminal Court‘

iii. Number of Deaths:

‘At least 11 people were killed in Jos yesterday... Three people were allegedly killed and several others injured A riot policeman ... in Jos was yesterday killed... At least six people were recorded in the fracas... ...latest killings of July 17, of 10 people in Maza village... With the reported fresh killing of seven in Jos...‘

‘At least 32 persons were officially confirmed dead and many others...’

‘SERAP claimed that ... more than 20,000 lives that included those of women and children Seven bombs were said to have been released between 7.30 p.m. and 9.00 p. m....’

‘Recurring crises in Jos frequency of the eruptions Cycle of violence Random violence the incessant crises will it ever end? Persistent violence hotbed of violence epidemic of violence Unending violence amid fresh tensions Crisis erupted again Another crisis ensued in Jos menu of killings, reprisal killings.’

ტონი

მწერლის ტონი, რომელიც მიმართულია რაიმე საკითხთან, ნათლად ჩანს მის არჩევანში, თუ რომელ სიტყვებს იყენებს იგი. მწერლის დიქცია წარმოადგენს მის დამოკიდებულებას და გრძნობებს მკითხველისადმი. ტონი შესაძლოა იყოს, სარკასტული, ირონიული,

პესიმისტური, ოპტიმისტური, იუმორისტული, სიბრაზის ან მიმღებლობის გამომხატველი. სარკასტული ტონის მაგალითს შემოგთავაზებთ ქვემოთ:

‘Plateau State police commissioner Gregory Anyating must be talking about a different kind of peace when he suggested to Reuters, that peace had returned to Plateau State... This only goes to show that the only peace that has been in Jos is that of the graveyard.’

ოპტიმისტური ტონის მაგალითი:

‘In an effort to resolve the deepening Jos crisis once and for all, the Federal Government has decided to set up a special security force for Plateau State... it will be well-equipped, highly motivated, easy to contact and extremely mobile, ...headed by an Air Force officer... directly answerable to President Goodluck Jonathan... this measure appears to offer a workable solution to the vexed orgy of bloodletting in Jos.’

თანაგრძნობის გამომხატველი ტონის მაგალითი:

‘Almost all efforts to end the violence in Jos so far have failed... the killings certainly cannot continue. Every single death in Jos diminishes all of us.’

ხატოვანი ენის ანალიზი

ენის და სტილის ნებისმიერი კვლევა, რომელიც იგნორირებას უკეთებს ხატოვანი ენის გამოყენებას, უკვე გაღარიბებულია. ჩვენ ხატოვანებას ხანდახან ვიყენებთ მაშინ, როცა ვსაუბრობთ ან ვწერთ, რათა გამოვხატოთ ჩვენი იდეები უფრო მკვეთრად, ნათლად. კვლევის თანახმად ხატოვანება პრესაში არა არის იგნორირებული.

მეტაფორული ხატოვანება

მეტაფორული წინადადებები არსებითად კარგად ჯდება ნაწერში. პრესა აგრეთვე ავლენს ამ ხატოვანების და სტილის მაგალითებს:

‘The federal and Plateau State governments must take stock of events’

‘The delay only expands the theatre of the impending configuration ...thereby bringing culprits on their knees’

‘Jos crises have become a festering sore that has refused to heal’

‘The government has shown serious ineptitude ... finally nip the ugly trend in the bud

They will face their Waterloo’

‘...send signals to all evil doers in the country that their days are numbered

Jos has made the country the butt of the jokes in international circles’

‘It is regrettable that... which has of late become a hotbed of violence’

‘And if they have any axe to grind with other road users, they quickly suspend...’

‘Okada business started as a child of necessity in the country’

‘For a decade now it has been a harvest of violent protests...’

‘As with previous crisis in the state, the government has promised to get to the root of the matter’

‘The security agencies have not... effective countermeasures to nip potential eruptions in the bud’

პერსონიფიკაცია

არაანიმაციური ობიექტი მოცემულია ანიმაციური განსაზღვრებით ან ანიმაციურიდან არაანიმაციურისაკენ. მაგალითი:

‘...more so that the nation still lays claim to...’

‘It will naturally disappear when the circumstances that gave birth to it cease to exist’

‘...the world wakes up to the news of carnage in Jos with its usual casualties and...’

‘Weapons are paraded by triumphant security operatives in a glare of publicity’

სიმილი

სიმილი არის პირდაპირი შედარება „like“ და „as“ სიტყვების გამოყენების მაგალითზე. მაგალითი პრესიდან:

‘In short, they behave as if they are laws unto themselves’

‘Like a love story turned awry, Jos has metamorphosed from a tourist haven to a nightmare’

პარადოქსი

წინადადება, რომელიც შეიცავს ორ საწინააღმდეგო იდეას, რომელიც ქმნის მას შეუძლებლად ან შესაძლოა ის იყოს სიმართლე. მაგალითი:

‘...it will have to go beyond military force which is a blunt instrument at best, and an irrelevant one at worst’

სინექდოკე

ნაწილი, რომელიც წარმოადგენს მთლიანობას, ან მთლიანობა, რომელიც წარმოადგენს ნაწილს. მაგალითი პრესიდან:

‘...with quite a number of lives and limbs lost, not to talk of properties...’

‘...the world wakes up to the news of carnage in Jos with its usual casualties and calamity’

„Limbs“ have been used here to represent legs likewise „the world“, used to represent people.’

რიტორიკული კითხვა

ესაა ემოციური განხრა, რომელიც გამოიყენება გრძნობისა და სენტიმენტალიზმის გამოსახატად. ესაა კითხვები, რომელიც არ ამოითხოვს პირდაპირ აქტუალურ პასუხებს. მათი პასუხი უკვე იკითხება კონტექსტში. მაგალითები პრესიდან:

‘What is happening to us as a nation? Crises without end? For how long will the crisis continue?’

‘Have we got used to such mindless killings that we no longer care? So, just what is the problem?’

ჩტარებული კვლევების თანახმად, რომელიც პრესაში ჩატარდა, გამოირკვა, რომ პრესის ენა უფრო ხშირად, ვიდრე სხვა გამოვლენილი უნიკალური თვისებები. ენა და ახალი ამბები განუყოფელია ერთმანეთისაგან. ლინგვისტური საკითხები ფრთხილად იქნა შერჩეული პრესის მიერ, რათა მიეღწიათ თავიანთი ინტენციებისა და მიზნებისათვის. გამოირკვა, რომ ავტორები იყენებდნენ მარტივ და ზუსტ სიტყვებს, რათა გაემლიერებინათ მათი სიციხადე თავიანთ ნამუშევრებში. პრესას ავსებს ისეთი სიტყვები, რომლებიც კავშირშია ომთან და კრიზისთან. სხვა სიტყვები დაკავშირებულია სიკვდილიანობის რიცხვთან და გამუდმებულ კრიზისთან. მკითხველის ინტერესის გამოსაწვევად გამოყენებულია წინადადებების სხვადასხვა ტიპები. ავტორების ტონი დროდა დრო გახლდათ სარკასტული, ოპტიმისტური, თანამგრძნობი. სხვადასხვა სტილისტური ფორმებია აგრეთვე გამოყენებული.

მაგალითები:

‘Re-orientation of the values of our people as it relates to the dignity and sanctity of the human life, from the political, social, religious and ethnic perspectives.’

‘White papers should be released and those indicted should be made to face the law.’

‘Itinerant preachers, public preaching leading to noise pollution and the closing/blocking of roads during prayers should be abolished.’

‘Detailed study by academics on fundamentalism and terrorism and their manifestations should be undertaken and a liaison with security agents be established to curb these issues.’

‘Associations with no defined aims and purposes be scrapped and banned.’

‘Inter-religious communities should be established to preach and teach tolerance and mutual respect for individual religions and respect personal and group opinions.’

‘The influx of all sorts of people, unemployed youth from various states i.e. presently serving as (mairu was and motor bike riders) who serve as a ready force at anytime for crisis, should be curtailed.’

‘Laws should be enacted to check and register almagirais under particular mallams.’

თავი 2

მედია - დისკურსის შესწავლის თეორიული საფუძვლები და საუბრის ფაზების სტრუქტურული და სტილისტური ანალიზი ბრიტანულ და ქართულ ენებში

2.1 დისკურსის ანალიზი

კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში და თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში ერთ ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა დისკურსი.

თავდაპირველად უნდა ითქვას რომ ამ ტერმინს გააჩნია მრავალი მნიშვნელობა:

1. დისკურსი როგორც ფრაზათა ერთობლიობა
2. როგორც ორგანიზებულ წინადადებათა ერთობლიობა
3. როგორც გამონათქვამის შედეგი.

სხვადასხვა შემთხვევაში დისკურსი ხან ტექსტუალურ ლინგვისტიკაში ისწავლება ხან გამონათქვამის ლინგვისტიკაში, ხან რიტორიკაში და ხან პრაგმატიკაში. მაგრამ ამ შემთხვევაში სიღრმისეული იდეა ასე გამოიხატება: დისკურსი არის ერთობლიობა რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობათა დამატებით ან ჩანაცვლებით.

უნდა აღინიშნოს რომ სხვადასხვა ავტორები სხვადასხვაგვარად უდგებიან დისკურსის პრობლემას. ა.ჟ. გრეიმასმა და ი.კურტესმა დისკურსი ახსნეს როგორც სემიოტიკური პროცესი, რომელიც დისკურსული პრაქტიკების განსხვავებულ სახეებში ხორციელდება (Graimas/გრეიმასი, 1986). როცა საუბარია დისკურსზე პირველ რიგში მხვედელიაში აქვთ ენობრივი ქმედების (წერილობითი ან ზეპირი) ორგანიზაციის სპეციფიკური წესი ან ხერხი. სილვი დიურერისა და კლოდ ტომასეს აზრით სწორედ დისკურსის აქტები შეადგენენ სამეტყველო ანალიზის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და წარმოადგენენ საუბრის მინიმალურ ერთეულს (Diurere/დიურერი, 1999).

ჟაკ ფონტალინი თვლის რომ დისკურსში აზრის ფიქსირება შიძლება ტრანსფორმაციის საშუალებით (Fontalin/ფონტალინი, 1997). დისკურსი არის ანალიზის ინსტანცია, სადაც პროდუქცია ესეიგი გამოთქმა ვერ გამოიყოფა თავისი პროდუქტისაგან , გამონათქვამისაგან.

კრისტიან ბეილონის აზრით, სიტყვა დისკურსი პოლისემიური ტერმინია: ზოგი თვლის , რომ იგი ძალზე შეზღუდული ცნებაა, ზოგი კი მას „ტექსტის“ ან „გამონათქვამის“ უსიცოცხლო სინონიმად მიიჩნევს (Beilon/ბეილონი, 2002). ტერმინოლოგიური

პრობლემის გადასაჭრელად შეიძლება ჩამოვთვალოთ ამ ტერმინის 6 ლინგვისტური მნიშვნელობა:

1. სტრუქტურულ ლინგვისტიკაში სოსიურისეული მეტყველების სინონიმი.
2. ფრაზაზე მაღალი განზომილების მქონე ლინგვისტური ერთეული; შეტყობინება აღებული გლობალურად; გამონათქვამი;
3. ფრაზათა გადაბმის წესების ერთობლიობა; რომლიც შეადგენს გამონათქვამს (აქ ზ. ჰარისის მოსაზრებას ვეყრდნობით) (Beilon, 2002)
4. ის რაც უპირისპირდება გამონათქვამს „გამონათქვამი არის ორ სემანტიკურ ხარვეზს, ცარიელ შუალედს, კომუნიკაციის ორ დაბრკოლებას შორის გამოთქმულ ფრაზათა რიგი; დისკურსი კი არის დისკურსული მექანიზმის თვალსაზრისით განხილული გამონათქვამი.რომელიც მას აპირობებს.
5. ყოველი გამოთქმა, რომელიც გულისხმობს მოლაპარაკე პირსა და მსმენელს და პირველთან მეორეზე ზეგავლენის მოხდენის სურვილს;
6. ის რაც უპირისპირდება ენას; მაშასადამე ენა უპირისპირდება როგორც ელემენტთა დასრულებული შედარებით სტაბილური მთლიანობა დისკურსს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ადგილს სადაც ხორციელდება ქმნადობა. ეს არის გაუთვალისწინებელი კონტექსტუალიზაცია, რომელიც ენის ერთეულებს ახალ ღირებულებებს ანიჭებს. ბოლო წლებში გამოიყენება დისკურსის შემდეგი მნიშვნელობები: მეტყველება სიტუაციაში და ტექსტი (Kristeva/კრისტევა, 1969). პირველი მნიშვნელობა შეიძლება შეგვხვდეს კვლევებში მეტყველების ეთნოგრაფიაზე; მეორე მნიშვნელობა უფრო ზოგადად გამოიყენება დისკურსის ანალიზში და ტექსტის გრამატიკაში.
- ე. ბენვენისტის აზრით დისკურსი არის გამოთქმის სახე, რომელიც გულისხმობს მოლაპარაკისა და მსმენელის ინტერაქციას გამოთქმის პროცესში (benvenist,1966).
- მ. მაკაროვი დისკურსს განიხილავს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანურ მეტყველებას (Makarov, 2003). დისკურსი არის სოციალური ქმედება რეალური სამყაროს პირობებში და არა აბსტრაქტულ-თეორიული კონტექსტი ან ლაბორატორიული ექსპერიმენტის პროდუქტი.

მისი აზრით დისკურს-ანალიზის ერთ-ერთი მახასიათებელი ის არის, რომ იგი დაინტერესებულია რიტორიკული, არგუმენტაციული სტრუქტურებით მეტყველების ნებისმიერ ჟანრებში; პოლიტიკური დებატებიდან დაწყებული ყოველდღიური საუბრებით დამთავრებული. იგი იღებს უფრო და უფრო კოგნიტურ მიმართულებას, ცდილობს მეტყველების შესწავლით გადაწყვიტოს საკითხები ადამიანის გარე და შიდა

სამყაროს, არსებობისა და აზროვნების, ინდივიდუალურისა და სოციალურის ურთიერთქმედების შესახებ (Fontanie/ფონტანიე, 1977. Hofman/ჰოფმანი, 1987. Fontalin, 1998). იგი შეისწავლის ისეთ კოგნიტურ ფენომენებს, როგორცაა ოდნა რწმენა და წარმოდგენა, ფაქტი, სინამდვილე და შეცდომა. აზრი და შეფასება. პრობლემის გადაჭრის პროცესები, ლოგიკური აზროვნება, არგუმენტაცია.

მაკაროვი გამოყოფს ისეთ ავტორებს როგორცაა სტაბსი, შიფრინი შტეინერი, ველტმანი, რომლებიც თვლიან რომ დისკურსი არის „ენა“; იგი წინადადების ან შესიტყვების მაღლა დგას (Makarov, 2003). დისკურსი არის ორი ან მეტი წინადადება, რომელთა შორის არსებობს აზრობრივი კავშირი. ფუნქციონალისტების განსაზღვრებით ეს არის ენის ნებისმიერი გამოყენება, ენის ფუნქციის შესწავლა ფართო სოციო-კულტურულ ასპექტში. ზოგიერთი ლინგვისტი დისკურსს განიხილავს, როგორც ხაზგასმით სამეტყველო ურთიერთქმედების ინტერაქციულ საშუალებას. დისკურსი არის ყველაფერი ის, რაც ითქმება, იწერება, ანუ სამეტყველო ქმედება.

ზეპირი დისკურსი არის „სიტყვების დინება პროსოდიულ ასპექტში“ (Zunkova/ზუნკოვა, 1989); სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაწევრებულ სიტყვათა შეთანხმებას პაუზებთან, ინტონაციასთან, ხმამაღლობასთან. ეს კი საშუალებას გვაძლევს დისკურსთან მიმართებაში ფრაზების ფუნქციებზე ვიმსჯელოთ.

დისკურსის ინტერპრეტატორისთვის მნიშვნელოვანია მისი პროსოდიული კომპონენტი. მას გააჩნია დიდი სემიოტიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა: მეტყველების მელოდია, რიტმი, ტემპი, ხმამაღლობა-ყველაფერი ეს გამოიყენება ზეპირმეტყველებაში აზრების ფორმირებისათვის. ინტონაცია მნიშვნელოვანია ზეპირმეტყველებაში, ხოლო სასვენი ნიშნები- დამწერლობისათვის.

კომუნიკაციის პარალინგვისტური ელემენტებიც საინტერესო და აღსანიშნავია. ადამიანი იყენებს არტიკულაციურ-ფიზიოლოგიურ აპარატს, ხმასა და სუნთქვას.

პარალინგვისტური ელემენტები გამოყოფენ დამოუკიდებელ სემენტებს. მოლაპარაკე მეტყველებას წამით წყვეტს, რათა მაგალითად გაიცინოს ან ამოისუნთქოს.

დისკურსი დასაწყისშივე გვაძლევს მისი ინტერპრეტაციის საზღვრებს და განსაზღვრავს ტონალობას. გ.გიომი და ზ. ჰარისი ასე განსაზღვრავენ დისკურსს: დისკურსი არის მეტყველების გამოყენება პრაქტიკულ სიტუაციაში, ფაქტიური აქტი, რომელიც კავშირშია სხვა აქტებთან, რომლის ნაწილსაც შეადგენს იგი.

ჟენ კლოდ ბეაკოს თვალსაზრისით, დისკურსული ჟანრი არის კომუნიკაციის ჩვეულებრივი, მეტალინგვისტური წარმოდგენის ფორმა; იგი შედის საერთო ცოდნაში,

გამომდინარეობს ლინგვისტური აღწერებიდან; დისკურსული ჟანრი არის გამონათქვამისაგან, ტექსტისაგან, მეტყველების აქტისაგან, ტექსტების ტიპისაგან განსხვავებული ვერბალური ობიექტი (Beako/ბეაკო, 2004). ჟანრები მარტო ლიტერატურულ ტექსტებს არ ახასიათებს, არამედ შეადგენენ სოციალური კომუნიკაციის ანალიზის კატეგორიას. ეს არის მეტყველების სოციალური გამოყენება, ვერბალური კომუნიკაცია. ყოველდღიური სამეტყველო სიტუაცია მოიცავს აუდიტორიას რომელიც გარკვეულწილად ორგანიზებულია და ყოველდღიური პატარა ჟანრების რეპერტუარს წარმოადგენს. ის მნიშვნელოვანია სოციალური კომუნიკაციისათვის. საკომუნიკაციო საზოგადოებას ჰაიმსი შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ეს არის ის საზოგადოება, რომელიც ფლობს საკუთარ წესებს. ისინი წარმართავენ მეტყველების მსვლელობასა და ინტერპრეტაციას. წესები მართავენ სულ მცირე ერთი ლინგვისტური ვარიაციის ინტერპრეტაციას“ (Beilon, 1996). ეს წესები გამოიხატება კომუნიკაციის მოვლენების სახით, რომლებიც ორიენტირებული არიან დისკურსულ ჟანრზე. მოლაპარაკე პირები დისკურსული ჟანრების საშუალებით იყენებენ ენას და მათი ეს უნარი გამომდინარეობს ჩვეულებრივი მეტალინვისტიკიდან (Bart/ბარტი, 1980).

აღსანიშნავია, რომ დისკურსის ცნება წარმოადგენს „სიტყვათა გამოფენას“, რომელიც მოიცავს ისეთ მინიმალურ წყვილებს, როგორცაა დასტური-შეპასუხება (შესიტყვება) და კითხვა-პასუხი. დისკურსის ცნებაში კ. ბუდონის აზრით ძირითადად არსებობს ერთი მხრივ ფორმები, რომლებიც საშუალებას აძლევენ პოლემიკურად ჩამოაყალიბონ „არგუმენტირებული სიტყვა“ (Budon/ბუდონი, 2000) ამას ოსვალდ დიუკომ უწოდა არგუმენტატიული მაკავშირებლები. ამგვარად დისკურსი შედგება დამოკიდებულებათა, მიდგომათა სიმრავლისაგან, რომლებიც შეიცავენ შესაბამისობებს: პრედიკატიული, თხრობითი, ნარატიულ-დესკრიფციული, დექსტუალური. ისინი თავის მხრივ შეიცავენ სიღრმისეულ, ყველაზე აბსტრაქტულ შესატყვისებს, როგორცაა დროისეული, ფორისეული, ასპექტისეული. დისკურსი როგორც მრავალჯერადი გამოთქმის საშუალება იმ შესაბამისობების სიმრავლეს იწვევს, რომლებიც ჩვენ უნდა მოვათავსოთ ურთიერთობათა ქსელში.

დისკურსი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც მოლაპარაკება, ეს მისი სტრუქტურისა და ფუნქციონირების უკეთ ჩაწვდომის საშუალებას იძლევა. ამ კონცეფციას მივყავართ დისკურსის წარმოდგენის გლობალური მოდელის შექმნისაკენ. იგი საშუალებას გვაძლევს გადაჭრას სხვადასხვა პრობლემები, როგორცაა ანაფორა, რეფერენცია, ელიფსი

და დისკურსის ზოგადი თემა ასევე, როგორც მოსალოდნელი გადახვევების აშკარად ჩვენება.

დისკურსის ანალიზი შეიძლება ორი შემადგენელის მეშვეობით: იერარქიული და ფუნქციონალური ანალიზი, რომელთა შორისაც ცდილობენ ჩამოაყალიბონ ორმაგი შესაბამისობა. აქ მთავარია ინტერაქტიული და ინტერაქტიული დამატების პრონციპი, რათა ახსნა პირველი დივერსია, რომელიც შეიძლება გამოჩნდეს დისკურსში და ლოკალური შეთანხმებები, რომლებიც აქედან გამომდინარეობს და ასევე მეორე გლობალური შეთანხმება, რომელიც დისკურსის დახურვის საშუალებას იძლევა.

იერარქიულ ანალიზში განასხვავებენ სამ ძირითად დონეს:

1. მეტყველების აქტი: ეს არის მოლაპარაკის მიერ წარმოქმნილი ყველაზე მცირე ერთეული და ასოცირებულია წინადადებასთან.
2. ურთიერთობა: ეს არის ინტერაქციის შემადგენელი ყველაზე მცირე ერთეული. იგი შეიცავს განხვავებულ მოლაპარაკე პირთა სულ მცირე ორ მეტყველების აქტს; ის მინიმალურია, თუკი შეიცავს ორ სამეტყველო ჯერს.
3. ჩარევა- ურთიერთობის თითოეული შემადგენელი არის ჩარევა, იგი შეიძლება იყოს მარტივი, შედგებოდეს ერთი მეტყველების აქტისაგან ან ერთი მოლაპარაკე პირის რამდენიმე მეტყველების აქტისაგან და რთული-მას შემოყავს განხვავებულ მოლაპარაკე პირთა რამდენიმე მეტყველების აქტი.

რაც შეეხება ფუნქციონალურ ანალიზს, ურთიერთობის ელემენტებს შორის განასხვავებენ ისეთებს, რომელთაც გააჩნიათ „დაწყებითი ილოკუციური ფუნქცია“ (Beilon,1996) და ისეთებს, რომელთაც გააჩნიათ „რეაქტიული ილოკუციური ფუნქცია“. პირველები იძლევიან უფლებას ან თავს გვახევევენ თანამოსაუბრეების შებრკოლებებს. მაშინ როცა მეორეები პოზიტიურია ან ნეგატიური იმის მიხედვით აკმაყოფილებენ თუ აიმპლიკაციის წინა ლოკუციურ ფუნქციას. ბოლოს რთული იმპლიკაციის შემთხვევაში ინტერაქციული ფუნქციები საშუალებას მოგვცემენ მკაფიოდ ახსნან მთავარ აქტთან მიმართებაში დაქვემდებარებული შემადგენლის არგუმენტაციული როლი (გამართლება, კომენტარი, ახსნა დათმობა). არგუმენტაციულ მარკერებს აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, რადგან ისინი მიუთითებენ მოცემული ინტერაქციული ფუნქციის მეტნაკლებ მარკირებულობას. დისკურსის ცნებას გააჩნია რამდენიმე დაბრკოლება, როგორც საერთო მნიშვნელობის მქონე ყველა იმ ცნებას, რომელსაც იყენებენ ტექნიკური მნიშვნელობით. ზოგჯერ ეს არის მეტყველება სიტუაციაში, ზოგჯერ კონტექსტუალური თალსაზრისით ზოგჯერ

ინტენციის პრაგმატიკით. ზოგიერთმა ლინგვისტმა ცოტათი განსხვავებული განსაზღვრება მოგვიცა; ემილ ბენვენისტი წერს, რომ ფრაზა არის ლინგვისტური ანალიზის ბოლო საფეხური (Benvenist, 1966). იგი აღნიშნავს რომ ფრაზა განუსაზღვრელი მოდელია, უსაზღვრო ვარიაციაა- მოქმედებაში მყოფი მეტყველება; ფრაზით ჩვენ ვცვლიდებით ნიშანთა სისტემას და შევდივართ სხვა სამყაროში, ენის როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტის სამყაროში, ხოლო მისი გამოხატულება არის დისკურსი. ამრიგად, დისკურსი მეტყველების გამოყენება არ გამომდინარეობს ვიწროდ მხოლოდ სოციოლოგიიდან. მისი გამოყენება წარმოგვიდგენს ღია და განუსაზღვრელ ჰორიზონტს. ერთი პიროვნების მიერ გარკვეულ გარემოში გამოთქმული ფრაზა შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისით განვიხილოთ. ეს თვალსაზრისები გადაიკვეთება: პიროვნული ამბავი იმისა, ვინც წარმოთქვამს მას, მოქმედების ეპიზოდთა შესატყვისობა, სოციალურ ნორმებთან შესაბამისობა, ურთიერთობები, რომლებსაც ამყარაბენ თანამოსაუბრეები ერთმანეთთან.

დისკურსის ანალიზი მოიცავს ენობრივი ურთიერთობების სოციოკულტურულ, ინტერაქციულ მხარეებს. კ.ბელიონი ამბობს, რომ „დისკურსის ანალიზი არის ყოველდღიური, ბანალური საქმიანობა; ყოველი ინდივიდი ანალიზებს თავის გაზეთს, წერილს, რომელიც მიიღო, მეზობელ მეგიდასთან საუბარს, დისკურსს რადიოში. ის ამას იმიტომ აკეთებს, რომ ეს სიტყვები და ტექსტები თითოს სხვა, არა უშუალოდ ხელმისაწვდომ მნიშვნელობას შეიცავენ და მიემართებიან ისეთ თანამოსაუბრეებს, რომელთა იდენტიფიცირება რთულია. ტექსტის ყოველი წაკითხვა ან მოსმენა არის დისკურსის ანალიზი. ყოველი გაგონილი სიტყვა ან წაკითხული ტექსტი ისეთი ინფორმაციული შეტყობინებების სახით არ წარმოგვიდგება, რომელთა მნიშვნელობა იქნება ერთგვაროვანი. უშუალოდ ხელმისაწვდომი და ორაზროვნების გარეშე იდენტიფიცირებული ადრესატისაკენ“. (Beilon, 2000).

მ.გრავიცი თვლის რომ „დისკურსის ანალიზი არის კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს გამოყოს ლინგვისტური ანალიზის მეშვეობით ტექსტის წარმოქმნის პირობითობები. ვიწრო ინტერპრეტაციით იგი შეიძლება შევადაროთ შინაარსის ანალიზს, რომელიც რაოდენობრივი ნდაშედეგებით შემოიფარგლება. მაგრამ შინაარსის ანალიზი უფრო ფართო გაგებით გამოიყენება“ (Gravits/გრავიცი, 1996).

დისკურსის ანალიზი ადასტურებს, რო მკვეთრად გამოხატული დიქლოტომია მეცნიერების ობიექტს (ენა) და მოლაპარაკე სუბიექტის თავისუფლებას (მეტყველება) შორის

სოსიურისეული კონცეფციების შედეგია. დისკურსის ანალიზი „მეტყველებას“ ცვლის „დისკურსით“.

ო.დიუკრო გვთავაზობს დისკურსის თეორიას, რომელსაც უწოდებენ „დისკურსის კანონებს“ (Diukro/დიუკრო, 1987). ისინი წარმოადგენენ პირობითობებს, რომლებიც გარკვეული თამაშის წესთა ანალოგიურია; ვინც მონაწილეობს თამაშში, თანხმდება წესებზე. თუ არადა მას მიიჩნევენ თაღლითად, ასევე ისიც, ვინც იყენებს ენას, მეტყველებას მარგინალიზაციის შიშით ემორჩილება მის კანონებს.

2.2 პრაგმატიკული მარკერების ფუნქცია

პრაგმატიკულ მარკერებს დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე ენათმეცნიერებაში. მრავალფეროვნება შეიმჩნევა პრაგმატიკული მარკერების კვლევისადმი მიდგომაში, მეთოდოლოგიასა და ტერმინოლოგიაში. ეს კი, თავის მხრივ, განპირობებულია საკითხის მოცულობით, კერძოდ, პრაგმატიკული მარკერების ფუნქციათა და მნიშვნელობათა მრავალფეროვნებით. მიუხედავად არაერთი მეცნიერის მცდელობისა (Freizer/ფრეიზერი, 1996, Hatchinson/ჰატჩინსონი, 2003 და ა.შ.), პრაგმატიკული მარკერების ერთიანი და საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია არ არსებობს. აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი შრომების უმრავლესობა დისკურსის მარკერებს შეისწავლის.

წინამდებარე კვლევას საფუძვლად ბრუს ფრეიზერის მიერ შემოთავაზებული პრაგმატიკული მარკერების კლასიფიკაცია დაედო (Freizer, 1996). ეს არჩევანი განაპირობა აღნიშნული შრომის მასშტაბურობამ (ავტორი დისკურსის მარკერებს განიხილავს პრაგმატიკული მარკერების ერთ-ერთ ტიპად) და მარკერთა თითოეული ტიპის თანმიმდევრულმა დახასიათებამ. ამ კლასიფიკაციას საფუძვლად შემდეგი კონცეფცია უდევს: ყველა წინადადებას აქვს აქტუალური მნიშვნელობა, რომელსაც ბ. ფრეიზერი „პირდაპირი შეტყობინების პოტენციალს“ უწოდებს. იგი გამომდინარეობს წინადადებების მნიშვნელობიდან და იმ შეტყობინებების დაზუსტებას წარმოადგენს, რომლებიც შეიძლება საუბარში პოტენციურად იქნეს გამოხატული წინადადებების წარმოთქმისას. წინადადების „შეტყობინების პოტენციალი“ იშვიათად რეალიზდება სრულად. წარმოთქმის თავისებურებანი (მაგ., ინტონაცია) და კონტექსტი განსაზღვრავს წინადადებაში ჩადებულ მნიშვნელობას, გარდა ზოგიერთი შეტყობინებისა, რომლებიც თვით განსაზღვრავენ სხვებს ან დამატებით შეტყობინებას გამოხატავენ. მაგალითად, წინადადებას "Calm down!" პირველადი მნიშვნელობით თხოვნის გამოხატვის

პოტენციალი აქვს. თუ ეს წინადადება აღმავალი ინტონაციით წარმოითქმება, თხოვნა - შეკითხვად გადაიქცევა, ხოლო გაბრაზებულმა ხმამალა ტონმა შეიძლება გამოხატოს მოსაუბრის განაწყენება. მაგრამ ბ. ფრეიზერი აღნიშნულ შრომაში განიხილავს ადრესატის მიერ შეტყობინების პრაგმატიკული ინტერპრეტაციის პროცესის საწყის ეტაპს. ეს არის „შეტყობინების პოტენციალი“, რომელიც გამომდინარეობს თვით წინადადების მნიშვნელობიდან და მსმენელი სუბიექტის მიერ აღიქმება მანამ, სანამ შეტყობინების სრული აღქმა მოხდება.

წინადადების მნიშვნელობა - ენობრივ გამონათქვამებში ჩადებული ინფორმაცია შეიძლება გაიყოს ორ სხვადასხვა შემადგენელ ნაწილად. ერთი მხრივ, წინადადებაში ჩვეულებრივ დევს პროპოზიცია, შესაძლოა რთულიც, რომელიც წარმოადგენს ჭეშმარიტებას, სამყაროს კონტინუუმის გარკვეული სეგმენტის ასახვას ენაში, რომელზეც მოსაუბრეს სურს ადრესატმა გაამახვილოს ყურადღება. წინადადების მნიშვნელობის ეს ასპექტი ცნობილია, როგორც პროპოზიციული შინაარსი. „სინტაქსური ნომინაციის თეორიის მიხედვით, ყოველი წინადადება წარმოადგენს სინამდვილის რომელიღაც ფაქტის ხატს (იკონიკურ ასახვას). სინამდვილე - ესაა ე.წ. ავტომარული ფაქტების ერთობლიობა. წინადადებას, რომელიც ასახელებს ერთ ავტომარულ ფაქტს, პროპოზიცია ეწოდება“ (ლებანიძე, 2004). მეორე მხრივ კი, გამონათქვამის ნომინაციური შინაარსის გარდა გამოიხატება სხვა შეტყობინებები, აქ საქმე გვაქვს კომუნიკაციურ შინაარსთან, რომელიც ასახავს კომუნიკაციურ სიტუაციას. ამრიგად, ერთმანეთისაგან გამიჯნულია გამონათქვამის ნომინაციური და კომუნიკაციური შინაარსი. ნომინაციური შინაარსი უშუალოდ ასახავს რეფერენტულ სიტუაციას, წარმოადგენს მის ინტერპრეტაციას, გამონათქვამის კომუნიკაციური შინაარსი კი, კომუნიკაციურ სიტუაციას ასახავს. გამონათქვამის კომუნიკაციური შინაარსი პირდაპირ დაკავშირებულია კომუნიკაციური ინტენციის ცნებასთან, რომლის კონკრეტულად ხდება ილოკუციური ძალის ცნებით. ილოკუციური ძალა შეიძლება სხვადასხვა საშუალებით გამოიხატოს, მათ შორის, წინადადების სინტაქსური სტრუქტურის მარკერებით და განსხვავებული ფონეტიკური თვისებებისა და სირთულის მქონე ლექსიკური ერთეულებით, რომელთაც ბ. ფრეიზერის კვალდაკვალ, პრაგმატიკულ მარკერებს ვუწოდებთ. პრაგმატიკული მარკერები, რომლებიც მიჩნეულია, რომ უნდა იყოს გამოყოფილი და გამიჯნული წინადადების პროპოზიციული შინაარსისგან, არის ლინგვისტურად კოდირებული ინფორმაცია, რომელიც გადმოცემს მოსაუბრის პოტენციურ საკომუნიკაციო ინტენციას.

პრაგმატიკულ მარკერებს ფორმის თვალსაზრისით ცოტა რამ აქვთ საერთო ერთმანეთთან. პრაგმატიკულ მარკერებად შეიძლება სხვადასხვა სიტყვათა კლასის ელემენტი ფუნქციობდეს, თუ იგი პროპოზიციული შინაარსის ნაწილი არ არის. შედეგად, პრაგმატიკული მარკერების კლასი მრავალფეროვანია. იგი მოიცავს შორისდებულებს (Oh!, Uh!), რუტინებს (How are you?), საპასუხო სიგნალებს, ვოკატივებს (Senator!), ზმნიზებებისა (francly, fortunately) და კავშირების (and, but) პრაგმატიკულ გამოყენებას, შემარბილებლებს (If you don't mind...) და კიდევ ბევრ სხვა ენობრივ ერთეულს (Aimer/აიმერი, 2009). რადგან პრაგმატიკული მარკერები წარმოშობის მიხედვით შეიძლება განსხვავებულად ფუნქციობდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი ტიპების გარჩევა. ბრუს ფრეიზერმა (1996) შემოგვთავაზა პრაგმატიკული მარკერების ტაქსონომია, რომელიც განასხვავებს ოთხი ტიპის შეტყობინებას და შესაბამისად, მათთან დაკავშირებულ პრაგმატიკული მარკერების ოთხ ტიპს, რომლებიც ფუნქციებით განსხვავდებიან: ძირითად პრაგმატიკულ მარკერებს (რომლებიც აფიქსირებენ გამონათქვამის ილოკუციურ ძალას), კომენტარის მარკერებს (წარმოადგენენ კომენტარებს ძირითად შეტყობინებაზე), პარალელურ მარკერებს (აქ გამიზნული შეტყობინება ემიჯნება მთავარ შეტყობინებას) და დისკურსის მარკერებს (რომლებიც მთავარ შეტყობინებას აკავშირებენ მიმდინარე დისკურსთან).

ძირითად შეტყობინებაში წინადადების პროპოზიციის წარმოადგენს ერთადერთ შეტყობინებას. ძირითადი მარკერები, რომლებიც მეტ-ნაკლებად სპეციფიკურად მთავარი წინადადების ძალას აღნიშნავენ, მოიცავს წინადადების სინტაქსურ სტრუქტურას და ლექსიკურ გამონათქვამებს, მაგალითად, გამონათქვამი Do you think it was the right decision? წარმოადგენს ჟურნალისტის მოთხოვნას რესპონდენტის ვერბალურ პასუხზე, ანუ მოცემულ შემთხვევაში წინადადების კითხვითი წყობა წარმოადგენს ძირითად პრაგმატიკულ მარკერს.

შეტყობინება-კომენტარი წარმოადგენს კომენტარს მთავარ შეტყობინებაზე. შეტყობინება-კომენტარი და შესაბამისად, კომენტარის მარკერების არსებობა არჩევითია ანუ არ არის აუცილებელი წინადადება შეიცავდეს რომელიმე მათგანს:

„Obviously, yesterday was another tough day“

გამონათქვამში პროპოზიციულ შინაარსს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გუშინ იყო კიდევ ერთი რთული დღე, ხოლო პრაგმატიკული მარკერი obviously გამოხატავს მეტყველი სუბიექტის კომენტარს, რომ ეს ფაქტი ცხადი და აშკარაა.

პარალელური შეტყობინებები, ასევე არჩევითი, გამოხატავს მთლიან შეტყობინებას გამოყოფილს მთავარი შეტყობინებისაგან და შეტყობინება-კომენტარისგან. მაგალითად, ინტერვიუში ჟურნალისტი მიმართავს სენატორ მაკკეინს:

„Senator McCain, thanks very much for coming in..“ პრაგმატიკული მარკერით, რაც მოცემულ შემთხვევაში მიმართვით არის გამოხატული, მეტყველი სუბიექტი აკონკრეტებს იმას, რომ ძირითადი შეტყობინება მიმართულია პრაგმატიკული მარკერით დაფიქსირებული სუბიექტის მიმართ.

ბოლოს, არსებობს დისკურსის შეტყობინებები, რომლებიც ასევე არჩევითია. ისინი აჩვენებენ, როგორ არის მთავარი შეტყობინება დაკავშირებული მიმდინარე დისკურსთან, მაგალითად:

„You've passed more progressive legislation than any president since Lyndon Johnson. Yet your base does not seem nearly as fired up as the opposition, and you don't seem to be getting the credit for those legislative victories.“

შეტყობინება, რომლის საწყის პოზიციაშიც ფიქსირდება პრაგმატიკული მარკერი Yet, წინა დისკურსთან მიმართებაში გამოხატავს კონტრასტს.

ამრიგად, პრაგმატიკული მარკერები შეტყობინების ტიპებთან შესაბამისობაში მოდის და ოთხი ტიპისაა: ძირითადი მარკერები გამოხატავს მთავარი შეტყობინების ძალას, მარკერი-კომენტარი - შეტყობინებას, რომელიც წარმოადგენს კომენტარს მთავარ შეტყობინებაზე, პარალელური მარკერი კი - დამატებით შეტყობინებას მთავარ შეტყობინებასთან ერთად და დისკურსის მარკერი აღნიშნავს ურთიერთობას მთავარ შეტყობინებასა და მიმდინარე დისკურსს შორის.

ამ ოთხი ტიპის მარკერის დეტალურად განხილვამდე, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ პრაგმატიკული მარკერები წინადადების პროპოზიციული შინაარსის ნაწილი არ არის. ისინი გამოყოფილი და გამიჯნული არიან. ამიტომ, მოცემული ლექსიკური გამონათქვამისათვის (მაგ: truthfully, amazingly) კონკრეტულ წინადადებაში არ არსებობს ფუნქციების გადაფარვა. როდესაც ერთეული ფუნქციობს, როგორც ერთი ტიპის პრაგმატიკული მარკერი, იგი არ განიხილება, როგორც პროპოზიციული შინაარსის ნაწილი და პირიქით. გარდა ამისა, როდესაც ერთეული ფუნქციობს, როგორც ერთი ტიპის პრაგმატიკული მარკერი, ის იმავდროულად ვერ იმოქმედებს როგორც სხვა ტიპის მარკერი. ასე რომ, ამასთან დაკავშირებით გამორიცხულია რაიმე ორაზროვნება ან გაუგებრობა.

მეორე თავისებურება, რაც პრაგმატიკულ მარკერებს ახასიათებს არის ის, რომ მათ აქვთ მნიშვნელობა. მაგრამ თუ ძირითად, კომენტარის და პარალელურ მარკერებს აქვთ რეპრეზენტაციული მნიშვნელობა, რომლითაც ისინი აღნიშნავენ ცნებებს, დისკურსის მარკერებს აქვთ პროცედურული მნიშვნელობა და აკონკრეტებენ, როგორ არიან დაკავშირებული წინამავალ დისკურსთან ის წინადადებები, რომელთა ნაწილსაც თვითონ წარმოადგენენ.

პრაგმატიკულ დონეზე განასხვავებენ გამონათქვამის ორგვარ შინაარსს - კონცეპტუალურსა და პროცედურულს. ეს უკანასკნელი ახალი ხედვაა სემანტიკაში და რელევანტურობის თეორიის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს (მიუხედავად იმისა, რომ ბ. ფრეიზერი, რომლის ნააზრევსაც ეყრდნობა წინამდებარე შრომა, გარკვეულწილად ემიჯნება რელევანტურობის თეორიას და თვლის, რომ პრაგმატიკული მარკერების შესწავლისას იგი ახდენს ენის ლინგვისტურ ანალიზს და არ იზიარებს არც ერთ კონკრეტულ გრამატიკულ მიმდინარეობას (Freizer, 2005), ბუნებრივია, ბოლომდე გვერდს ვერ უვლის მათ). ტერმინი „პროცედურული“, ბ. ფრეიზერის თანახმად, პირველად დ. ბლეკმორმა (1987) შემოიტანა, რათა დისკურსის მარკერები სხვა ლექსიკური გამონათქვამებისგან გაემიჯნა (Freizer, 1999). დ. უილსონისა და დ. სპერბერის (Wilson/უილსონი, Sperber/სპერბერი, 1993) თანახმად, გამონათქვამში შეიძლება კოდირებული იყოს ორი ძირითადი ტიპის ინფორმაცია - რეპრეზენტაციული ანუ კონცეპტუალური და პროცედურული. იმ შესაძლო ენობრივ ერთეულებს, რომლებიც შეიძლება პროცედურული შინაარსის მატარებლები აღმოჩნდნენ, მიეკუთვნება შემდეგი: ნაცვალსახელები, დეიქსისი, ანაფორა, გრამატიკული დრო, კილო, ასპექტი, მოდალობა, სიტყვათა რიგი წინადადებაში და ინფორმაციული სტრუქტურა, დისკურსის მარკერები და ა.შ.

კონცეპტუალური ანუ რეპრეზენტაციული მნიშვნელობა ასახელებს მოცემული ლექსიკური ერთეულის გარკვეულ სემანტიკურ თვისებას, პროცედურული მნიშვნელობის მქონე გამონათქვამი კი უჩვენებს, როგორ უნდა მოხდეს დისკურსის წინა სემენტთან მიმართებაში მიმდინარე დისკურსის იმ სემენტის ინტერპრეტაცია, რომლის შემადგენლობაშიც ის შედის.

პრაგმატიკული მარკერების მესამე თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ისინი ისეთ ილოკუციურ შეტყობინებებს გამოხატავენ, რომლებიც მიმართულია პირდაპირი, ძირითადი შეტყობინებებისკენ. ისინი არ შეიძლება იყონ მიმართულნი ირიბი

შეტყობინებებისკენ, რომელიც შეიძლება იმპლიციტურად იყოს ჩადებული ძირითად შეტყობინებაში.

პრაგმატიკული მარკერების მეოთხე თავისებურება ისაა, რომ თითქმის ყველა პრაგმატიკული მარკერი შეიძლება აღმოჩნდეს წინადადების საწყის პოზიციაში და ეს ჩვეულებრივ ასეც ხდება. არის შემთხვევები, როდესაც ისინი შუა ან ბოლო პოზიციას იკავებენ, მაგრამ მარკერები ხშირად გამოყოფილია მძიმით ან ინტონაციით იმ მიზნით, რომ განვასხვავოთ ისინი ომოფონური ფორმისაგან, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც წინადადების პროპოზიციის ნაწილი. მაგალითად:

Frankly, I told him frankly what I thought!

ამ წინადადებაში პრაგმატიკული მარკერის Frankly გამოყენებით მეტყველი სუბიექტი აფიქსირებს საუბრის მანერას, რომ იგი გულახდილად ესაუბრება ადრესატს, მეორე frankly კი პროპოზიციის ნაწილია.

ბოლოს, პრაგმატიკული მარკერები შეიძლება მიეკუთვნებოდეს სხვადასხვა გრამატიკულ კლასს. ზმნები, არსებითი სახელები, ზმნიზედები ისე, როგორც ისეთი იდიომები, როგორცაა OK, გამოიყენება როგორც პრაგმატიკული მარკერი.

ამრიგად, იმისათვის, რომ ვიკვლიოთ პრაგმატიკული მარკერების ფუნქციობისა და მათი ტიპების გამოყენების სიხშირის თანმხვედრი და განმასხვავებელი თავისებურებანი ორ ენაში, შევიმუშავებთ საერთო კლასიფიკაციას, რომელსაც საფუძვლად ბ. ფრეიზერის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია დაედო.

დისკურსის პრაგმატიკული მარკერების შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დისკურსის პრაგმატიკული მარკერები ორივე ენაში მოიპოვება. კერძოდ, ინტერვიუში, როგორც მედიადისკურსის უმნიშვნელოვანეს სეგმენტში დისკურსის მენეჯმენტს საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა. ეს უდაოდ ინტერვიუს, როგორც პოლიტიკური მედიადისკურსის მიზნებითა და ამოცანებითაა განპირობებული. დისკურსის მენეჯმენტი საბოლოო ჯამში ემსახურება საუბრის სასურველი, სპეციფიკური მიმართულებით წაყვანას და მსმენელ სუბიექტზე გარკვეული პერლოკუციური ეფექტის მოხდენას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკური იდეოლოგიის განხორციელებას, დამარწმუნებელ ზემოქმედებას. დისკურსის მარკერები საშუალებას იძლევა მსმენელმა სუბიექტმა, საზოგადოებამ გააკეთოს მიღებული

ინფორმაციის მეტყველი სუბიექტის მიზნების შესაბამისი ინტერპრეტაცია. როგორც შეპირისპირებითა ანალიზმა აჩვენა, ინგლისურენოვან ინტერვიუში 14,7%-ით მეტი დისკურსის მარკერი დაიძებნა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინგლისურენოვანი მეტყველი სუბიექტი პოლიტიკურ თემაზე საუბრის დროს, ძირითადი შეტყობინების გადაცემისას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დისკურსის მენეჯმენტს, როგორც თავისი იდეოლოგიური მიზნის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას, ვიდრე ქართველი.

ყველაზე დიდი მაჩვენებელი ორ ენაში პრაგმატიკული მარკერების სხვადასხვა ქვეკლასმა აჩვენა: ინგლისურ ენაში ყველაზე დიდი დატვირთვა მოდის აზრის განვითარების მარკერებზე (დისკურსის მარკერთა კლასიდან) - 32%, ქართულ ენაში კი პირველი ადგილი სიცხადის მარკერებს უჭირავს (კომენტარის მარკერთა კლასიდან) - 32,7%.

ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში შეფასების მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 5,9%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 2,1%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: შეფასების მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 13,2 %-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 6,6 %-ს.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში საუბრის მანერის გამომხატველი მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 10,1%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 3,6 %-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: საუბრის მანერის გამომხატველი მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 6,2%-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 3,1 %-ს.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში სიცხადის მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 72,3 %-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 25,9%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: სიცხადის მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 65,3 %-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 32,7%-ს.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში გაგონილის გადმოცემის მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 0,6%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 0,2 %-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: გაგონილის გადმოცემის მარკერების ქვეკლასი შეადგენს კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასის 3%-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 1,5 %-ს.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში კონტრასტული მარკერების ქვეკლასი შეადგენს დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კლასის 23,6%-ს, ხოლო

ინგლისურენოვანი სეგმენტის 14,6%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: კონტრასტული მარკერების ქვეკლასი შეადგენს დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კლასის 27,8 %-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 13,1%-ს.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში თემის შეცვლის მარკერების ქვეკლასი შეადგენს დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კლასის 0,6%-ს, ხოლო ინგლისურენოვანი სეგმენტის 0,4%-ს. ქართულენოვან სეგმენტში კი მდგომარეობა ასეთია: თემის შეცვლის მარკერების ქვეკლასი შეადგენს დისკურსის პრაგმატიკული მარკერების კლასის 14,2 %-ს, ხოლო ქართულენოვანი სეგმენტის 6,7%-ს.

საანალიზო კორპუსის ქართულენოვანი სეგმენტი გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. პრაგმატიკულ მარკერთა თითოეულ ტიპი ქართულ ენაში გაცილებით მრავალფეროვანი ფორმებით ვლინდება, ვიდრე მისი პარალელური ინგლისურენოვანი სეგმენტი. მაგრამ მიუხედავად მრავალფეროვნებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მარკერების ნაწილი მსგავსი ფუნქციით ოპერირებს, ანუ ერთსა და იმავე ილოკუციას გამოხატავს. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქართული ენა ზოგადი თვალსაზრისით მდიდარია ტერმინებითა და ისეთი სიტყვებით, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანს, ზედმიწევნით ზუსტად გამოთქვას თავისი აზრი და დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია. მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ამ ენაში ჩაიდო უამრავი სინონიმური სიტყვა, ინგლისურ ენაში კი, როგორც საერთაშორისო კომუნიკაციის ენაში, კომუნიკაციის კრახის თავიდან არიდებისა და ურთიერთობის გამარტივების მიზნით შეიმჩნევა ტერმინების შეკვეცის მცდელობა და ენის გამარტივების ტენდენცია.

ამრიგად, საკვლევი ობიექტის შეპირისპირებისას ორ ენაში, გამოვლინდა როგორც თანხვედრა, ისე სხვაობები. ყოველივე ამას თავისი სპეციფიკური მიზეზები გააჩნია.

2.3 ახალი ამბების შესწავლა

ახალი ამბების დისკურსს ჩვეულებრივ განიხილავენ ან როგორც დისკურსის განსაკუთრებულ სახეს (მასობრივი კომუნიკაციის) ან როგორც განსაკუთრებულ სოციოკულტურულ ქმნილებას. წმინდა სტრუქტურული თვალსაზრისით, ახალი ამბების დისკურსის რიგი კვლევები არსებობს, ჩატარებულილინგვისტების მიერ, დისკურსის, სემიოტიკის, სტილისტიკის და რიტორიკის დარგის სპეციალისტების მიერ. მაგრამ ასეთი

სტრუქტურალისტური ნაშრომები ხშირად ცალმხრივია. ახალი ამბების ტექსტები მათში გამოიყენება დისკურსის განსაკუთრებული მახასიათებლის შესწავლაში სტრუქტურული ანალიზის გამოყენების საილუსტრაციოდ, მაგალითად ლექსიკის, როგორც სტილის კომპონენტის შერჩევა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ორივე მიდგომა მთავარი და აუცილებელია, მაგრამ ჩვენი აზრით ისინი უნდა გავაერთიანოთ. „წმინდა“ სტრუქტურული ანალიზი საკმაოდ უსარგებლო საქმიანობაა. თუ ვერ შევძლებთ ახალი ამბების ტექსტების წარმოებისა და აღქმის კოგნიტური და სოციოკულტურული კონტექსტის შეფარდებას ამ ტექსტების სტრუქტურასთან. ლინგვისტიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებამ 70-იან წლებში ცხადად გვაჩვენა, რომ ფორმალური გრამატიკის შექმნაში კონტექსტურ თავისუფალი მიდგომა ენასთან უკეთეს შემთხვევაში ცალმხრივია და ნებისმიერ შემთხვევაში ემპირიულად არაადეკვატური. ეს ეხება ახალი ამბების დისკურსის ანალიზსაც.

საგაზეთო ახალი ამბების ტექსტებზე მრავალი სპეციფიკური შეზღუდვის დამაკმაყოფილებლად ახსნა შეუძლებელია, თუ ზუსტად არ განვსაზღვრავთ მათი არსებობის სოციალურ (პროფესიონალურ) პირობებს, ანუ მათ სოციო-კოგნიტურ ფუნქციას მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების სისტემაში. მართლაც რატომ აქვს ახალ ამბებს სტატიის სათავეში მსხვილი, შავი შრიფტით აწყობილი სათაურები? ან პირიქით, გამოცემის საფუძვლიანი ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და ეკონომიკური ანალიზიც და ახალი ამბების მოხმარებაც უკეთეს შემთხვევაში იქნება არასრული, ამ პროცესში ჩართული „პროდუქტის“ არსის დეტალური აღწერის გარეშე. ახალი ამბების წარმოების, გაგების და დამახსოვრების პროცესი დამოკიდებულია ამ პროდუქტის ფორმატზე.

გრამატიკულად ორიენტირებულ მიდგომას ვხვდებით ფაულერთან და სხვებთან. ამ მკვლევარებმა შეძლეს ეჩვენებინათ, რომ წინასწარ აღებულობა ახალი ამბების მიწოდებაში შეიძლება გამოიხატოს წინადადების სინტაქსური სტრუქტურითაც, მაგალიტად აქტიური და პასიური კონსტრუქციების დახმარებით, რომელიც საშუალებას აძლევს ჟურნალისტს მოათავსოს ან არ მოათავსოს მოქმედი პირები სუბიექტის პოზიციაში. ასეთი მიდგომა აჩვენებს, რომ გრამატიკული ანალიზის შეზღუდული საშუალებების გამოყენებითაც შეიძლება გაზეთისა და ცალკეული ჟურნალისტის იდეური წესების შესაბამისი გამოხატვის ენობრივი ხერხების გამოვლენა. ჰარტლი ყურადღებას უთმობს ასევე სატელევიზიო ახალ ამბებს, მაგრამ ამას აკეთებს დისკურსის სემიოტიკურ ანალიზზე დაფუძნებული უფრო ფართო პერსპექტივით, რაც მას

საშუალებას აძლევს აწარმოოს კინორეპერტუარების, ფოტორეკლამების და კინოფილმების სისტემატიური აღწერა.

მრავალი მსგავსი კვლევა ტარდება დიდ ბრიტანეთში, ამასთან აქ მიმდინარე ახალი ამბების კვლევა გამოირჩევა მართლაც უდიდესი სიღრმით და თეორიული მრავალფეროვნებით. მიუხედავად ზემოთ ხსენებულ სხვადასხვა მიდგომებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებისა, ახალი ამბების დისკურსის კვლევის შესახებ წარმოდგენილი ნაშრომი გვევლინება არსებითად, ემპირიული და სტრუქტურული ანალიზის საინტერესო შეთავსებად ცნობების იდეური მიმართულობის კრიტიკულ ანალიზთან. გაცილებით ნაკლებ სერიოზულობით ხასიათდება ამერიკული კვლევების უმეტესობა. იმშემთხვევაში როცა ისინი კრიტიკული ანალიზის ელემენტს შეიცავენ, ძირითადი ყურადღება მიქცეულია ინფორმაციის დამახინჯების საკითხებზე, მოქალაქეების უფლებების დარღვევებზე ან ახალი ამბების წარმოებისას უწყებრივი და კორპორაციული კონტროლის პრობლემებზე. ხშირად ასეთი კვლევები ყოვნადაც აღწერის კრიტიკულ „გარემოებებზე“, მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ კვლევა იმისა, როგორ ამუქებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პრეზიდენტის არჩევნებს, უოტერგეიტს, „რასობრივ მღელვარებებს“ და სხვა საზოგადოებრივ მოვლენებს. მათში შეიძლება მოცემული იყოს დამაერებელი სურათი იმისა, რა იყო და რა არ იყო გაშუქებული, მაგრამ ისინი იშვიათად აღწევენ ახალი ამბების ნამდვილ სისტემურ ანალიზამდე. მათგან არ ველით ასევე იმ იდეური ფუნდამენტის კვლევას, რასაც ემყარება, რასაც ემყარება ახალი ამბების წარმოება ამერიკულ პრესაში.

ახალი ამბების ანალიზისა და დისკურსის შესახებ ბოლო შრომების მოკლე მიმოხილვის დასასრულს მივდივართ დასკვნამდე, რომ მკვლევართა ყურადღება ძირითადად კონცენტრირებულია ახალი ამბების „კონტექსტზე“, კვლევების უმეტესობა ეძღვნება პრაქტიკული საქმიანობის საკითხებს და ახალი ამბების წარმოების სოციოკულტურულ და იდეურ კანონზომიერებებს. თვითონ ტექსტები ნაკლებადაა გამოკვლეული. უფრო ნაკლებადაა შესწავლილი ახალი ამბების ტექსტებისა და კონტექსტების ურთიერთქმედება. კიდევაც თუ ანალიზდება ახალი ამბები, მკვლევართა ყურადღება უმეტესად მიქცეულია ძირითადად მათ „შინაარსზე“, რომელიც რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ ხატოვნად თუ ვიტყვით, საქმის ნახევარია. რამდენიმე ლინგვისტურ ნაშრომში უკვე ბევრია გამოკვლეული ახალი ამბების ტექსტების ენის სტილისა და სინტაქსის სპეციფიკაში. შემდეგში, წლების განმავლობაში, წინ გვაქვს, ერთის მხრივ საფუძვლიანი, სისტემატიკური და თეორიულად დასაბუთებული შრომა

ახალი ამბების დისკურსულ ანალიზში, მეორე მხრივ, ამ კვლევების ინტეგრაცია თანამედროვე, დომინირებულ, სოციოლოგიური მიმართულების კვლევებთან.

სამწუხაროდ ეს თავი მოცემული მიმართულების მხოლოდ ერთი პატარა ნაბიჯია.

ცნობილია წმინდა ავგუსტინეს სიტყვები, რომელიც ამბობდა „ორაზროვნება ყველა სიტყვაშია“. ეს ფაქტი გონებას კი არ ამუხრუჭებს, არამედ მის დინამიურ ქმედებას განაპირობებს და ეს ასეა ყველა სფეროში. ჩვენი ინტერესის საგანი ლინგვისტიკაა და აქედან გამომდინარე კვლევის საგანი ლინგვისტრი აზროვნება იქნება.

უპირველეს ყოვლისა გავიხსენოთ ორაზროვნების დეფინიცია უნივერსალური ლექსიკონის მიხედვით-ლინგვისტური ორაზროვნება მაშინაა, როცა სიტყვას ან გამონათქვამს რამდენიმე ინტერპრეტაცია შეიძლება მიესადაგოს. ეს ინტუიტიური დეფინიცია ძალიან ფართეა, ამიტომ ცდილობენ ლინგვისტიკაში დააზუსტონ და შემოფარგლონ ეს განმარტება ყოველგვარი ვირტუალური თუ ორაზროვნებები, რომელთა საფუძველიც იმეზნება გარკვეული ენობრივი სისტემის სტრუქტურაში და იმ კანონებში, რომელთა მიხედვითაც ფუნქციონირებს. ამ განსაკუთრებულ შემთხვევებთან არის დაკავშირებული ან ინტერპრეტაციის პრობლემით არის გამოწვეული. ამგვარი მიდგომით, რომელიც არც მარტივია და არც პირობითობას მოკლებული.

ორაზროვნებები ტრადიციულად მიჩნეულია, როგორც შემთხვევითი ენობრივი არასრულყოფილება, რაც საფრთხეს უქმნის კომუნიკაციას. გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვათა თამაში, კალამბურები, რაც პირიქით მოსაუბრის გონიების სისხარტზე მეტყველებს. კლასიკური გაგებით ომონიმას პოლისემია უპირისპირდება, სადაც პრობლემად დგას ენობრივი ერთეულის, ან რაიმე კონსტრუქციის ღირებულების იდენტიფიკაცია. გენერატიული გრამატიკის მიმდევრები ცდილობენ ომონიმია პოლისემიის მოდელამდე დაიყვანონ, რის გამოც ორაზროვან გამონათქვამს იმდენი ქვესტრუქტურა მიეწერება, რამდენი ინტერპრეტაციაც არის შესაძლებელი. სხვები კი, ევროპული სტრუქტურალიზმის მიმდევრები სხვადასხვა ინტერპრეტაციას მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ ძირითად ღირებულებასთან მიმართებით, რაც თითოეული ნიშნის ან სტრუქტურის შინაარსს განსაზღვრავს, რასაც შეიძლება ახლდეს გაუგებრობა, რასაც თავის მხრივ მოხსნის ან ვერ მოხსნის დისკურსი. მაშასადამე დაპირისპირება ორაზროვანსა და ბუნდოვანს შორის, ომონიმიასა და პოლისემიას შორის არ არის აბსოლუტური ხასიათის. ამიტომ ორაზროვნება ვერ დაიყვანება მარგინალურ შემთხვევითობათა სიმრავლედ, ის უფრო ენის სისტემის თანმდევ თვისებად

წარმოჩნდება, რაც ვერ ვნებს ადამიანთა შორის კომუნიკაციას, არამედ ამ კომუნიკაციას ანიჭებს სპონტანურად ფართობით ხასიათს.

მართალია ეს აზრი დიდად საყურადღებოა, მაინც საჭიროა დისკურსს მოეხსნას ორაზროვნება, რათა უპრობლემო კომუნიკაცია შედგეს, რომ თავიდან ავიცილოთ ყველა სახის გაუგებრობა, რასაც ნამდვილად შეუძლია დისკურსის ზუსტი აღქმა შეაფერხოს. პრობლემის თავიდან ასაცილებლად დისკურსის ფართო კონტექსტი უნდა მივიღოთ მხედველობაში.

ფუკოს და ადამის თალსაზრისით დისკურსული მატერიალიზმის ცვლილება იწვევს აზრის რყევას. თუმცა, აქვე გვახსენდება მატეი გიდერის აზრი, რომელიც მიიჩნევს, რომ არანაირი მიდგომა საკითხისადმი არ აქვს ამომწურავი, რომ ამგვარი დამოკიდებულებები ერთმანეთ ავსებენ. ჟურნალისტური მედია-დისკურსი განსხვავდება სხვა ტიპის დისკურსებისაგან, მაგრამ ისიც შეიძლება იყოს ორაზროვანი. ერთი ჟურნალისტი წერდა ინგლისში მიმდინარე ერთ-ერთ მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატზე, რომ ამ ქვეყანაში ნახა „საოცარი ღრუბლები“. ამ ფრაზით მას სურდა ეთქვა, რომ ინგლისში არ იყო მზიანი ამინდი, თანაც გაგვახსენა ბოდლერის საოცარი ლექსი „საოცარი ღრუბლები“. ამ ფრაზით ჟურნალისტმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება ინგლისური ამინდის მიმართ, მას არ მოეწონა ღრუბლიანი ამინდი, ან გამოხატა ირონია ინგლისური ამინდის მიმართ. ალბათ უფრო ირონიაა ამით გამოხატული, რადგან ფეხბურთის მატჩის დროს სასურველია იყოს მზიანი დღე და არა წვიმა და ღრუბლები. ანუ ორაზროვნება შეიძლება ფიგურირებდეს არა მხოლოდ ლიტერატურულ დისკურსში, არამედ ჟურნალისტურ დისკურსშიც. ნებისმიერ ვერბალურ დისკურსში, ზეპირი იქნება თუ წერილობითი შეიძლება იყოს ორაზროვანი ელემენტები.

ცხადია ორაზროვნება მხოლოდ პოეტურ ტექსტში არ მოიძებნა. აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მათემატიკურ დისკურსებში არ არის ორაზროვნება. იდეალური იქნებოდა იურიდიული შინაარსის მქონე დისკურსებშიც რომ არ ყოფილიყო ორაზროვნება, მაგრამ არა ერთხელ გავვიგია, რომ ერთი და იგივე საკანონმდებლო ტექსტი რამდენიმე ინტერპრეტაციის წყარო შეიძლება გახდეს. ჩვენი პოსტულატი იქნება ის, რომ თითქმის ყველა დისკურსი შეიცავს ორაზროვნების მომენტს, რის გასაფანტავადაც მსმენელის ან მკითველის მსმენელის ან მკითხველის მხრიდან ყურადღების კონცენტრაციაა საჭირო, მაგრამ ამასთანავე ტექსტის და კონტექსტის მიღმა, ინტერაქციაში მყოფ პირს უნდა ჰქონდეს ენციკლოპედიური ცოდნაც, რაც არის დამხმარე საშუალება ორაზროვნების აღმოსაფხვრელად.

დღეს მხატვრულ ლიტერატურაზე მეტად გაზეთებს კითხულობენ, ხოლო ზეპირ მედიაში უფრო ყოველდღიურ ამბებს გადმოსცემენ ან ანალიზებენ. გამომდინარე საყოველთაო დიდი ინტერესიდან ჩვენს გარკვეულ ყურადღებას იპყრობს ჟურნალისტური დისკურსი, რომელსაც მედია-დისკურსი შეიძლება ვუწოდოთ და რომელიც თავის თავში გააერთიანებს როგორც წერილობით ასევე ზეპირ დისკურსს. თუმცა აქვე ავლნიშნავთ, რომ ტელედისკურსი საკმაოდ განსხვავდება საგაზეთო დისკურსისაგან. პირველი-უფრო თამამი და გაბედულია. მეორე-უფრო თავშეკავებული. მართალია საკმაოდ მკაფიოა განსხვავება მხატვრულ დისკურსსა და მედია-დისკურსს შორის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ დიდი მწერლები ხშირად ჟურნალიზმიდან მოდიან, ყველამ იცის თუ როგორ მნიშვნელოვან რეპორტაჟებს ქმნიდნენ ჟოზეფ კესელი და ალბერ კამიუ. ცნობილია, რომ ბალზაკი და ზოლაც მუშაობდნენ ჟურნალისტიკაში. მაგრამ უკვე მე20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჟურნალიზმი უარს ამბობს ამ მემკვიდრეობაზე და უკვე სპეციალიზებული დისკურსების ვულგარიზაციას ეწევა.

ჟურნალისტური დისკურსის მახასიათებელია პოლიფონიურობა და კულტურის გამოხატვის უნარი. ორაზროვნება კი არა მარტო სიტყვის პოლისემიურობიდან, არამედ კულტურული სხვაობიდან შეიძლება აღმოცენდეს. „საოცარი ღრუბლები“ ამის კაფიო მაგალითია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ტერორიზმზე და ომზე შექმნილი წერილობითი თუ ზეპირი დისკურსები წყლის ორი წვეთივით ჰგვანან ერთმანეთს, რაც აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ კოლექტიური მეხსიერების დამსახურებაა, რადგან ტერორიზმისა და ომის ხატი, რომელიც შექმნილია მედიის წყალობით, საერთოა დასავლური სამყაროსათვის და არა მარტო აქ, რა იწვევს იმას, რომ მისი ამსახველი მედია დისკურსები ერთმანეთს ჰგავს. მაგრამ მნიშვნელოვანია სხვადასხვაენოვან მედიადისკურსებს შორის არსებული განსხვავება, რასაც განაპირობებს განსხვავება ისტორიებს, სოციოკულტურულ კონტექსტებსა და ჟურნალისტურ საქმიანობათა შორის. ალბათ ამ განსხვავების შედეგია ის, რომ ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა მედიადისკურსში სხვადასხვანაირად შეიძლება წარმოჩნდეს. თვალშისაცემია ტელედისკურსის განსხვავება წერილობითი ჟურნალისტური დისკურსისაგან, ტელედისკურსი სადისკურსო კია ზოგჯერ, წერილობით დისკურსისაგან განსხვავებით, მაგ, მთელმა მსოფლიომ ნახა პირდაპირ ეთერში სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯა. ეს ცოტა გაუგებარია, რადგან იგივე დასავლური პრესა, როგორც ავლნიშნეთ კონკრეტული მოვლენის აღწერისას ევფემიზმებს იყენებდა, რაც ალბათ იმით შეიძლება აიხსნას, რომ დასავლეთს არჩეული აქვს ფრთხილი პოლიტიკა. კონტრასტული ანალიზისათვის

მიმდინარე ნაშრომში განვიხილავთ ბრიტანულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსებს, რომლებიც თავის თავში მოიცავენ სხვადასხვა კულტურას.

ნატალი გარიკის აზრით, გამონათქვამი გადმოსცემს ზუსტად იმას, რასაც გამოხატავს ან გამონათქვამი გადმოსცემს იმაზე მეტს, რასაც გამოხატავს. ასეთ დროს საქმე ეხება იმპლიციტურ შინაარსს. მაგალითში „ფულს ბედნიერება აღარ მოაქვს“ ორი იმპლიციტური შინაარსი ფიქსირდება: ერთი-სავარაუდო და ერთი-ნაგულისხმევი. სავარაუდო იქნება-„იყო დრო, როცა ფულს ბედნიერება მოჰქონდა“, ხოლო ნაგულისხმევი-„შენ უნდა ისიამოვნო“. გამონათქვამი ინტერპრეტაცია ეყრდნობა ინტენციის ცნებას. მოსაუბრე თავისი საუბრით გარკვეულ ფინალამდე მიდის, რაც არის სემანტიკური და პრაგმატიკული გეგმა, ხოლო თანამოსაუბრე ახდენს გამონათქვამის ინტერპრეტაციას იმისდა მიხედვით რაც მას ჰგონია, გამომდინარე ენონსიაციის გარემოებებიდან, რაც თანამოსაუბრეს-ენონსიატორსა და თანამოსაუბრეს შორის, მათ საბოლოო მიზანი აერთიანებთ. მაგრამ თუ თანამოსაუბრე დროით და სივრცით დაშორებულია, მაშინ კოპერაცია წარმატებული ვერ იქნება. იმისათვის, რომ ენონსიატორის, ანუ მოსაუბრის ინტენცია ნათელი გახდეს, თანამოსაუბრისათვის უნდა არსებობდეს კოპერაცია მათ შორის, რაც წარმატებული იქნება მაშინ თუ მოსაუბრეებს დაახლოებით ერთნაირი კულტურული დონე ექნებათ. იმ შემთხვევაში კი, თუ მოსაუბრეთა შორის დროითი და სივრცითი სხვაობა იქნება, ანუ ავტორსა და მკითხველებს შორის, მოიხსნება, თუ მკითხველები კულტურული ადამიანები იქნებიან, რომელთათვისაც ტექსტის დროინდელი რეალობა არ იქნება უცხო. ანუ, თუ შეაჯამებთ, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად უნდა ვიცოდეთ სიტყვის პოლისემია, ომონიმია და უნდა ვიცნობდეთ ფართე კონტექსტს და გვქონდეს ენციკლოპედიური განათლება, რომ თავიდან ავიცილოთ ის გაუგებრობები, რაც ორაზროვნებას შეიძლება მოჰყვეს. ჟურნალისტური დისკურსი არის ინტერაქციაში იმ მოვლენასთან, რომელიც იცვლება ძლიერი მედიატიზაციის შედეგად და აქედან გამომდინარე კარგავს ღირებულებას. ისმის კითხვა, ორაზროვნება ხომ არ არის პოლიტიკური შინაარსის ჟურნალისტური დისკურსის საგანი, იმისთვის, რომ გამიზნულად წარმოიშვას ორაზროვნება რადგან შიშველი სიმართლე ალბათ სახიფათოა. აქვე ჩნდება სრულიად უჩვეულო კითხვა, ხომ არ არის ჟურნალისტური დისკურსის პოეტური დისკურსის მსგავსი, მოეტური ტექსტის მსგავსი, რადგან ორივე სავსეა ორაზროვნებით. არამც და არამც, რადგან პოეტური ორაზროვნება ლამაზია და სასიამოვნო, იმიტომ, რომ ის ესთეტიკურ ღირებულებას წარმოადგენს, რაც წარმოუდგენელია პოლიტიკური, ჟურნალისტური დისკურსისათვის. პოლიტიკური

დისკურსისათვისაც არის დამახასიათებელი იმპლიციტურად ემოციები, მაგრამ ისინი თითქმის ყოველთვის ნეგატიური ღირებულებებისაა, ასეთებია შიში, პანიკა, ირონია და ცინიზმი.

მედია-ტექსტი კოდებისა და ნიშნებისაგან შედგება. რომან იაკობსონი (1962) სამეტყველო აქტებისა და ვერბალური კომუნიკაციის ექვს შემადგენელ ფაქტორს გამოჰყოფს: ადრესატი, ადრესანტი, კონტექსტი, გადასაცემი ინფორმაცია (მესიჯი), კონტაქტი და კოდი. კონტაქტში იგულისხმება ფიზიკური ან ფსიქოლოგიური კავშირი ადრესანტსა და ადრესატს შორის, რომელიც საშუალებას აძლევს მათ დაამყარონ წარმატებული კომუნიკაცია. საგაზეთო სტატიების განხილვისას მნიშვნელოვანია სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინება. იაკობსონი (1962) წერს, რომ ზემოთმოყვანილი ექვსი ფაქტორი განსაზღვრავს ენის სხვადასხვა ფუნქციას, თუმცა იშვიათია ისეთი ვერბალური აქტიზ, რომელიც მხოლოდ ერთ ფუნქციას შეასრულებდა. ენის ფუნქციებზე საუბრისას იაკობსონი (1962) შემდეგ ექვს ფუნქციას განიხილავს: ემოციურს, რეფერენციულს, პოეტურს, ფატიკურს, მეტალინგვისტურსა და კონატურს (emotive, referential, poetic, phatic, metalingual, conative).

ორი ქვეყნის პრესაში ბოლო წლების გამოქვეყნებული მასალების კვლევისას დავინახეთ რომ ბრიტანელი და ქართველი მკითხველების ინტერესები და დამოკიდებულება სტატიების თემატიკისადმი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. თუ დიდ ბრიტანეთში გაცილებით მეტია ინტერესი საერთაშორისო საკითხების მიმართ, ქართველი მკითხველები უფრო შიანურ საკითხებზე არიან ორიენტირებულნი, რასაც შესაბამისად ითვალისწინებენ რედაქტორები და ეს ბუპლიკაციების თემატიკაშიც აისახება.

ორივე ქვეყნის „სერიოზული“ გაზეთები იყენებენ ნარატიულ ფორმებს, რომლებშიც ტრადიციულად კონოტირებულია ავტორიტეტულობა, ოფიციალურობა და სერიოზულობა. ხოლო „პოპულარული“ გაზეთების ანუ ტაბლოიდების დისკურსებში კონოტირებულია ფამილარულობა, მეგობრული შინაურული დამოკიდებულება და გასართობი ხასიათი.

თუმცა განსხვავება ადილობრივ და უცხოურ ბეჭდვით მედიას შორის მაინც ადვილად შესამჩნევია: თუ ბრიტანულ ბაზარზე სერიოზულსა და ე.წ. „ყვითელ“ პრესას შორის მკაცრი ზღვარია გავლებული, ქართულ გაზეთებში ამ მიჯნის დადება ჯერ კიდევ ძნელია: ის ადგილობრივი გაზეთები, რომელთაც „სერიოზული“ პრესის პრეტენზია აქვთ, ხშირად ავლენენ „ყვითელი“ პრესისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. კვლევამ ასევე

დაგვანახა, რომ ბრიტანული ტაბლოიდები ერიდებიან ბილწსიტყვაობასა და უხამს გამონათქვამებს, რასაც უხვად ვხვდებით ქართულ პოპულარულ გაზეთებში. ენის სტრუქტურის სიმყარის განმსაზღვრელ არსებით ფაქტორად გვევლინება დაგროვილი წერილობითი ტექსტების არსებობა, რომელთა ფართო ხელმისაწვდომობა ემსახურება ნაწერში დაფიქსირებული ნორმების შენარჩუნების გარანტიას. ამასთანავე, ენა როგორც საკომუნიკაციო საშუალება მუდმივად იცვლება.

ენა, როგორც სისტემათა სისტემა-არაერთგვაროვანი რაობაა, იგი მდიდრდება და იცვლება, მაგრამ რჩება ადამიანური არსის ყველაზე მყარ შემადგენელ ნაწილად, ნაციონალური ტრადიციების გარანტიად, სულიერი კულტურის მცველად.

ქვეყნის სოციალური და ნაციონალურ-კულტურული თავისებურებანი უშუალოდ ზემოქმედებს საზოგადოებრივი ენის პრაქტიკაზე, ენობრივი ურთიერთობის ფორმებზე, მასობრივი და პერსონალური ურთიერთობის სტილისტურ ნორმებზე.

მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებში უფრო მკვეთრად შესამჩნევია, ენის ნორმების კუმულაციური ცვლილებები, ლინგვისტების ღრმა ინტერესის მიზეზი, როგორც ნაციონალური ენის ყველაზე უფრო მობილური და განვითარებადი სტრატეგიაა.

პუბლიცისტურ მეტყველებაში, ეპოქის მეტყველებასა და სტილში მჟღავნდება მისი რაობა, საზოგადოებრივი ფენები, პოლიტიკური მოღვაწისა და მოქალაქის რენომე. აისახება საზოგადოებრივი ფსიქოლოგია, ხასიათი, შეფასება და გააზრება. მედია-მეტყველების გარეგნულ წარმავლობაში სიღრმისეულისა და მუდმივის ამოსაკითხად საჭიროა ზედმიწევნით ხანგრძლივი ლინგვისტური დაკვირვება. ჟურნალისტების მიერ, თავიანთი მიზნების მისაღწევად გამოყენებული საკომუნიკაციო სტრატეგიისა და ტაქტიკის სხვადასხვაგვარობის გამო, აქტუალური რჩება მასობრივი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ზეგავლენის პრობლემა მკითხველის და მსმენელის ცნობიერებაზე, ანუ გამიჯვნა საზოგადოების ინფორმირებასა და მისი ცნობიერებით მანიპულაციებისაგან. მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია ახალი ამბების ლინგვისტიკა. შესადარებელი მასალის მეტი თვალსაჩინოებისათვის, მითითებული პუბლიცისტური ჟანრის ენის ანალიზი ხორციელდება კონფრონტულ-პარალელურად და არა იზოლირებულად.

ბეჭდვაში მიღებული საკომუნიკაციო მოდელების განხილვისა და მასობრივი ინფორმაციის მასალების საშუალებებში ჩადებული ზემოქმედების მექანიზმების შესწავლისას, ყურადღებას ვაქცევთ ევფემიზაციისა და დისფემიზაციის პროცესებს.

ცნობილია, რომ ენაში მუდმივად არსებობს ანტინომიის თავისებური ბრძოლა, რომელიც განსაზღვრავს მის განვითარებას.

ახალი ამბების ტექსტები-თავისი მდგრადობით მაკრო და მიკრო სტრუქტურულ დონეზე, განმეორებითობის მაღალი ხარისხით და მრავალჯერადი კვლავწარმოების გამო-მასობრივი ინფორმაციის საბაზო ნაწილია. წარმოადგენენ, რა თემატურად მრავალკომპონენტთან საინფორმაციო სტრუქტურებს, ისინი ხასიათდებიან თავისებური ლინგვისტური ჩარჩოებით: ლექსიკური, სიტყვათწარმომქმნელი და გრამატიკული. ფლობს საზოგადოებრივი აზრით მანიპულაციის ხერხების მდიდარ არსენალს.

ახალი ამბების ანალიზი ორ მომენტს გულისხმობს-ერთი თვით ახალი ამბების შედგენას და მეორე-მის შემდგომ ანალიზს. რა თქმა უნდა ახალი ამბები ზემოქმედების ელემენტს უნდა შეიცავდეს და სწორედ ასეთი ზემოქმედების საშუალებაა რიტორიკული ფორმების გამოყენება. რიტორიკული ტროპები და ფიგურები სწორედ ის ძირითადი ერთეულებია, რომლითაც ანალიზის განხორციელებაა შესაძლებელი. რიტორიკული ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ინსტრუმენტული ერთეულების გამოყოფა, რომლებიც მსგავსი იქნება, როგორც ვერბალური შეტყობინებისათვის, ასევე ვიზუალური ხატების შეფასებისათვის. ახალ ამბებში რიტორიკული საშუალებები და ფორმები განსხვავებული სახითაა მოცემული. ამ დაშვებას ახალი ამბების სეტყობინებაში უბრალო დაკვირვებითაც ვამჩნევთ. აქედან გამომდინარე კი მნიშვნელოვანია გავიგოთ სხვადასხვა ახალ ამბებში რა რაოდენობის რიტორიკული ფორმებია დაფიქსირებული.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ახალი ამბების ტექსტების ლინგვო-სტილისტური ანალიზი. კვლევა ხორციელდება ფუნქციონალური გრამატიკის ჩარჩოებში, რაც გვთავაზობს ფუნქციის რეალიზაციის განხილვას, როგორც ენობრივი სისტემური ობიექტებისა და ნაირგვაროვანი გარემოს ურთიერთქმედების შედეგს. გარემო ენობრივ ერთეულებთან, კატეგორიებთან, დაჯგუფებებთან მიმართებაში-ესაა გარემოს როლის შემსრულებელი ენობრივი ელემენტების გარკვეული რაოდენობა, რომელთანაც ურთიერთობისას ერთეულთა ამოსავალი სისტემა ასრულებს თავის ფუნქციას.

განვიხილეთ და შევისწავლეთ 2011-2015 წლების ბრიტანული და ქართული პრესის ახალ ამბებში რიტორიკული ფიგურების რაოდენობა, სიხშირე და განსხვავებები. შევისწავლეთ 100 საგაზეთო ნომერი. აქედან 50 ბრიტანული და 50 ქართული. შევქმენით 4 ჯგუფის ცხრილი. 25-25 სერიოზული პრესა, 25-25 ბულვარული პრესა. ახალ ამბებში დავთვალით რიტორიკული ფიგურები- მორფოლოგიური, სიტყვათწარმოებითი, ლექსიკური და სტილისტური.

როგორც ცნობილია, კომუნიკაციის თეორიაში განიხილება ორი მთავარი მოდელი, რომლებიც შეიძლება დავყოთ როგორც ზემოქმედებაზე ორიენტირებული: საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება და აუდიტორიასთან დიალოგი. მოკლედ, შეგახსენებთ რომ კომუნიკაციის თეორიაში უმეტესად ცნობილია გ. ლასველისა და ტ. ნიუკომბის მეთოდი. პირველ მოდელს ეწოდება ხაზოვანი, ვიღაც ეუბნება ვინმეს აუცილებელი ეფექტის გამომწვევ რაიმეს. მეორე მოდელი-ინტერაქტიული (ეკუთვნის ნიუკომბს), რომელიც დაკავშირებულია ჟურნალისტსა და აუდიტორიას შორის თანხმობის წერტილის ძიებასთან. ამასთან ორივე მოდელი არ გამორიცხავს, არამედ გვთავაზობს ზემოქმედებას. 1980-იან წლებში ტ.მ. დრიდზე ამუშავებს კომუნიკანტსა და რეციპიენტს შორის ურთიერთგაგების მიღწევის მეთოდს. თანამედროვე სოციოლოგები შემფოთებულნი არიან იმ ფაქტით რომ ჩვენი ტოტალური ინფორმაციისა და გლობალიზაციის საუკუნეში, თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პრაქტიკაშიც განაგრძობენ აუდიტორიაზე ზემოქმედების მეთოდების გამოყენებას. გაზეთის ენა, ახალი ამბების ენა, მათ შორის პოლიტიკურის, მკითხველზე ზემოქმედების საშუალებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ენის ბევრი მკვლევარისათვის არის აქტუალური. ბეჭდვითი მასობრივი მედია საშუალებების სხვადასხვა ლექსიკურ-სტილისტიკური თავისებურებანი, ისეთები როგორცაა ლიტერატურული ენის ჯარგონიზაცია, ნებისმიერი სიტყვების გამოყენება, უცხო სიტყვები, ენობრივი შეცდომები და მეტყველების კულტური ნორმის დარღვევები, ენობრივი ექსპრესია, მეტაფორული გააზრება, მეტონიმები, ახალი მდგრადი გამონათქვამების ფორმირება, სიტყვათწარმომქმნელი პროცესები, ბიბლიური ლექსიკის გამოყენება, შემთხვევითობები, სინონიმები, სათაურიების ფორმირების თავისებურებანი ჟურნალისტისტიკის ლინგვისტიკის მრავალი მკვლევარის ნაშრომში საფუძვლიანი აღწერის საგანი გახდა. გაზეთი, როგორც მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთი სახეობა, რომლის მეშვეობითაც ინფორმაციის გადაცემა უმთავრესად ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით-სატექსტო მასალებით, აგრეთვე სხვადასხვა გამოსახულებებით ხდება, წარმოადგენ კომუნიკაციის სპეციფიკურ ტიპს.

გაზეთი ვერბალური და ვიზუალური სახის კომუნიკაციაა; იგი კომუნიკაციის საინტერესო და ორიგინალური ფორმაა; სადაც კომუნიკანტებს (ადრესანტს და ადრესატს) შორის არ არის უშუალო კავშირი, იგი ფაქტობრივად დისტანტური ტიპისაა, ე.ი. ინფორმაციის გადამცემი (ადრესანტი) აქტიურია, მიმღები (ადრესატი) - კი პასიური, მაგრამ გაზეთშიც, როგორც მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში (რადიო,

ტელევიზია) ეს უკუკავშირი ფარულ ხასიათს ატარებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხდებ ადრესატის სოციო-ლინგვისტურ ფაქტორთა (ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი, პროფესია, ეროვნული წარმომავლობა, სოციალური შეხედულება) გათვალისწინება. რიტორიკული საშუალებები და ფორმები (ფიგურები, ტროპები) ზემოქმედების საუკეთესო საშუალებაა. თანამედროვე ახალ ამბებში ნიშნის კონოტატიური ბუნება წინაა წამოწეული, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელზე ზემოქმედება ხორციელდება. ზემოქმედება გულისხმობს პირველ რიგში-ყურადღების გამახვილებას ახალი ამბების ძირითად შეტყობინებაზე; მეორე-ზემოქმედება ახალი ამბების ყველა სტრუქტურულ ერთეულს ეხება დასაწყისს, ტექსტს, ვიზუალურ მხარეს, სლოგანს და ა.შ. მესამე-ზემოქმედების ეს საშუალებები წინასწარ შეიძლება იყოს დაგეგმილი და მოთავსებული ახალი ამბების ტექსტებში.

რიტორიკული საშუალებები და ფორმები მხოლოდ ორატორების ხელოვნების სფეროში არ შედის, ის შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სფეროში. მაგალითად ჩვენ შემთხვევაში დისკურსის ანალიზის დროს. რიტორიკული ფორმების ზემოქმედებითი ბუნების მითითება საშუალებას იძლევა კომუნიკაციის პროცესს განსხვავებული თეორიული კუთხით შევხედოთ.

ახალი ამბების მიმართ დამოკიდებულების საკვლევ ერთ-ერთ მეთოდად ავირჩიეთ სემანტიკური დიფერენციალის მეთოდი. იგი კარგად აპრობირებული მეთოდია, განსაკუთრებით კი ახალი ამბების შეფასებისათვის. სემანტიკური დიფერენციალის სკალით შეისაძლოა შევამოწმოთ რამდენად პოზიტიურ ან ნეგატიურ დამოკიდებულებებს ავლენს რესპოდენტი შესაფასებელი ობიექტის მიმართ.

სემანტიკური დიფერენციალის სკალის შექმნა ძირითადად უნდა მოხდეს შესასწავლი ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე. მისი შედგენისათვის ჩვენ ახალი ამბებიდან ამოვიღეთ ის რიტორიკული ფიგურები, რომელთაც ვხვდებით ახალ ამბებში.

ახალი ამბების რიტორიკული ანალიზისათვის ჩვენი ძირითადი ინსტრუმენტი ეყრდნობა უ.ეკოს (1998). ა.ულიანოვსკის (1995). ა.ბერგერის (1998) მიერ გამოყოფილ ერთეულებს.

უ.ეკო თვლის, რომ რიტორიკული კოდები ვიზუალურ და ვერბალურ დონეზე დარწმუნების ფუნქციას ასრულებენ და გამოყოფს ხუთ შეფასების შრეს:

1. ხატოვანი დონე-საგნის ან მოვლენის ბუნებას გადმოსცემს და ძლიერი ზემოქმედების უნარი აქვს.
2. იკონოგრაფიული დონე-ისეთი კონფიგურაციების გამოყენება, რომლებიც საყოველთაოდაა მიღებული.

3. ტროპების დონე-ვერბალური და მათი ექვივალენტი ვიზუალური ტროპები და ფიგურები.
4. ტოპოსების დონე-საერთო სივრცის გამოყოფა, რომელზედაც არგუმენტები თანაბრად ვრცელდება.
5. ენთიმემების დონე-ზოგადი პრინციპების გამოყოფა.

2.4 ახალი ამბების დისკურსის შედარებითი ანალიზი ქართულ და ბრიტანულ გაზეთებში გამოყენებული სემიოტიკური ნიშნების მაგალითზე

„დისკურსის ანალიზი“ ანუ „დისკურსის კვლევა“ ზოგადი ტერმინია, რომელიც აერთიანებს წერილობითი და სამეტყველო ენის გამოყენების ან ნებისმიერი მოვლენის ასახვის სხვადასხვაგვარ გზებს, ხოლო მისი კვლევის ობიექტები-წერა, მეტყველება, დიალოგი და სხვა განისაზღვრებიან მწყობრი, თანმიმდევრული წინადადებებისა და სამეტყველო აქტების მეშვეობით. ტრადიციული ლინგვისტიკისაგან განსხვავებით, დისკურსის ანალიტიკოსები ენის გამოყენებას „მხოლოდ წინადადების საზღვრებს მიღმა“ კი არ შეისწავლიან, არამედ უფრო მეტად ცდილობენ გააანალიზონ ენის „ბუნებრივი“ გამოყენების მაგალითები და არა მხოლოდ გამოგონილი, ხელოვნურად შექმნილი ნიმუშები. კვლევის ამგვარი გზის ხდემომხრეები ცნობილი არიან „ლინგვისტიკის კორპუსის“ სახელით. ამჟამად დისკურსული და იანალიზით დაინტერესებული არიან სხვადასხვა სოციალური მეცნიერებების დისციპლინებიც, მათ შორის სოციოლოგია, კოგნიტური და სოციალური ფსიქოლოგია, საკომუნიკაციო და მთარგმნელობითი მეცნიერებები.

ზოგიერთი მეცნიერი დისკურსის ანალიზის პირველ ნიმუშად მიიჩნევს 1928 წელს გამოქვეყნებულ ავსტრიელი მკვლევარის ლეო სპიცერის ნაშრომს „სტილების კვლევა“. მაგრამ ეს ტერმინი ფართო გამოყენებაში დამკვიდრდა მხოლოდ 1952 წლიდან ზელიგ ჰარისის პუბლიკაციების სერიის დაბეჭდვის შემდეგ.

თანმიმდევრულ დისკურსში შემავალ წინადადებებს შორის ოფიციალური თანაფარდობითი კავშირები გასაგები ხდება წინადადების ტრანსფორმაციის მეშვეობით, რაც ტექსტს კანონიკურ ფორმას ანიჭებს. 60-70 წლებში დისკურსის ანალიზისადმი სხვადასხვა მიდგომები განვითარდა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში და ეს მიდგომები დაუკავშირდა ისეთ დისციპლინებს, როგორცაა სემიოტიკა, პრაგმატიკა და სოციოლინგვისტიკა. ცნობილი ფრანგი მეცნიერი პატრიკ სერიო თავის ნაშრომში

„დისკურსის ანალიზი ფრანგულ სკოლაში (დისკურსი და ინტერდისკურსი)“, აღნიშნავს, რომ ტერმინმა „დისკურსი“ მრავალნაირი დანიშნულება შეიძინა. მის მიერ შემოთავაზებული ჩამონათალიდან ყურადღებას მივაპყრობთ ერთ-ერთ საკითხს, რომელიც დისკურსის ანალიზის ტრადიციულ ხასიათს განიხილავს: „ტრადიცილად დისკურსის ანალიზი თავად განსაზღვრავს კვლევის ობიექტს და ერთმანეთისაგან განაცალკევებს აზრის გამოხატვასა და დისკურსს. აზრის გამოხატვა გულისხმობს ფრაზების თანმიმდევრულობას, რომლებიც ავსებენ სემანტიკურ ერთეულებს შორის არსებულ სიცარიელეს, კომუნიკაციის პროცესში არსებული წყვეტების მაკავშირებელი არიან. რაც შეეხება დისკურსს, იგის თავის მხრივ აზრის გამოხატვაა, მაგრამ იგი განიხილება დისკურსის იმ მექანიზმის თვალტახედვიდან, რომელიც მას წარმართავს“. წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ ახალი ამბების დისკურსს, რომელიც გაანალიზებულია ქართულ და ბრიტანულ გაზეთებში გამოყენებული სემიოტიკური ნიშნების მაგალითზე. ნიმუშებად აღებულია ერთის მხრივ ე.წ. „სერიოზული გაზეთები“, და მეორეს მხრივ ე.წ. „ტაბლოიდები“.

როგორც მოგეხსენებათ გაზეთები წარმოადგენენ კარგად ორგანიზებულ ინსტიტუტებს, რომლებიც საკუთარ საქმიანობას მათთვის ნაცნობი, ჩვეული ხერხებით ახორციელებენ. ჩვეულებრივ, ნიუსების მომზადება სწრაფი, ეფექტური და თითქმის განუწყვეტელი პროცესია. აქედან გამომდინარე გაზეთებს უხდებათ, დაეყრდნონ იმ ინფორმაციებს, რომლებსაც აწვდიან მათ ქვეყნებში არსებული, ხელმისაწვდომი წყაროები ან ახალი ამბების სააგენტოები, რომელიც სწორედ „ნიუსების“ მოპოვება-შეგროვებით არიან დაკავებულნი.

ბრაიან უაითეკერის მიხედვით (Whitaker/უაითეკერი, 1981) დიდ ბრიტანეთში ნიუსების წყაროებს წარმოადგენენ: პარლამენტი, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, პოლიცია და გადაუდებელი სამსახურები, სასამართლოები, სამეფო კარის პრესსამსახური, კალენდარული მოვლენები, რომლების წინასწარ იგეგმება (მაგალიტად სპორტული ღონისძიებები და კონფერენციები) და ახალი ამბების სხვა მედიები.

ბრიტანული გაზეთები ინფორმაციებს იღებენ სხვადასხვა ორგანიზაციებიდანაც, რომლებიც ამზადებენ პრესრელიზებს და მართავენ პრესკონფერენციებს. ამ ორგანიზაციებში შედიან სამთავრობო დეპარტამენტები, კომპანიები, პროფესიული კავშირები, საქველმოქმედო ჯგუფები და შეიარაღებული ძალები. ზოგჯერ საჯარო განცხადებებს აკეთებენ ინდივიდუალური პიროვნებებიც, რომლებიც თავისთავად ხდებიან ახალი ინფორმაციის წყაროები.

სამეფო კარის პრესსამსახური გამოკლებით, ინფორმაციის ანალოგიური წყაროებით სარგებლობენ ქართული გაზეთებიც, თუმცა აქვე ვიტყვით, რომ ბრიტანულისაგან განსხვავებით, საქართველოს ბეჭდურ მედიას ინფორმაციული სიახლეების მოპოვების კიდეც ერთი სერიოზული რესურსი გააჩნია: ესენია ის მრავალრიცხოვანი პარტიები, რომლებიც პრაქტიკულად ყოველდღიურად მართავენ ბრიფინგებს და აკეთებენ განცხადებებს.

კარგად ორგანიზებულ ამ უწყებებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსი, მედია იოლად უკავშირდება. ყველა ზემოთ ცამოთვლილი სუბიექტი ე.წ.

„ხელმისაწვდომი ხმებია“, რომლებსაც მედია ეყრდნობა, თავის მხრივ ამ „ხმებასც“ ჭირდებათ მედია მათთვის სასურველი ინფორმაციის საჯაროდ გასავრცელებლად. ინფორმაციის წყაროთა ჯგუფების დისკურსები წარმოადგენენ ახალი ამბების ენაში გამოსაყენებელ დაუმუშავებელ საწყის მასალას, რომელიც შემდეგ ნიუსების ენაზე გადაამუშავდება. ეს აუცილებელია, ვინაიდან ნიუსების ენა მომხმარებელურად უდგება დისკურსულ კოდებსა და მათ იდეოლოგიურ აღქმას.

ნიუსები ინტერტექსტუალურად არიან დაკავშირებულნი ზემოთ ხსენებული წყაროების მიერ გავრცელებული პრეს-რელიზებისა და საჯარო განცხადებების დისკურსთან და განიცდიან მათ ზეგავლენას. ჩვეულებრივ, ორგანიზაციები ამზადებენ და წვრთნიან პრეს სამსახურების იმ თანამშრომლებს, რომლებიც გაზეთებს ინფორმაციას აწვდიან და ასწავლიან მათ პრეს რელიზების წერას ნიუსების დისკურსის სტილისა და ენის მიხედვით.

მართალია საგაზეთო დისკურსსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების დისკურსებს შორის ძნელია განსხვავების პოვნა, მაგრამ, რაც შეეხება სხვადასხვა გაზეთში გამოყენებულ ლინგვისტურ კოდებს, ისინი ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულია.

კონკრეტული ლინგვისტური ნიშნები, ნარატიული ფორმები და მითური მნიშვნელობები, რომლებიც გამომდინარეობს ნიუსების წყაროებიდან, შემდგომში უნდა გარდაიქმნას რომელიმე კონკრეტული გაზეთისათვის დამახასიათებელ დისკურსად.

საგაზეთო დისკურსის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ასპექტს წარმოადგენ ის გზა და ხერხები, რომლებითაც იგი თავის მკითხველებს მიმართავს. კონკრეტულ ლინგვისტურ ნიშნებსა და მათ სხვადასხვაგვარ კომბინაციებს, რომლებიც საზოგადოებისათვის მიღებული კოდების შესაბამისად გამოიყენება, აქვთ იმის კონოტაცია, რომ საგაზეთო დისკურსი მკითხველის დისკურსის მაჩვენებელი ნიშანია, მკითხველის პიროვნული დისკურსული იდიომის გამოხატულება.

საგაზეთო დისკურსი ვერ იქნება ზუსტად იგივე, რაც მკითხველის ჭეშმარიტი, ინდივიდუალური დისკურსი, რადგან წინასწარ არავინ იცის ვის ხელში აღმოჩნდება ესა თუ ის გაზეთი, ვინ იქნება მისი მომავალი მკითხველი. ამასთან ერთად საგაზეთო ენა წერილობითია და არა სამეტყველო მაგრამ საგაზეთო დისკურსი იძენს კოდირებულ გაზეთის ფორმას, რომელიც მკითხველს მისთვის გასაგებ ენაზე ესაუბრება და თითქოს თხოვს მას (მკითხველს) იდენტიფიცირება მოახდინოს კოდით ნაგულისხმევ პოზოციასთან. აქვე ავლნიშნავთ, რომ დისკურსის ფორმები, რომლებსაც იყენებენ ერთის მხრივ ე.წ. „სერიოზული“ და მეორეს მხრივ „პოპულარული“ გაზეთები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია.

„პოპულარული“ ტაბლოდები იყენებენ ზეპირმეტყველებაზე დაფუძნებული სიტყვებისა და წინადადებების ტიპების შეზღუდულ ვარიაციებს, მაშინ როცა „სერიოზული“ გაზეთები მიმართავენ ბევრად უფრო დახვეწილ, რთული სახის კოდებს, რომელთაც უფორ მეტი საერთო აქვთ წერილობით კომუნიკაციასთან, ვიდრე ზეპირმეტყველებასთან. სერიოზული გაზეთებისათვის დამახასიათებელი დისკურსის ერთ-ერთ მაგალითად მოგვყავს ამონარიდი გაზეთ „ტაიმის“ პუბლიკაციიდან; The Times (23.12. 2010): “Tories Vent Their Fury Over Cable’s Survival”

Westminster, after the humiliation on Tuesday in which he was stripped of key responsibilities after saying he had “declared war” on Rupert Murdoch, chairman of News Corporation, the parent company of The Times.”

“The Tory backbenchers predicted that the Government would move to the left if the Lib Dems lost the Oldham East&Saddle-worth by-election next month, failed to hold on to control of councils in May and did not secure public backing for a change of the voting system; they also predicted further internal opposition to welfare changes.”

„დოქტორმა ქეიბლმა, სამშაბათს განცდილი დამცირების შემდეგ, -რაც გამოიწვია მისმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ იგი „ომს უცხადებდა“ „თაიმის“ პარტნიორი კომპანიის ახალი ამბების კორპორაციის თავმჯდომარეს რუპერტ მერდოკს, -ვენსტმინსტერში ყოფნას ტვინკენჰემში, საკუთარ სახლში დარჩენა და იქიდან მუშაობა ამჯობინა“.

„ტორების მხარდამჭერებმა იწინასწარმეტყველეს, რომ თუ ლიბერალ დემოკრატები დაკარგავენ ოლდჰემის ისტედლს მომავალი თვის არცევნებში, თუ დაკარგავენ საბჭოს მართვის სადავეებს მაისში და ვერ მოიპოვებენ ხალხის მხარდაჭერას საარჩევნო სისტემის ცვლილების საკითხში, მაშინ მთავრობა თანდათან მემარცხებზე ოპოზიციისაკენ გადაიხრება; ისინი ასევე შიშობენ, რომ ცხოვრების გასაუმჯობესებლად გასატერებელი

სასიკეთო ცვლილებების გამო არსებული შიდა დაპირისპირება კიდევ უფრო გაიზრდება“.

სტატიაში მოთხრობილია იმ დაპირისპირებაზე, რომელიც ბრიტანეთის პარლამენტში წარმოიშა კონსერვატორებსა და ლიბერალ-დემოკრატებს შორის და იმ უკმაყოფილებაზე, რომელიც ტორებმა გამოთქვეს პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონის წინააღმდეგ. როგორც ირკვევა პრემიერმა თავისი გადაწყვეტილებით დაიცვა კონსერვატორების მოწინააღმდეგენი.

ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი „თაიმსის“ სტატიიდან მისი ტრადიციული მკაცრი სტილის ერთი ნათელი მაგალითია: გამოყენებულია კოდირებული დისკურსის რთული და დახვეწილი მანერა, ძალიან გრძელი ხშირად რამდენიმე სტრიქონიანი წინადადებები, ენა გამართულია, ხოლო გრამატიკული ნორმები სრულადაა დაცული.

მოცემულ ამონარიდში დისკურსული სტაბილურობა წარმოდგენილია ოფიციალური ენისა და თხრობის სერიოზული ტონის მეშვეობით, რომელშიც კონოტირებულია მითური, პასუხისმგებლობით აღსავსე ჟურნალისტი, რომელიც ამბასს ზომიერი, თავშეკავებული შეფასებებით გადმოგვცემს, რაც თავის მხრივ ობიექტურობის კონოტაციის მატარებელია. ეს ყველაფერი იმაზე მიგვითითებს, რომ „თაიმსი“ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი და დისკურსიც შესაბამისი აქვს შერჩეული.

ანალოგიური დისკურსის მაგალითს გთავაზობთ ასევე სერიოზული პრესის კიდევ ერთი წარმომადგენლის-„გარდიანის“ პუბლიკაციიდან, რომელიც ბირთვული იარაღის შეზღუდვასთან დაკავშირებით რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას ეხმაურება.

“THE GUARDIAN” (2010, 23. 12). ”Obama faces new hurdles for nuclear priorities”

“The new arms control treaty with Russia, which was ratified by the Senate on Wednesday, was initially envisioned as a speed bump on President Barack Obama’s nuclear agenda, a modest 130 reduction in nuclear forces that would enable him to tackle much harder issues on the way to his dream of eventually eliminating nuclear weapons altogether.”

„იარაღის კონტროლის ახალი ხელშეკრულება რუსეთთან, რომლის რატიფიკაცია სენატმა ოთხშაბათს განახორციელა, დასაწყისში მიიჩნეოდა, როგორც ბარაკ ობამას ბირთვულ გეგმებზე დარტყმად, ბირთვული შეიარაღების მოკრძალებულ შემცირებად, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა უფრო მძიმე საკითხებს შესჭიდებოდა, რომლებიც მას ელოდება ბირთვული იარაღის საბოლოო გაქრობის მისეული ოცნების განხორციელების გზაზე.“

როგორც ვხედავთ ერთი წინადადება რომელიც მთელ აზვაცს იკავებს, საყურადღებოა მისი მხოლოდ გაცნობიერებულ მკითხველზე ორიენტირებული კოდირებული დისკურსით. ამ ნაწყვეტიში ნაგულისხმევია მითური შესაბამისობა მკითხველის სამეტყველო დისკურსსა და გაზეთის წერილობით დისკურსულ კოდს შორის, რაც შესაძლებლობას აძლევს გაზეთს, რომ დიალოგში ჩაითრიოს მკითხველი.

სერიოზული ღირებულების ნიუსების შექმნის სურვილი შეიძლება დაუპირისპირდეს კონსესუსის მიღწევას, თანმიმდევრული და მშვიდი რეალობის გადმოცემას, რადგან ნიუსები უფრო ხშირად გადმოსცემენ ისეთ მოვლენებს, რომლების ემუქრებიან სტაბილურობის განცდის აღძვრას. ამ დაპირისპირების კონტექსტის ფარგლებში, ნიუსების დისკურსში სტაბილურობის შენარჩუნების იდეოლოგია საკუთარ როლს გადაულოცავს დისკურსის ლინგვისტურ სტრუქტურებს.

ჯონათან ბიგნელის აზრით, სტაბილურობის განცდა ნათლად იკვეთება ნიუსის ერთი და იგივე დისკურსის გამოყენებაში ყველა მასალასა და გაზეთის ყველა გამოშვებაში.

ჩვენს მიერ მოყვანილი პოლიტიკის თემაზე დაწერილი სტატიებიდან ამოვიღეთ.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დისკურსის მკაცრი, მშვიდი სტილი სერიოზულმა თემამ განაპირობა, მაგრამ „თაიმის“ ბოლო გვერდებზე გამოქვეყნებული მასალებიც, რომლებიც, ნებისმიერ, უფრო „მსუბუქ“ თემებს, კერძოდ კულტურასა და სპორტს ეძღვნება ხოლმე, ასევე ხასიათდება სერიოზული გაზეთის მიერ ტრადიციად დამკვიდრებული დისკურსისთ.

მაგალითად გაზეთ „თაიმის“ იმავე ნომერში გამოქვეყნებული სტატია „some like it hot“ („ზოგს ცოცხლად ურჩევნია“) მოგვითხრობს მერლინ მონროს შესახებ გამოსული ახალი წიგნის შესახებ, რომელიც მსახიობს დღემდე უცნობი კუთხით, როგორც კარგ მზარეულს წარმოგვიჩენს. მიუხედავად იმისა, რომ თემა პოლიტიკასთან შედარებით უფრო სალადოა დისკურსის მკაცრი მანერა და წერილობითი სტილისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი ამ სტატიაშიც შენარჩუნებულია, კერძოდ:

“A book has recently been published that collects Marilyn Monroe’s jottings and writings from among her effects. Critics were stunned by the mature intellect Fragments revealed, so far from the sex bomb persona she cultivated”.

წიგნი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დაიბეჭდა, აერთიანებს მერლინ მონროს ჩანაწერებს. კრიტიკოსები გააოგნა ფრაგმენტებში გამომჟღავნებულმა ინტელექტმა იმ ადამიანის მხრიდან, რომელიც დღემდე სექს-ბომბად იყო ცნობილი“.

მეორე ანალოგიურ მაგალითს მოვიყვანთ „გარდიანის“ უკვე გამოყენებული ნომრის სპორტული გვერდიდან. ეს გახლავთ სტატია, სათაურით „Pietersen ready to get into Swing“ („პიტერსენი მზადაა ორომტრიალში ჩაებას“), რომელიც კრიკეტის ერთ-ერთი მატჩის შეფასებებს ეძღვნება.

“Pietersen insisted yesterday that he feels in the best form of his life and that he has taken his game to a new level because of his ability to adjust the tempo of his batting according to the situation and he and his team-mates were not fazed by the Australians’ apparent return to type and that level of sledging did not measure up to what he had seen before.”

„ გუშინ პიტერსენი საუბრებით ამტკიცებდა, რომ საუკუესო ფორმაშია და საკუთარი თამში ახალ დონეზე აიყვანა , რადგან მას შეუძლია დარტყმის სიჩქარე სიტუაციის შესაბამისად მართოს და რომ იგი და მისი თანაგუნდელები არ გაუნაწყენებია ავსტრალიელების აშკარად კარგ ფორმაში დაბრუნებას, და რომ სრიალის ეს დონე ვერ შეედრება მის მიერ ადრე ნანახს“.

ამ მაგალითშიც თვალშისაცემია გრძელი, გამართული წინადადებები, წერის მკაცრი სტილი, რომელიც სერიოზული გაზეთებისთვის დამახასიათებელი დისკურსით აიხსნება მიუხედავად იმისა თუ რა თემას ეძღვნება სტატია. ამგვარი დამოკიდებულება ამკვიდრებს მკითხველთა წარმოსახვით ერთიანობას, ქმნის მკითხველის ერთგულების განცდას კონკრეტული გაზეთისადმი და გვთავაზობს ერთგვარ ნაცნობ, გასაგებ გარემოს, რომელშიც გაზეთისა და მკითხველის იდეოლოგიური ღირებულებები საერთოა. იგივე წესებს ემორჩილებიან ქართული გაზეთებიც. მაგალითად ყოველკვირეული გაზეთი „დრონი“, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ მეორედ დაბადება ამცნო ქართულ საზოგადოებას, თავის დროზე სერიოზულ, ანალიტიკურ გაზეთად მიიჩნეოდა. გაზეთი არ ღალატობს ტრადიციებს და ამ ტიპის გაზეთებისათვის დამახასიათებელი დისკურსით მიმართავს ერთგულ მკითხველებს.

„დრონი“ 2011 წლის 3-10 თებერვალი სტატიაში „ცივი ომი წარსული თუ დღევანდელი“ კვითხულობთ: „წარმოუდგენელია იმის დაანგარიშება რა დაუჯდა კაცობრიობას ცივი ომი. არსებობს შემზარავი ციფრები და სტატისტიკა, რომლის თანახმადაც 1945-90 იან წლებში დაიხარჯა 8 ტრილიონამდე დოლარი. ცივმა ომმა იმსხვერპლა მილიონობით ადამიანი ვიეტნამში, კამბოჯაში, ავღანეთში, ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში“.

ამ მონაკვეთში გამოყენებულ დისკურსულ კოდში იგულისხმება, რომ სერიოზული გაზეთის მკითხველისათვის გასაგებია რას ნიშნავს ცივი ომი და არ არის საჭირო რომ

სტატიის თემას დეტალური განმარტება მიეცეს. ახლა ვნახოთ როგორი ხერხებით უდგება იგივე გაზეთი კულტურის თემების გაშუქებას:

სტატიაში „ჩვენი პატარა ქალაქი ისევ სცენაზე“ იური მეჩითოვი მოგვითხრობს მიხეილ თუმანიშვილის უკვდავი სპექტაკლის შესახებ: „2011 წლის 6 თებერვალს ქართული თეატრის დიდ რეჟისორს მიხეილ თუმანიშვილს 90 წელი შეუსრულდებოდა.

თუმანიშვილის სახელობის თეატრში ამ დღეს გაიმართა მისივე რეჟისორობით დადგმული სპექტაკლის-„ჩვენი პატარა ქალაქის ჩვენება“, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 30 წლისაა მაყურებლებზე მაინც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს“.

გაზეთ „დრონის“ კოლექტივი, ბრიტანელი კოლეგების მსგავსად ინარჩუნებს სერიოზული პრესისთვის დამახასიათებელ ნარატიულ ფორმებს, რომლებშიც კონოტირებულია ავტორიტეტულობა, ოფიციალურობა და სერიოზულობა. ის მითიური მნიშვნელობები კი, რომლებიც მომდინარეობს ნიუსების წყაროებიდან, გარდაქმნილია მხოლოდ ამ ტიპის გაზეთებისათვის დამახასიათებელ დისკურსად.

რაც შეეხება „პოპულარულ“ გაზეთებს, ზეპირმეტყველებაზე დაფუძნებულ მათ დისკურსებში კონოტირებული ფამილარობა, მეგობრული, შიანურული დამოკიდებულება და გასართობი ხასიათი საპირისპიროა იმ კონოტაციებისა, რომლებსაც ატარებენ „სერიოზული“ გაზეთების დისკურსები. თუმცა რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „პოპულარული“ გაზეთების მკითხველებს განათლება აკლიათ ან ვერ მოახერხებენ გრძელი წინადადებების შინაარსის გაგებას.

ქართულ ბაზარზე ძნელია მკაცრი საზღვრის გავლება სერიოზულსა და ე.წ. „ყვითელ“ პრესას შორის. ხშირად ამა თუ იმ გაზეთს აქვს „სერიოზულობის“ პრეტენზია, წერს პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე და სხვა მართლაც სერიოზულ თემებზე. მაგრამ მათ მიერ შერჩეული დისკურსის ფორმები, ლინგვისტური ნიშნები თუ ნარატივი სულ სხვა რამეზე მიგვითითებენ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „ალია“, რომელიც საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. მის კოლექტივს „სერიოზული“ პრესის პრეტენზია აქვს, თუმცა პბლიკაციების სტილი და დისკურსი უფრო პოპულარული გაზეთის ნიშნების მატარებელია.

„ალია“ (2011 წლის თებერვალი)

„მარტიდან ოპოზიციაში ახალი აქციების დაწყებისთვის ემზადებიან. ყველაზე მწვავედ ამ მხრივ ბაქიბუქი „ქართულმა პარტიამ დაიწყო: სოხარ სუბარი გულზე მჯილის ცემით აცხადებ, რომ პერმანენტულ აქციებს დაიწყებენ“.

„მას შემდეგ რაც „ქართული პარტია“ შეიქმნა ფეისბუქზე გაჩნდა პარტიის მხარდამჭერი გვერდი სახელწოდებით „ყველაფერი კარგად იქნება, საიტის ავტარად (მთავარ სურათად) გამოყენებულია გია გაჩეჩილადის ანუ უცნობის ფოტო. გამოდის თვით უცნობი ეკამათება ხალხს, საზოგადოებას. თუ ვინმეს აზრი არ მოეწონა ეგრევე ბინძურ ლანძღვა-გინებაზე გადადის“-გვამცნობს ავტორი გელა ზედელაშვილი.

„ალიას“ მკითხველისათვის კარგადაა ნაცნობი სტატიის გმირების ვინაობა. ისინი ქართული ოპოზიციური სპექტრის პოპულარული სახეები არიან, ამიტომ გაზეთი იყენებს დისკურსის დიალოგის ფორმატს, რომელიც ქმნის არსებული ყველასათვის ნაცნობი ვითარების განცდას. ამ შემთხვევაში ინფორმაციის წყაროთა ჯგუფების დისკურსები უცვლელად, დაუმუშავებელი საწყისი მასალის სახითაა წარმოდგენილი.

ლინგვისტური ნიშნების ამგვარი გამოყენების და მათში ნაგულისხმევი კონოტაციების იდეოლოგიური ფუნქციაა მოწოდებულ ამბავს ბუნებრივი სახე მისცენ და როდესაც „ნიუსის“ ამგვარი დისკურსის მეშვეობით გაზეთსა და მკითხველს შორის მყარდება კონსენსუსური შეთანხმება, აღარ არის იმის აუცილებელი საჭიროება, რომ გაანალიზდეს როგორ მოხდა „ნიუსის“ თემის გადმოცემა, როგორ მოხდა ნიშნების კოდირება მის შესაქმნელად.

2011 წლის 15-21 აგვისტოს „კვირის ქრონიკის“ ნომერში გამოქვეყნებულ ერთ ერთ ინტერვიუში ვკითხულობთ, რომ ჩატარებული კვლევის მიხედვით „ალიასა“ და „ქრონიკაში“ ყველაზე ხშირად გვხვდება შეურაცხმყოფელი სიტყვები და გამონათქვამები. თუმცა გაზეთის კოლექტივს სრულიად არ მიაჩნია მიუღებლად ამბის გადმოცემისას ბილწი სიტყვების გამოყენება, უფრო მეტიც, ისინი ამ ხერხს გამართლებულადაც კი მიიჩნევენ.

დიდ ბრიტანეთსი ახალი ამბების სამსახურების უმრავლესობა უარს ამბობს დაბეჭდოს ან ეთერში გადასცეს ადამიანების ზოგიერთი გამონათქვამი, მაშინაც კი თ ისინი ძალიან ორიგინალურია. გაზეთების უმრავლესობის ეთიკის პოლიტიკის მოთხოვნით უხამსი სიტყვების დაბეჭდვა მხოლოდ მთავარი რედაქტორის ნებართვითაა შესაძლებელი.

რელიგიის თემებზე წერისას ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა „ღმერთი“ და „იესო ქრისტე“, აბსოლუტურად მისაღებია მკითხველისათვის, თუმცა ამ სიტყვების სალანძღავ კონტექსტში პირდაპირი ციტირებისას სხვაგვარი წესები მოქმედებს.

ამერიკაში ძალიან პოპულარული ერთ-ერთი სახელმძღვანელოს-„ახალი ამბების გადმოცემა რეპორტაჟებითა და წერილებით“, ავტორები გვიჩვენებენ, რომ თუ შეუძლებელია მთლიანად ამოვადოთ ციტირება რომელიც შეიცავს უხამს სიტყვებს,

მაგრამ თუ ამ სიტყვების გამოყენება აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს, მაშინ სიტყვების ასოები დეფისი უნდა შეიცვალოს.

უცნაურო, უხამსი სიტყვების გამოყენებას ქართული გაზეთებისაგან განსხვავებით თავს არიდებს ისეთი ბრიტანელი ტაბლოიდი როგორცაა „სანი“,

2010 წლის 23 დეკემბრი ნომერში გაზეთი „სანი“ გვიყვება სერიული მკვლელის სტეფან გრიფიტის შესახებ, რომელიც სავარაუდოდ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს სადისტურად გაუსწორდა. ეს ამბავი როგორც ჩანს დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს ბრიტანეთში. გაზეთი „პოპულარული პრესისათვის დამახასიათებელი დისკურსის მეშვეობით გვიყვება ამ შემზარავ ამბავს.

“CANIBAL MAY HAVE KILLED 14”

Amanda said: “I feel lucky it wasn’t me he butchered. I’m positive he’s killed other women – he’s got the taste for it. He’s sick in the head to have done what he did. He shouldn’t be alive – hang him.”

amandam ganaxada: “gamimarTla, rom me ar amkuwa. darwmunebuli var, sxva qalebic mokla – amis gemo gagebuli aqvs. twinSeryeuli rom ar iyos, amas rogor Caidenda. is cocxali ar unda darCes _ CamoaxrCveT.”

Amanda revealed: “Out of the blue he told me he had to go to court. Calmly, Stephen said he was accused of assault by pouring boiling water on his ex Diane while she was asleep. Stephen came up with a story about Diane being a bit nutty and said she made things up. I know it sounds crazy, but I believed him.”

ამანდა გამოტყდა: „სრულიად მოულოდნელად მითხრა, სასამართლოში უნდა წავიდეთ. სტეფანმა მშვიდად განაცხადა, რომ მას ბრალს სდებდნენ მისი ყოფილი სატრფოსთვის-დიანასათვის მდულარე წყლის გადასხმაში როდესაც მას ეძინა. სტეფანმა მითხრა, რომ დიანა ცოტას აფრენდა და რაღაცეებს იგონებდა. შეიძლება სიგიჟედ მოგეჩვენოთ, მაგრამ მე მას დავუჯერე“.

Crossbow Cannibal Stephen Griffiths boasted to his girlfriend: “One day I’ll be more infamous than the Yorkshire Ripper”.

ქროსბოელმა კანიბალმა სტეფან გრიფიტსმა თავის შეყვარებულთან წაიტრაბახა; „ერთ მშვენიერ დღეს უფრო ცნობილი ვიქნები, ვიდრე იორკშირელი მფატრავი“.

ზემოთ მოყვანილ ამონარიდებში უხვად შეხვდებით შემოკლებებს (don’t, wasn’t I’m, he’s) იდიომატურ გამოთქმებს (out of the blue, he’s sick in the head),სლენგს (nutty), ფრაზეოლოგიურ ზმნებს (she made thing up). კლიშეებს, მეტსახელებს, სახელებს (გვარების გარეშე), კნინობით სახელებს. უხვადაა ისეთი სიტყვები, როგორცაა აქ, ამჟამად, შენ,

ჩვენ, ეს-ანი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობის აღქმა დამოკიდებულია იმაზე თუ სად და როდის, როგორ კონტექსტში არიან ისინი გამოყენებულნი, აგრეთვე უშუალოდ მოსაუბრის, მთხრობელის პირად განწყობაზე, მის მდგომარეობაზე. გაზეთი მიმართავს პირობითობას, რაც გულისხმობს მოსაუბრის სუბიექტურ მსჯელობას და მისეულ შეფასებებს ისეთი სიტყვების გამოყენებით, როგორცაა „სწორია“, „დასანანი“, „აუცილებლად“ და.ა.შ. მედია იყენებს იმ სიტყვებს, რომლებიც სამეტყველო აქტებს ძალაუფლებას ანიჭებენ (შეკითხვები, ბრძანებები, ბრალდებები, მოთხოვნები, რომლებშიც სიტყვა თვითონვე ასრულებს მასში ნაგულისხმევ ქმედებას).

ხშირად გამოიყენება ალიტერაცია, როგორც სიტყვების თამაში, კალამბური, მაგალითად: “Hough in huff at Cole shoulder” (ჰოუ ხენემის კოულის მხარზე) მოგვითხრობენ შეყვარებულ წყვილზე ბრიტანეთის შოუ ბიზნესის წარმომადგენლებზე ჩერილ კოულსა და დერეკ ჰოუზე.

Cheryl Cole has cancelled her Christmas in LA – leaving her pal Derek Hough gutted. She told him she is sick to death and just wants to be at home and have a chilled-out Christmas. (შერილ კოულმა გააუქმა საშობაო არდადეგები ლოს ანჯელესი და ამით ტავისი სატრფო დერეკ ჰოუ სასოწარქვეთაში ჩააგდო. მან განუცხადა, რომ ყველაფერი ყელში ამოვიდა, სურს შინ წავიდეს და მშვიდი შობა მოიწყოს). ამ ნაწყვეტში ამოყენებული ჟარგონი (sick to death, gutted, chilled-out Christmas), აბრევიატურა (LA) თხრობის სტილი ტიპიურია „პოპულარული“ პრესისათვის. მის დისკურსში კოდირებული ნიშნები იმაზე მიგვითითებს, რომ შოუ-ბიზნესის ცხოვრება გაცილებით უფრო მსუბუქი და ლაღია, ვიდრე ბიზნესისა და პოლიტიკის ცხოვრება.

ზეპირი მეტყველების კონოტირება მხოლოდ კონკრეტული ლინგვისტური ნიშნების მეშვეობით კი არ ხდება, არამედ ბექდვის სტილითა და გაზეთის მაკეტის ფორმატითაც. ზეპირმეტყველების მაუწყებელი კონოტაციებია: შეცდომების მიზანმიმართული დაშვება მართლწერაში, კონტრასტული მახვილები (მაგალითად სტანდარტული ბექდური ნიშნების ნაცვლად კურსივის შრიფტის ან მკაფიო ასოების გამოყენება). და კვლავ „სანს“ მოვიშველიებთ:

Call a chubby guy big and it might not go down too well. The 41-year-old Hollywood Alister seemed pretty down-to-earth to me when we spoke – but it seemed his trip to Britain could see him SHRINKING.

(უწოდეთ ფუმფულა ახალგაზრდას დიდი და ეს ამბავი იოლად ვერ ჩაივლის. 41 წლის ჰოლივუდელი წარმატებული კაცი ჩემთან საუბრისას მიწაზე მყარად გამოიყურებოდა-

მაგრამ ისეთი პირი უჩანდა, რომ თითქოს ბრიტანეთში მისმა მოგზაურობამ იგი თავის თავში ჩაკეტა).

He loves to play the fool with his kids but pointed out they are too young to embarrass just yet. “But soon...,” he added. “They are pretty funny, we’ll see who embarrasses who first.”

(მას უყვარს შვილებთან ერთად ანცობა, მაგრამ მიუთითებს, რომ ისინი ჯერ ძალიან პატარები არიან საიმისოდ რომ შეგაცბუნონ. „თუმცა მალე“, დაძინა მან „ძალიან საყვარლები არიან, ვნახოთ პირველად ვინ ვის შეგაცბუნებს“.

ტოპოგრაფიული საშუალებები ნაბეჭდ მასალას იერს უცვლიან, არღვევენ სწორხაზოვან შრიფტს. ეს საშუალებები მოიცავენ ბეჭდვის ნაირსახეობას, იყენებენ რა წერტილებასა და ტირეებს, რომლებშიც კონოტირებულია დაუმთავრებელი წინადადებები ან ფიქრების მონაცვლეობა ერთსა და იმავე წინადადებაში. ეს მოსაზრება ფაულერს დავესესხეთ, რომლებსაც ეკუთვნის ლინგვისტური მახასიათებლების სიღრმისეული ანალიზი (Fowler, R. “Language in the News: Discourse and Ideology in the Press”, London, Routledge. 1991). ახალი ამბები ხშირად გვიყვებიან პერსონების შესახებ. (ახსენებენ ინდივიდებს), რომლებშიც ინდივიდი წარმოადგენს რომელიმე გაცილებით ფართო მნიშვნელობის ახალი ამბის თემას, რომელიც იდეოლოგიური დატვირთვის მატარებელია.

ნიუსებში პერსონიფიცირების ტექნოლოგია მოიცავს ისეთი ლინგვისტური ნიშნების გამოყენებასაც, როგორცააპიტოვნების სახელი, ასაკი, სქესი, მისი სამუშაო აღწერა, მისი სათავგადასავლო ამბები. თუმცა ეს პერსონიფიცირება წარმოდგენილია ადამიანის არა როგორც მხოლოდ განსაკუთრებულობის კონოტაციის მატარებელი, არამედ მას გარკვეული კატეგორიის მითურ მნიშვნელობასთანაც აკავშირებს (მაგალიტად პოპ-ვარკვლავი, დედა, სპიკერი, პრეიერი და ასე შემდეგ).

პერსონიფიცირება უფრო მეტად მიგვანიშნებს კონკრეტული სოციალური ჯუფის წევრობაზე, რომელსაც მითური მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე ნახსენები ადამიანის განსაკუთრებულობაზე. ასეთი მაგალიტები ზეპირმეტყველების კონოტაციების მატარებლები არიან, კერძოდ სამეტყველო დისკურსისათვის დამახასიათებელი ქარაგმული ენა, ინფორმაციული სტრუქტურა, სლენგისა და უცენზურო სიტყვების გამუდმებული ხმარება.

რაც შეეხება „სერიოზულ გაზეთებს, როორც ზემოთ მოყვანილი მაგალიტებიდანაც ვნახეთ, მათში გამოიყენება გრძელი, ხშირად ძნელად გასაგები წინადადებები, მასალებში ვერ ნახავთ მიზანმიმართულ შეცდომებს სიტყვებში შემოკლებებს ან კონტრასტულ

მახვილებს, დაუსრულებელ წინადადებებს მხოლოდ ციტირებისას შეიძლება წააწყდეთ. ეს იმას არ ნიშნავს რომ „სერიოზული“ გაზეთები უკეთესები არიან მხოლოდ იმიტომ რომ უფრო მეტად ავტორიტეტულები არიან, ვიდრე „ტაბლოიდები“. ავტორიტეტულობა მითური მნიშვნელობაა, რომელიც კონოტირებულია „სერიოზული“ პრესის დისკურსის მიერ. გასართობი ხასიათის შესახებ არა ნაკლები მითური მნიშვნელობის კონოტირება ხდება „პოპულარული“ გაზეთების დისკურსის მეშვეობით.

ჯ.ბიგნელის აზრით, ორი განსხვავებული ტიპის დისკურსის შესახებ მსჯელობა რომ დამაჯერებელი იყოს, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ არსებობს დისკურსი, რომელიც არის გამჭვირვალე და არაკოდირებული. ეს განცხადება თავისთავად წარმოადგენს ნიუსების „ობიექტურობის“ შესახებ მითს, რომელიც დისკურსებშია ნაგულისხმევი.

მითური ექვივალენტობა მკითხველის სამეტყველო კოდებსა და გაზეთის წერილობითი დისკურსის კოდებს შორის შესაძლებლობას აძლევს გაზეთს დიალოგი გამართოს მკითხველთან. ესაყალიბებს მკითხველთა წარმოსახვით გაერთიანებას, მკითხველის ერთგულებას რომელიმე გაზეთის მიმართ, მის პრინციპებთან, რომელიც წარმოდგენილია მის დისკურსში და ქმნის მის მშობლიურ, ნაცნობ გარემოს, რომელშიც იდეოლოგიური ღირებულებები საერთო ხდება გაზეთისა და მისი მკითხველისათვის. დისკურსის დიალოგისებურ ხერხებს აქვთ არსებული ყოვლისმომცველი რეალობის ეფექტი, რომელიც ხელს უწყობს საუბრის წარმართვას გაზეთსა და მკითხველს შორის. იმერწება ისეთი სურათი, თითქოს ორივე მხარეს კარგად ესმის, რის შესახებ საუბრობენ და არც ერთ მათგანს არ სჭირდება საუბრის თემის ღრმა ანალიზი ან მისი ზუსტად გამოკვეთა.

„სანის“ გაცნობიერებული მკითხველისათვის არ არის საჭირო იმის ახსნა თუ ვინ არის „მფატრავი კანიბალი“, ისევე როგორც „ტაიმის“ მკითხველისათვის მსჯელობა „პარლამენტისა და მისი შემადგენელი პარტიების“, ან „გარდიანის“ მკითხველთათვის ბირთვულ იარაღზე მსჯელობა ჩვეულებრივი ამბავია.

ლინგვისტური ნიშნებისა და მისი სამეტყველო კონოტაციების ამგვარი გამოყენების ფუნქციას წარმოადგენს ნიუსების გადოცემის პროცესისათვის ბუნებრივი ხასიათის მიცემა. მართლაც იქმნება შინაურული გარემო, რომელშიც გაზეთი მკითხველს მისთვის ჩვეული ნარატივითა და კარგად ნაცნობი ლინგვისტური ნიშნებით ეგებება. მერე რა, რომ ეს „უშუალობა“ უფრო ხშირად ენობრივი ნორმების დარღვევისა და უხამსობის ხარჯზე ხდება. მკითხველი როგორც ჩანს მაინც კმაყოფილია და ამას ადასტურებს ტაბლოიდების ტირაჟი და გაყიდვის ხარისხი.

„ტელეგრაფის“ ყოფილი ჟურნალისტი ტ. ჰარდენი ამტკიცებს, რომ სწორედ „ტაბლოიდური“ კულტურის „დამსახურებაა“, რომ ბრიტანეთში, რომელიც აშშ-ის მოსახლეობის ერთი მეხუთედაა, ბევრად მეტი გაზეთი იყიდება, ვიდრე ამერიკაში. ტაბლოიდების საქმიანობა გახდა იმ სერიოზული სკანდლის მიზეზი, რომელიც 2011 წლის ივლისის ბრიტანულ პრესაში აგორდა და რომელიც მედიამაგნატ რუპერტ მერდოკსა დამის მფლობელობაში მყოფ მსოფლიოს ერთ ერთ ყველაზე დიდ კორპორაცია „News corporation“ უკავშირდება. მის მმართველებსა და ჟურნალისტებს ბრალი ათასობით ადამიანის, მათ შორის 11 სექტემბრის მსხვერპლთა გაერთიანოებულ საძეგლს, მონარქის ოჯახის წევრებისა და პარლამენტარების ტელეფონებში არალეგალურად შეღწევისა და ამ გზით ინფორმაციის მოპოვებაში ედებათ. დაკავებულია კორპორაციის რამდენიმე ხელმძღვანელი და ჟურნალისტი. ეს განცხადება, რომელსაც თავად რუპერტ მერდოკი აწერს ხელს, მთელი მსოფლიოს პრესაში დაიბეჭდა, მათ შორის გაზეთ „სან“-შიც.

Mr. Murdoch said he was “appalled” by what had happened and repeatedly told the teenager’s parents that he was sorry. (ბატონმა მერდოკმა განაცხადა, რომ მომხდართი „თავზარდაცემულია“ და მოზარდის (11 სექტემბრის მსხვერპლის) მშობლებს განუწყვეტლივ უხდიდა ბოდიშს.

სკანდალმა ჟურნალისტურ ეთიკასა და მედიის რეგულირებაზე კამათი გააცხოველა. ტაბლოიდები ეთიკურობით არც არასოდეს გამოირჩეოდნენ-მათ შორის „News of the world“-იც, ბრიტანული ტაბლოიდი, რომელიც სკანდალის მთავარი მონაწილე გახდა. მაგრამ სენსაციურობაზე დაფუძნებული ყვითელი პრესა თავის მეთოდებს ხალხის მოთხოვნებით ამართლებს. საინტერესოა „პრაიმ ტაიმის“ პოზიცია, რომელიც ბუნებრივია, გულშემატკივრობს თავის ბრიტანულ კოლეგებს ტაბლოიდური გამოცემებიდან: „მერდოკის საგაზეთო შემოსავლების 80 პროცენტი სწორედ ტაბლოიდებს მოაქვთ, მათ შორის ისეთებს, როორიცაა „სანი“ და „მსოფლიოს სიახლეები“. ამის მიუხედავად არისტოკრატი მერდოკი უფრო „The wall street Journal“ რედაქტორს ეკონტაქტებოდა, იმიტომ რომ ეს ჟურნალი ელიტარული გამოცემაა, ტაბლოიდები კი მასზეა გათვლილი. მაგრამ რატომ არ კითხულობდა მერდოკი საიდან ქონდათ ტაბლოიდებს მილიონები მისი იმპერიისათვის? მოჰქონდათ სწორედ იმ სენსაციებით, რომლებიც ხალხს უყვარს და აინტერესებს“. (25, 07, 2011, „პრაიმტაიმი“) ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ნიუსის ერთი და იგივე დისკურსის გამოყენების მაგალითები, როგორც სერიოზულ ასევე ტაბლოიდურ გაზეთებში და ვნახეთ რომ „სერიოზული“

გაზეთები თავის მასალებში დისკურსულ სტაბილურობას წარმოაჩენენ ოფიციალური ენისა და სერიოზული ტონის გამოყენებით, რომელშიც კონოტირებულია პასუხისმგებლობის მქონე მითური ჟურნალისტის მოზომილი შეფასებები და ობიექტური რეპორტაჟები, ასევე მათი მკითხველების საღი აზრი.

ტაბლოიდები კი სტაბილურობის დემონსტრირებას ახდენენ ზეპირმეტყველებაზე დაფუძნებული ენის გამოყენებით, რომელშიც კონოტირებულია მკითხველთა მიერ აღიარებული დისკურსი. მათში ასევე შეიმჩნევა თითქმის ერთნაირი ნარატიული ფორმების მუდმივი გამოყენება განსხვავებული მოვლენების ასახვისას.

რაც არ უნდა გასაგები იყოს საგაზეთო ნიუსის დისკურსი, მკითხველი მაინც გვევლინება ტექსტის მნიშვნელობის კონსტრუირების აქტიურ მონაწილედ, იგი არა მარტო შიფრავს ანუ ახდენს ნიშნებისა და მნიშვნელობების დეკოდირებას, არამედ ეძიებს იმ კოდებსაც, რომლებიც საჭიროა მოცემული დისკურსის გააზრებისათვის და ამოწმებს იმ მითურ მნიშვნელობებს, რომლებსაც წარმოშობს ტექსტის კონოტაციები და რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან თავად მკითხველის პირად იდეოლოგიურ მოსაზრებებთან. მკითხველი წარმოადგენს კოდირებული მნიშვნელობების არა მხოლოდ მომხმარებელს, არამედ თვითონ არის ტექსტში ნაგულისხმევი მნიშვნელობების „პროდიუსერი“.

როგორც დავინახეთ ნიუსის დისკურსი სხვადასხვა სემიოტიკური პროცესების საშუალებით წარმოგვიდგენს ნიუსს მისი მნიშვნელოვანი კუთხით, მაგრამ ასევე ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის კონკრეტული სოციალური კონტექსტი, რომელშიც მიმდინარეობს გაზეთების კითხვა და რომელსაც სემიოტიკური ანალიზი ადექვატურად ვერ უდგება.

საგაზეთო ამბების დეტალური ანალიზისას ბევრ რამეს შევიტყობთ საგაზეთო დისკურსის სტრუქტურის შესახებ, თუ როგორ ხდება ნიუსებისა და მათი მნიშვნელობების კონსტრუირება მაგრამ სემიოტიკურ მეთოდებს აქვთ შესაძლებლობების გარკვეული ზღვარიც, რადგან სემიოტიკა ვერ გვიხსნის იმ გზებს, რომელთა მეშვეობით ხდება გაზეთების კითხვა რეალურ სოციალურ კონტექსტში.

ამ პრობლემაზე პასუხს სცემ სოციოლოგიური მიდგომა, რომელიც ცნობილია კოდირებისა და დეკოდირების მოდელის სხელით, იგი აღწერს იმ ხერხებს, რომელთა მეშვეობით ხდება გზავნილების კოდირება მისი ავტორის (მაგალითად ჟურნალისტის) მიერ და მოგვიანებით დეკოდირება მიმღების (მკითხველის) მიერ. თავდაპირველად ერთი და იგივე კულტურულ სოციუმში მცხოვრები როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები, საზიარო კოდებით სარგებლობენ, ისეთებით, როგორიცაა ენა ჟესტები და შეთხვევა.

მაგრამ ვინაიდან გამგზავნისა და მიმღების მიდგომები კოდების მიმართ ვერ იქნება ზუსტად ერთნაირი, ამიტომ მნელია იმის მტკიცება, რომ კოდირების ავტორის მიერ ნაგულისხმევი მნიშვნელობა ზუსტად იქნება დეკოდირებული „გამშიფვრელის“ მიერ. ზემოთ თქმული იმის კიდევ ერთი დასტურია, რომ ყველა ნიშანი პოლისემიური ხასიათისაა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი სახის ინტერპრეტირებისათვის. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა, რომ სემიოტიკური ანალიზი განმარტავს, თუ როგორ ხდება ლინგვისტური და ვიზუალური ნიშნების მიერ ტექსტში კოდირებული შინაარსის აღქმა. თუმცა ამ მიდგომას მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია ასახოს ის პროცესები, რომლებიც განაპირობებენ კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში მკითხველის მიერ ტექსტისთვის ამა თუ იმ მნიშვნელობის მინიჭებას.

თავი 3

მედია - დისკურსის ტექსტის სტილის კონტრასტული ანალიზი ბრიტანულ და ქართულ ენებში

3.1 „მედია - დისკურსის ჟანრის ლინგვისტიკური თავისებურებები ბრიტანულ და ქართულ ენებში

გაზეთს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მასობრივი კომუნიკაციის საერთო კომპლექსში, სადაც შედის პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო და მასობრივ აუდიტორიასთან უშუალო ურთიერთობის სხვადასხვა ზეპირი ფორმები, რაც უკავშირდება გაზეთი ყოველდღიურ მისაწვდომობას. მრავალპროფილიანი ამორჩევის დიდ დიაპაზონს, ყოველი ნომრის შინაარსის მრავალპლანიანობას, მის საინფორმაციო ოპერატიულობას, მასალის იმგვარი ფორმით ფიქსირებას, რომელიც გამოსაყენებლად მოსახერხებელია. გაზეთი მასობრივი კომუნიკაციის მეტყველების სტილის ერთგვარი საფუძველია და ამავე დროს, მისი ყველაზე რთული ფორმაცაა.

გაზეთის მკითხველთა სიმრავლეც განუსაზღვრელია, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. ვ.გ. კოსტომაროვის სიტყვებს თუ დავეყრდნობით, გაზეთი ენციკლოპედიური განათლების მქონე აკადემიკოსისათვის მოსწყენი არ უნდა იყოს, ხოლო მოსწავლისათვის უნდა იყოს საინტერესო და გასაგები. გაზეთი გამოირჩევა ენობრივი შემოქმედების თავისებური პირობებით: იგი ისე სწრაფად იქმნება, რომ ზოგჯერ საგაზეთო მასალის იდეალური დამუშავების საშუალებაც არ არის. საგაზეთო ჟანრების მრავალფეროვნება, ურთიერთობის სხვა სფეროთა მასალების პუბლიკაცია-ყოველივე ეს გარკვეულ გავლენას ახდენს გაზეთის სტილზე. პუბლიცისტური სტილი (იდეოლოგიურ-პოლიტიკური), მეტყველების ისეთი ფუნქციური სახესხვაობაა, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის ფართო სფეროს ემსახურება: პოლიტიკურ-იდეოლოგიურს, საზოგადოებრივ-ეკონომიკურს, კულტურულს, სპორტულს და სხვა. მის გავრცელებას ხელს უწყობს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი-პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო. პუბლიცისტური სტილი ფრო სრულად ვლინდება გაზეთებსა და პოლიტიკურ ჟურნალებში, რის გამოც მას აგაზეთო ან საჟურნალო პუბლიცისტუკასაც უწოდებენ (ვინოგრადოვი, 1952).

გაზეთი კომუნიკაციის საინტერესო საშუალებაა. იგი წარმოადგენს არა მარტო ინფორმტორს და გასართობს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ინტერპრეტატორ. გაზეთის, როგორც ინტერპრეტატორის ძირითადი მისიაა ზემოქმედება მოახდინოს მკითხველზე.

მეცნიერებები გამოყოფენ პუბლიცისტური სტილის ორ ძირითად ფუნქციას: ინფორმაციულს და პრაგმატულს ანუ ზემოქმედების. გაზეთის ენის ერთ-ერთი თავისებურებაა გადასცეს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია წინადადების მინიმალურ სიგრძეზე.

ბრიტანეთში არის დაახლოებით 135-140 ყოველდღიური (გამოდის ორჯერ კვირის გარდა) და კვირის გაზეთი. 2000 ყოველკვირეული მათ შორის 12 ეროვნული ყოველდღიური და 10 ეროვნული კვირისა, 60 საღამოს რეგიონალური და 10 რეგიონალური დილის გაზეთი და თითქმის 100 გაზეთი, რომლებსაც უშვებენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები როგორც ინგლისურ, ისე მშობლიურ ენაზე.

ყოველ გაზეთს აქვს თავისი საკუთარი ხედვა პოლიტიკაზე, მაგრამ არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების ორგანოს. გამონაკლისია “The Morning star”, ერთადერთი ეროვნული გაზეთი, რომელიც არის პოლიტიკური პარტიის (კომუნისტური) მაცნე.

ბრიტანული გაზეთები იყოფა ორ მთავარ ჯგუფად, ანუ განსხვავებული ტიპის გაზეთებად: 1) „quality press” or “serious papers” or “high brow” or “broad sheets”-ხარისხიანი, ავტორიტეტული პრესა, სერიოზული გაზეთები ანუ ბროდშიტები.

2) “popular press” or “middle-brow papers” or “tabloids”-პოპულარული, ვულგარული, ყვითელი პრესა ანუ ტაბლოიდები (პატარა ზომის). არსებობს 5 მთავარი ხარისხიანი და პოპულარული ეროვნული, ყოველდღიური და კვირის გაზეთი.

ცხრილი 1: ეროვნული ყოველდღიური პოპულარი გაზეთები (National daily popular newspapers)

Title-დასახელება Foundation date-დაარსების წელი	Owner-მფლობელი	Circulation-ტირაჟი 2010-2012
Daily Mirror (1903)	Trinity Group	3,106000 - 2,263000
Daily Star (1978)	United News & Media	916,000-613, 000
Sun (1964)	News International	3, 896 000-3, 569000
Daily Express (1900)	United News & Media	1, 574000-1, 062000
Daily Mail (1896)	Daily Mail & General Trust	1, 689000-2, 387000

წყარო: (მ.მარლანია, 2009)

ცხრილი N 2 - ხარისხიანი გაზეთები (Quality Papers)

Financial Times (1888)	Pearson	291000-459000
Daily Telegraph (1855)	Telegraph Group	1, 081000-1, 031000
Guardian(1821)	Guardian Media Group	427000-395000
Independent (1986)	Independent Newspapers	413000-224000
Times (1785)	News International	426000-722000

წყარო: (მ.მარღანია, 2009)

ცხრილი N 3 - ეროვნული კვირის ეროვნული პოპულარული გაზეთები (National Sunday popular newspaper)

News of the World (1843)	News International	5, 046000-4, 023000
Sunday Express (1918)	United News & Media	1, 696000-974000
Sunday Mirror (1963)	Trinity Group	2, 902000-1, 927000
Mail on Sunday (1982)	Daily Mail & General trust	1, 896000-2, 298000
People (1881)	Trinity Group	2, 577000-1, 523000

წყარო: (მ.მარღანია, 2009)

ცხრილი N 4 Qualities-ხარისხიანი გაზეთები

Sunday Telegraph (1961)	Telegraph Group	590000-808000
Observer (1791)	Guardian Media Group	559000-417000
Sunday Times (1822)	News International	1, 176000-1, 360000
Independent on Sunday (1990)	Independent Newspapers	n.a-247000
Sunday Business (1998)	European press	n.a.-67000

წყარო: (მ.მარღანია, 2011)

დაახლოებით 13 მლნ. ადამიანი ყიდულობს ტაბლოიდებს ყოველდღე, მაშინ როცა ბროდშეიტების მყიდველი 3 მლნ-ია.

დიდ ბრიტანეთში არსებობს 7000 პერიოდული გამოცემა. აქედან ყველაზე მაღალი

ტირაჟი აქვს ქალთა ჟურნალებს. სერიოზული მკითხველისათვის ყველაზე

მნიშვნელოვანი და საყურადღებო პერიოდული გამოცემაა The Economist. ჟურნალი The

Spectator კონსერვატული სეხედულებისაა და მიმოიხილავს პუბლიკაციებს სხვადასხვა

თემაზე პოლიტიკის ჩათვლით. The statesman მემარცხენეების პერიოდული ორგანო-

შეიცავს სტატიებს საერთაშორისო და საშინაო საქმეების შესახებ. The Tribune

მიმოიხილავს პოლიტიკურ და სოციოლოგიურ საკითხებს. New scientist -სამეცნიერო. The

Punch-იუმორისტული, სერიოზული სტატიების დამატებით.

ტერმინი "კომუნიკაცია" სამი მნიშვნელობით გამოიყენება: 1) კავშირი ნებისმიერი სახის

ობიექტებს შორის. 2) ადამიანებს შორის ურთიერთობა და ინფორმაციის გადაცემა. 3)

საზოგადოებაში ინფორმაციის გაცვლა. მასმედიის ფუნქციებად მიიჩნევა : ინფორმაცია, შეფასება, შემოქმედებითობა, სემიოტიკური მხარე, ინტელექტუალური ასპექტი, პროპაგანდა და სხვა. ანუ ის რაც დომინირებს კომუნიკაციურ სივრცეში.

ბეჭდვითი სიტყვა ხალხს უვითარებს გემოვნებას, მსოფლმხედველობას, პოლიტიკურ შეხედულებებს და სხვა.

მკითხველზე ემოციური ზემოქმედების ერთ-ერთ ეფექტურ, მნიშვნელოვან საშუალებად როგორც ცნობილია ითვლება ინტონაცია.

გაზეთის უმთავრესი ფუნქციაა-საინფორმაციო და აგიტაცია-პროპაგანდის ფუნქციები.

საგაზეთო პუბლიცისტიკას ახასიათებს აშკარა და უშუალოდ გამოხატული

ზემოქმედების ანუ ექსპრესიული ფუნქცია. ამ სტილს მიმართავენ მაშინ, როცა ავტორის მიზანია ადრესატს მიაწოდოს რაღაც გარკვეული ინფორმაცია რაც შეიძლება სწრაფად და გასაგებად, ამავე დროს მასში გამოიწვიოს სასურველი მიმართება შეტყობინებისადმი.

ავტორი ცდილობს თავის სიმართლეში დაარწმუნოს ადრესატი. თუ სამეცნიერო მეტყველებაში ავტორი მიმართავს ადრესატის გონებას, ობიექტური არგუმენტაციით ცდილობს მის დარწმუნებას, პუბლიცისტი ამ დარწმუნებას ემოციური ზემოქმედების გზითაც ეწევა, ამ დროს იგი აშკარად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას შეტყობინებისადმი. ზემოქმედების ფუნქცია არამარტო აერთიანებს პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ლიტერატურას, არამედ კიდევაც მიჯნავს მათ, რამდენადაც მისი ხასიათი ამ ორ ფუნქციურ სტილში პრინციპულად განსხვავებულია.

საინფორმაციო ფუნქცია გაზეთში ხორციელდება ისეთი ფართო თემატიკის გადმოცემით, როგორცაა თანამედროვეობის აქტუალური საკითხები (პოლიტიკური, ეკონომიკური, ფილოსოფიური, ზნეობრივი, კულტურის, აღზრდის, საყოფაცხოვრებო და სხვა).

გაზეთის ფურცლებზე გვხვდება ნებისმიერი ფაქტი, იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ იგი საზოგადოებისათვის საინტერესო უნდა იყოს. ამ პრინციპის გავლენაა საინფორმაციო მასალის შერჩევა და განლაგება მისი სოციალური ღირებულების თვალსაზრისით, რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მკითხველის ცნობიერებაზე. ასე, რომ წმინდა ინფორმაციულობა მაინც ემორჩილება უფრო არსებითს-სააგიტაციო-პროპაგანდისტულ სტილს.

პუბლიცისტური მასალების შინაარსი ორ ელემენტს შეიცავს-ინფორმაციულსა და შემფასებლურს, იგი მოწოდებულია დარწმუნების გზით შექმნას გარკვეული საზოგადოებრივი აზრი. გაზეთი ერთგვარად პოპულარიზატორის ფუნქციასაც

ასრულებს, რადგან იგი რეგულარულად აქვეყნებს ახალი მეცნიერული აღმოჩენების, სიახლეების, წიგნების, ნაშრომების, სპექტაკლების შესახებ.

ექსპრესიულ საშუალებათა გამოყენებით გაზეთის ენა უახლოვდება მხატვრულ მეტყველებას და შორდება-მეცნიერულს. გაზეთი უმეტესად უბრალოდ კი არ გადმოგვცემს რაიმე ფაქტს, არამედ ძალიან მკვეთრად გამოხატავს ამ ფაქტისადმი საკუთარ დამოკიდებულებას, ისწრაფვის რა, ადრესატიც დაარწმუნოს თავისი დამოკიდებულების სისწორეში, რისთვისაც მიმართავს ენის ისეთი რესურსების მობილიზაციას, რომელთაც უკეთ შეუძლიათ ადამიანთა გონებასა და გრძნობაზე ზემოქმედება. საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა ენობრივ საშუალებათა სოციალური შემფასებლობა. ლექსიკა გაზეთში მკვეთრად ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობისაა. იგი მიზანმიმართული, ამორჩევითი და შემფასებლურია. შემფასებლურ პრინციპს აქვს არა ინდივიდუალური, არამედ ასევე ხაზგასმით სოციალური ხასიათი, რაც იმით განისაზღვრება, რომ გაზეთის სიტყვა მარტო ავტორს კი არ ეკუთვნის, არამედ რედაქციას, რომლის აზრსა და პოლიტიკას გამოხატავს იგი, როგორც კოლექტიური პროპაგანდისტი და აგიტატორი.

ყოველ ენაში არსებობს სიტყვები, რომლებიც არა მარტო ასახელებენ საგნებს, არამედ ამავე დროს განსჯიან, აფარებენ მათ, რითაც ავლენენ მეტყველების დადებითსა თუ უარყოფით დამოკიდებულებას საგნისა თუ იმ სუბიექტის მიმართ, რომელიც ამ მოქმედებას ახორციელებს. გაზეთის ლექსიკა უპირველესად ფაქტების, ამბებისა და მოვლენების სოციალურ შეფასებას გამოხატავს. გაზეთის ენის ლექსიკური მარაგიდან არა მარტო ამოარჩევს შემფასებლურ საშუალებებს, არამედ თვითონაც წარმოქმნის მათ. თუ სიტყვათა შერჩევის შემფასებლური პრინციპი შემოქმედებისა და დარწმუნებისათვის გამოიყენება გაზეთის ენაში, ინფორმაციის სიზუსტეს განსაზღვრავს ისეთ ენობრივ ერთეულთა შერჩევა, რომლებიც მიუხედავად თემატური სიჭრელისა და დისპერსიული აუდიტორიისა, გასაგებია საზოგადოების ყოველი წევრისათვის. ამ საყოველთაობას და გასაგებობას, თავის მხრივ ხელს უწყობს საგაზეთო-პუბლიცისტური მეტყველების სოციალურ-შემფასებლური ხასიათი. გაზეთის ზემოქმედებითი გავლენა გულისხმობს სოციალური შედეგის მიღწევას, ამიტომ ურთიერთობის ამ სფეროს, სადაც აგიტაცია-პროპაგანდის ფუნქცია ხორციელდება, მომწოდებლური, ლოზუნგურ-დეკლარაციული ხასიათიც აქვს. გაზეთისათვის დამახასიათებელი რეკლამურობა განსაკუთრებით თავს იჩენს სათაურებში.

სანამ გაზეთებში ნიშნების გამოყენების შესწავლაზე გადავიდოდეთ უნდა გავარკვიოთ რას ნიშნავს „ნიუსი“ ანუ ახალი ამბავი.

ჩვეულებრივ , „ნიუსს“ მივიჩნევთ, როგორც ისტორიული რეალობის კონკრეტულ სახეობას, რომლის გნსაზღვრა შეიძლება ანალიტიკური გზით. ეს საკითხის არასწორი გაგება, ვინაიდან ჟურნალისტები ერთადერთი საკითხის მხოლოდ და მხოლოდ მათივე აუდიტორიის ექსპერტები არიან, ამიტომ მარტივად რომ ვთქვათ, „ნიუსი“ არის ის, რაც ამ აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით აღმოჩნდა გაზეთებში ან ტელემაუწყებლობაში.

ყოველდღიურად მსოფლიოში ათასობით მოვლენა ხდება, მაგრამ ნიუსად გადაიქცევიან მხოლოდ ისინი, რომლებმაც გაზეთების ყურადღება მიიქციეს, ხოლო ის მოვლენები, რომლებიც ყურარების მიღმა აღმოჩნდნენ, ვერასოდეს ვერ გახდებიან ნიუსები.

ინტერნეტის ერთ ერთ ვებ გვერდზე მოძიებული მასალების თანახმად, „ნიუსი“ ვერ იქნება უმნიშვნელო ან მაუწყებლობის გარეშე დარჩენილი რამ. ეს ვერ მოხდება, რდგან ნიუსი ბუნებრივად არ ჩნდება. მოვლენას ბუნებრივი ხასიათი აქვს, მაგრამ ნიუსი წარმოებული პროდუქტია. მისი მსგავსია ისტორიის დარგიც: ისტორიაში რჩება ის, რასაც ისტორიკოსები წარსულის ნაშთებიდან აკოწიწებენ, „ნიუსები“ კი არის ის, რასაც ჟურნალისტები დღევანდელ გაზეთებში ათავსებენ. (www.historicpages.com)

„ნიუსი“ არ წარმოადგენს ფაქტებისა და მოვლენების მხოლოდ ჩამონათვალს. „ნიუსი“ მხოლოდ ფაქტები კი არ არის, არამედ ის გამომსახველობითი სურათია, რომელიც იქმნება ვერბალური და არავერბალური ნიშნების, მაგალითად ფოტოების მეშვეობით. მასმედიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაზე გავრცელებულ კოდს ნარატივი წარმოადგენს. „ნიუსები“ გაზეთებში წარმოდგენილია ამბების, ისტორიების სახით; ეს უკანასკნელნი კი გვევლინებიან როორც „ნარატივები“ ხალხის, საგნებისა და მოვლენების შესახებ. ის თუ როგორ ხდება ნარატიული კოდის გამოყენებით ნარატივის (თხრობის) წარმართვა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ ნარატივით მოცემული „ნიუსის“ მხოლოდ შინაარსი.

გაზეთისათვის უფრო დამახასიათებელ სპეციფიკურ კოდს ფოტოსურათები წარმოადგენენ, რომლებიც აქტუალობისა და თვალსაჩინოების მტკიცებულებების, კონოტაციის მატარებელნი არიან.

გვაუწყებენ რა რომელიმე მოვლენის შესახებ, მაგრამ გვერდს უვლიან სხვებს, აიძოთ გაზეთები და ახალი ამბების სხვა მედია-საშუალებები თვითონ ქმნიან იმას, რაც შეიძლება „ნიუსად“ მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე „ნიუსის“ დისკურსი არის

გარესამყაროს იდეოლოგიის გამოვლინება, რადგან იგი თავად არჩევს, რისი შეტყობინებაა საჭირო და რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.

ის თუ რამდენად „ჭეშმარიტად“ მივიჩნევთ ტექსტს, ნაწილობრივ დამოკიდებულია მასში მონაწილე მედიუმზე. მაგალითად წერას (პრესას) შედარებით ნაკლები პირობითობა ახასიათებს, ვიდრე კინოსა და ტელევიზიას. თუმცა, მასმედიის საშუალებების პირობითობის მკაცრი რანჟირება შეუძლებელია.

განვიხილოთ როგორ იქმნება საგაზეთო „ნიუსი“ და რა ძირითადი მახასიათებლები გააჩნია მას? გაზეთები იქმნება პროფესიონალთა მიერ, რომელთა მოვალეობაა გაეცნონ მომხდარ მოვლენებს და აირჩიონ ის, რომელიც შემდგომში „ნიუსის“ თემად გადაიქცევა, ხოლო დანარჩენებს კი გვერდი აუარონ. შერჩევის ეს პროცესი სხვადასხვა გაზეთში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს.

„სერიოზული“ გაზეთები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საკუთარი ქვეყნისა და უცხოეთის მნიშვნელოვან პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მოვლენებს. „პოპულარული“ ტაბლოიდები კი ირჩევენ კრიმინალურ არ პიროვნულ, სენსაციურ ისტორიებს. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ „ნიუსი“ არ წარმოადგენს მყარ კატეგორიას, რომელიც ბუნებრივად ჩნდება. შეუძლებელია მისი ან პოვნა და ან შეგროვება. „ნიუსი“ გახლავთ პროდუქტი, რომელიც იქმნება ამ დარგის პროფესიონალთა ფიქრის, აზროვნების, წერის და შემოქმედების შედეგად. ეს ყველაფერი კი ერთობლივად წარმოადგენს ახალი ამბების მესვეურთა მიერ კარგად შესწავლილი ქცევის კოდების ნაკრებს.

„ნიუსების“ არსისა და შექმნის პროცესის შესახებ ეს ზოგადი განმარტებები საჭიროებენ განმტკიცებას. ამის მოხერხება კი მაშინ შეიძლება, თუ უფრო დაწვრილებით შევისწავლით, რა შეიძლება გახდეს „ნიუსის“ თემა და როგორი სახის კოდების მეშვეობით ყალიბდება „ნიუსის“ დისკურსი. მხოლოდ მაშინ შევძლებთ გავიაზროთ, როგორ ახერხებენ „ნიუსების“ სტრუქტურები მისი შინაარსის კოდირებას, ხოლო შემდგომში როგორ ხდება ამ შინაარსის აღქმა მკითხველთა მიერ.

ყოველდღიურად მსოფლიოში ურუცხვი რაოდენობის მოვლენა და ფაქტი ხდება, რომელთა შესახებ შეიძლება მომზადდეს საგაზეთო მასალები, მაგრამ ნიუსის დისკურსი მხოლოდ შერჩეულ და თანაც შეზღუდული რაოდენობის ფაქტებს გვაწვდის, მხოლოდ იმათ რომლებსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევენ გაზეთის მესვეურნი. თუ პრესის სხვადასხვა გამოცემებს გადავავლებთ თვალს, მაშინვე შევამჩნევთ, რომ ის, რასაც ძალზე

მნიშვნელოვნად მიიჩნევა ერთი რომელიმე გაზეთი, ნაკლებად საყურადღებო შეიძლება იყოს სხვა გაზეთისათვის.

შერჩევის პროცესს განაპირობებს ის კრიტერიუმები, რომელნიც ამა თუ იმ ფაქტსა თუ მოვლენას „ნიუსის“ ღირებულებას ანიჭებენ და მას სხვებისაგან გამოარჩევენ. გალტუნგმა და რუჟმა ჩამოაყალიბეს და დაახასიათეს ის კრიტერიუმები, რომლებსაც ჟურნალისტები და რედაქტორები ხშირად ქვეშეცნეულადაც კი იყენებენ მოვლენათა გადარჩევის და მათთვის სხვადასხვა სახის ღირებულების მინიჭების პროცესში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს კრიტერიუმები აყალიბებენ იმ კოდებს, რომლებიც საერთოა ნიუსების შემქმნელებისათვის და რომელნიც საშუალებას აძლევენ მათ, შეაფასონ ნიუსის მნიშვნელობის ხარისხი. ამ კრიტერიუმების მიხედვით, მოვლენები, რომელთა გადმოცემა შესაძლებელია ნარატივის მეშვეობით, გადაიქცევა ბეჭდვითი მედიის ნიუსად, რაც უფრო მეტ კრიტერიუმს აკმაყოფილებს მოვლენა, მით მეტ ღირებულებას და ფასს იძენს ნიუსი.

გალტუნგისა და რუჟის მიერ ჩამოყალიბებული თორმეტი კრიტერიუმი, რომელთა მეშვეობითაც ხდება ნიუსის კოდირება, დღემდე არ კარგავენ აქტუალობას. განვიხილავთ ქვემოთ უფრო ფართოდ.

ნიუსებისთვის ღირებულებების მიმნიჭებელი კრიტერიუმები იმაზე მიგვითითებს, რომ გარესამყაროში მოვლენები „ნიუსების“ სახით დამოუკიდებლად არ არსებობენ, ის, თუ რას შეარჩევენ ნიუსად გამოსადეგ მოვლენას, დამოკიდებულია საგაზეთო რედაქციის ყოველდღიურ რიტმზე და მისი ჟურნალისტებისათვის დამკვიდრებულ შეთანხმებულ საერთო კოდებზე. ახალი ამბები დამოკიდებულია ნიუსების ინსტიტუტებზე და აგრეთვე იმ მითიურ მკითხველზე, რომლის ინტერესებიც უნდა გაითვალისწინონ.

ნიუსების კრიტერიუმები იმასაც გვაჩვენებენ, რომ მიუხედავად მიუსების თემებისადმი განსხვავებული მიდგომებისა, მათში მაინც იკვეთება მუდმივად არსებული საერთო ნიშნები, რომლებიც სულ მეორდებიან. ასე რომ კრიტერიუმები შეიძლება მივიჩნიოთ როგორც კოდების სისტემა, რომელსაც მოვლენათვის ნიუსის სტატუსის მინიჭებისას, ჟურნალისტები შეგნებულად, მიზანმიმართულად ან სულაც გაუაზრებლად, ქვეცნობიერად იყენებენ.

ამ ყველაფრის შედეგი კი არის ის, რომ ჟურნალისტური „ობიექტურობა“ ნიუსის დისკურსის მიტურ შინაარსს წარმოადგენს, რომელიც იქმნება გაზეთის არაპროფესიონალ თანამშრომელთა საქმიანობის შედეგად, ვინაიდან ჟურნალისტები ნიუსების ნარატივისას იყენებენ ერთის მხრივ ზოგადად დადგენილ, მეორესი მხრივ კი მათი კონკრეტული

გაზეთისათვის მისაღებ კრიტერიუმებს. მაშინ მათ მიერ შემოთავაზებული ნიუსის დისკურსი ვერ იქნება ნიუსის აღქმის ნეიტრალური გზაან ფაქტების შესახებ წარმოდგენილი ობიექტური ანგარიში.

გლაზგო მედია ჯგუფის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნიუსები იქმნებიან და იმერწებიან იმ კომერციული, იდეოლოგიური და სემიოტიკური სტრუქტურების მეშვეობით, რომლებზეც დაყრდნობითაც შემდგომში ამა თუ იმ სახით გვევლინებიან. მთლიანად ჟურნალისტებს ვერ დავადანაშაულებთ მიკერძოებულობასა და გაყალბებაში, ვინაიდან მაშინ ამ ბრალდებაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათგან დამოუკიდებლად არსებობს ე.წ. „მიუკერძოებელი ნიუსიც“.

მაგრამ სინამდვილეში ნიშნების მეშვეობით არასოდეს ხდება რეალობის ობიექტური დენოტაცია, ისინი ყოველთვის შეიცავენ მათში კოდირებულ კონოტაციებს, რომლებიც მითურ საზოგადოებრივ მნიშვნელობებს ეფუძნებიან. ეს უკანასკნელი კი გამყარებულია კონკრეტული იდეოლოგიური თვალსაზრისით.

ასე რომ ნიუსების კრიტერიუმები იმ კოდებს წარმოადგენენ, რომელთა მეშვეობით შეგვიძლია შევამოწმოთ რომელიმე გაზეთში გამოქვეყნებული ისტორიები და ვნახოთ რომელი ნიუსის თემას გააჩნია უფრო მეტი ღირებულება.

თუმცა შეფასებისას ამ კრიტერიუმებიც გამოყენებას ერთი უხერხულობაც ახასიათებს: ისინი ცოტა რაიმეს თუ გვატყობინებენ იმ ლინგვისტურ და ვიზუალურ ნიშნებზე, დისკურსულ კოდებზე, რომელთა მეშვეობითაც ხდება ნიუსების მიწოდება.

მიუხედავად იმისა, რომ კრიტერიუმები ეფუძნება ჟურნალისტების მოსაზრებებს მკითხველისათვის საინტერესო საკითხების შესახებ, ისინი მაინც ცოტა რაიმეს გვამცნობენ იმის თაობაზე, თუ როგორ აღიქვამს მკითხველი ნიუსის შინაარსს.

ნიუსების თემად ღირებული ამბების წარმოდგენისას, გაზეთები იყენებენ ნაცნობ ნარატიულ კოდებს, რიტორიკულ ფორმებს და საშუალებებს, რომელთა კონოტაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნიუსების მნიშვნელობების ჩამოყალიბებაში. მართალია განმარტების მიხედვით თითოეული ახალი ამბის შინაარსი სხვებისაგან განსხვავებული უნდა იყოს, მაგრამ შინაარსი მნიშვნელობას იძენ იმ რიტორიკული ფორმების, ფიგურების და ნარატიული კოდების მეშვეობით, რომლებიც განსაზღვრავენ, მწყობრში მოჰყავთ და აყალიბებენ შინაარსს.

გვინდა დაგარწმუნოთ მას მედიის, ჩვენს შემთხვევაში ბეჰდვითი მედიისადმი რიტორიკული ფორმებით და ფიგურებით შესწავლის აუცილებლობაში, რადგან იგი გვეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ რეალობა გარკვეული სახის კონსტრუქციაა,

რომლის აგება-ჩამოყალიბებაში ჩვენ საკუთარი როლი გვაქვს მონიჭებული. თუ შევძლებთ, რომ ამ როლს თავი წარმატებით გავართვათ, მაშინ იმასაც მოვახერხებთ, რომ ჭეშმარიტებას ზემოთ ნახსენები ბუნდოვანების შემნიღბავი საბურველის შემოვაცალოთ. მრავალჟანრიანობა პუბლიცისტიკისათვის ნიშანდობლივია, მაგრამ იგი მეტნაკლებად სხვა ფუნქციურ სტილებსაც ახასიათებს. ურთიერთობის ამ სფეროში ჟანრები ერთმანეთს უპირისპირდება ავტორისეული სტილის გამოხატვის ხარისხით. ინფორმაცია ქრონიკებში, რომლებიც უკიდურესად ობიექტურად და, ჩვეულებრივ, შაბლონის მიხედვით აიგება, ავტორის „მე“ სავსებით უგულვებელყოფილია. მზა სტერეოტიპული ბლოკებისგანაა შემდგარი ნაკლებად სტანდარტული არაოფიციალური ინფორმაციაც. რაც შეეხება ნარკვევის ჟანრს, იგი ავტორის წერის ინდივიდუალურ მანერასაც წარმოაჩენს. ჟურნალისტის ინდივიდუალური მანერა ერთგვარად იჩრდილება სტილისტიკურად მრავალფეროვანი გაზეთის საერთო მასალაში. მკვეთრი საზღვრის გავლება ჟანრებს შორის არ ხერხდება. უმთავრესი ისაა, რომ მიუხედავად ჟანრობრივი მრავალფეროვნებისა, მაინც შეიძლება ვისაუბროთ გაზეთის ენის ფუნქციურ ერთიანობაზე.

საგაზეთო ჟანრების ტრადიციული კლასიფიკაციისაგან განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს ა.ნ. ვასილევა, რომელსაც მიაჩნია, რომ ჟანრობრივ კლასიფიკაციას ჟურნალისტურ-პროფესიული ხასიათი აქვს და იგი არ არის საკმარისი გაზეთის ენის, როგორც სამეტყველო სტილის გაცნობიერებისათვის. იგი გამოყოფს საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ქვესტილებს. ოფიციალურ-საინფორმაციო, საინფორმაციო-საქმიანი, საინფორმაციო ექსპრესიული, არაოფიციალურ-საინფორმაციო, საზეიმო-დეკლარაციული, საინფორმაციო-ანალიზური, საგაზეთო-სამეცნიერო, განმაზოგადებელ-დირექტიული, ექსპრესიულ-პუბლიცისტური, რეპორტაჟისა და ფელეტონის ქვესტილები.

გაზეთის ენა, მრავალსტილებრივია, მაგრამ ამავე დროს ერთიანიც არის. გ.ი. სოლგაკინის აზრით, საგაზეთო-პუბლიცისტური ენის თავისებურებებს წარმოადგენს პერიოდულ პრესაში გამოყენებული ენობრივი საშუალებების შემფასებლურობა (დადებითი და უარყოფითი). საგაზეთო-პუბლიცისტურ მეტყველებას იმპერატიულობა და გაზრდილი ემოციურობა ახასიათებს. მკითხველთან კონტაქტის ადვილად დასამყარებლად გაზეთი ხშირად იყენებს სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელ ენობრივ ელემენტებს, რაც კარგად ჩანს საგაზეთო სათაურებში. გაზეთის ენას ახასიათებს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გამოყენება, კერძოდ იგი მიმართავს სინტაქსის ისეთ

საშუალებებს, როგორცაა რიტორიკული შეკითხვები, შემახილები, სტრუქტურული პარალელიზმი, გამეორება, ინვერსია და სხვადასხვა სინტაქსური ფიგურები, რომლებიც ექსპრესიული სინტაქსის კუთვნილებაა.

გამომსახველ საშუალებათა ფართო გამოყენება, სააგიტაციო-პროპაგანდისტული ფუნქციითაა განპირობებული. გაზეთისათვის დამახასიათებელი ორიენტაცია მასობრივ მკითხველზე, თემატიკის მრავალფეროვნება, გამოცემის პერიოდულობა და ერთდღიურობა, მისი იდეოლოგიური პოზიციის სინათლე თვალშისაცემ, სწრაფად აღსაქმელ ექსპრესიულ საშუალებებს მოითხოვს, მაგრამ გაზეთის ენის ერთ-ერთი კონსტრუქციული პრინციპი-ექსპრესიასა და სტანდარტზე ერთდროული ორიენტაცია-უცვლელი რჩება.

ენაში საკმაოდ მოიპოვება მზა სამეტყველო ფორმულები, რომელთაც ხშირად შემდეგი ტერმინებით აღნიშნავენ: სტანდარტი, მყარი გამოთქმა, სამეტყველო სტერეოტიპი, კლიშე, შტამპი, შაბლონი, ტრაფარეტი. ისინი საენათმეცნიერო ლიტერატურაში სინონიმურად იხმარება, რის საფუძველსაც ქმნის მათი პირდაპირი, ტერმინოლოგიური მნიშვნელობები. კლიშე გაცვეთილი ფრაზა ან მოკლე წინადადებაა, რომელიც გამზადებულია სასწრაფო გამოყენებასათვის. კლიშებანალური გამოთქმაა, რომელიც მუდმივმა ხმარებამ გაცვითა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კლიშე დაბალი ხარისხის გამონათქვამია, ისინი მხოლოდ იმისათვის იხმარებიან, რომ თავიდან ავიცილოთ ახალ გამოთქმათა შექმნის აუცილებლობა. ბუდაგოვის აზრით სიტყვიერი კლიშე ზოგჯერ გამოდევნის ხოლმე ყველა შესაძლო განმარტებას, რის შედეგადაც ენა ღარიბდება.

სამეტყველო სტერეოტიპების (სტანდარტი, კლიშე) გამოიყენება კანონზომიერი ჩანს ინფორმაციულ და ანალიზურ ჟანრებში. სტანდარტი ლინგვისტური მოვლენაა, შტამპი-ფსიქოლოგიური-წერდა ვ. კოსტომაროვი. გაზეთის ენის მკვლევარის გ. სოლგაკინის აზრით: „შტამპები უნდა გაირჩეს სიტყვები კლიშესაგან . სიტყვიერი კლიშე მეტყველების აუცილებელი და კანონზომიერი კომპონენტია, შტამპი კი სტილი ნაკლოვანებაა“.

სტანდარტის, იგივე კლიშეს საშუალებით მარტივდება კომუნიკაციის პროცესი, მისი ხშირი და არასწორი ხმარების გამო მკრთალდება მისი ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობა, იშლება სემანტიკა და ყოველი სამეტყველო სტერეოტიპი დუნე და მჭლე შტამპად იქცევა, რის გამოც განიხილება როგორც უარყოფითი მოვლენა. გ. ვინოკურს მიაჩნია, რომ გაზეთი მასობრივი კომუნიკაციის ფორმაა, რომლის ამოცანაა ახალი ამბების შეტყობინება, ინფორმაციებისა და დეპეშების გამოქვეყნება. გაზეთის სხვა ფუნქციებს მკვლევარი არ ითვალისწინებდა და ამტკიცებდა, რომ გაზეთის იდეალური ენა

უპირატესად შეტყობინებაა, უკიდურესად გაშიშვლებული და აბსტრაქტირებული კომუნიკაციაა.

გაზეთის ენის სტანდარტიზაციას განაპირობებს ის ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც, რომლებიც საგაზეთო-პუბლიცისტუ სტილს უდევს საფუძვლად. საგაზეთო შტამპების ერთ-ერთი პირობაა ექსპრესიულ საშუალებათა განუწყვეტელი ძიება, თხრობის, რაც შეიძლება თვალშისაცემი, ეფექტური, მომგებიანი ფორმის მიგნება. გაზეთისათვის ასევე დამახასიათებელია მეტაფორული პერიფრაზები, რომლებიც ჩვეულებრივ სტანდარტის მიხედვით ითხზება.

სტანდარტების სიხშირეს გაზეთის ენაში გაეკვეული საფუძველი აქვს, რომელიც პერმანენტულად წარმოშობს ახალ-ახალ სამეტყველო სტერეოტიპებს.

საგაზეთო ლექსიკური სისტემა ღია სისტემაა. მისი ელემენტების შეღწევა სხვა ფუნქციურ სტილთა ლექსიკურ სისტემებში და პირიქით, ამ სისტემათა ერთეულების შემოსვლა გაზეთის ლექსიკაში სიტყვათა მოძრაობის ბუნებრივი პროცესის მაჩვენებელია. საგაზეთო ლექსიკის, ე.წ. „გაზეთიზმების“ გამოყოფას ართულებს ის გარემოებაც, რომ გაზეთში წარმოდგენილი მასალა უაღრესად მრავალფეროვანია, სადაც ასახულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, ამიტომ ამ სფეროთათვის დამახასიათებელი ლექსიკაც რეგულარულად გამოიყენება გაზეთის ფურცლებზე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განმარტებით ლექსიკონებში არ არის მოცემული ისეთი კვალიფიკაციები, როგორცაა „პუბლიცისტური“, „საგაზეთო“, „საჟურნალო“. მიუხედავად ამისა, საგაზეთო ლექსიკის რეალური არსებობა გაცნობიერებულია არა მარტო სპეციალისტთა, არამედ მკითხველთა მიერაც. ამის გამოხატულებაა ფართოდ გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ გაზეთის ენა უფერული და ღარიბია, მაგრამ თუ ამ მოსაზრებას ნეგატიურ შეფასებას ჩამოვაშორებთ, შეიძლება ითქვას, რომ გაზეთის ენით აღწერა უბრალოდ, საქმიანად და ეკონომიურად-სამეტყველო სტანდარტებისა და კლიშეს გამოყენებით წერას ნიშნავს, რასაც აქტიურად გრძნობს ენის ნებისმიერი მფლობელი. შესწავლილი ლექსიკის თემატური შედგენილობა მრავალფეროვანია, ამასთანავე, თითქმის ყველა ლექსიკური შრე, რომელსაც სხვადასხვა საფუძველზე გამოყოფენ ლექსიკოლოგიაში, შეიძლება შეგვხვდეს საგაზეთო-პუბლიცისტური სიტყვების ჯგუფში, იქნება ეს სპეციალური თუ დარგობრივი, სტილურად შეფერილი თუ ნეიტრალური, ახალი თუ მოძველებული და სხვა.

საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ფორმირებას ერთი მხრივ განაპირობებს პროპაგანდა და აგატიცაია, ხოლო მეორე მხრივ, ინფორმაცია. გაზეთის ლექსიკის ორი დიდი ფენა ბი

გამოიყოფა-შემფასებლური და არაშემფასებლური. გაზეთის სააგიტაციო-პროპაგანდისტული ფუნქცია ხორციელდება როგორც ე.წ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკის მეშვეობით, ისე შემფასებლური სიტყვების საშუალებითაც, რომლებიც საგაზეთო ლექსიკის დიდ ჯგუფს ქმნიან, რომელიც სალიტერატურო ენის სხვადასხვა ლექსიკურ შრეებს ეყრდნობა, მაგრამ გაერთიანებულია ფუნქციურ-სტილური ნიშნით. აღნიშნულ ჯგუფებში შემავალი სიტყვები შემფასებლობის სახით შეიძლება იყოს სამი ტიპისა: 1) პოზიტიურ-შემფასებლური, 2) ნეგატიურ-შემფასებლური, 3) მოდალურ-შემფასებლური. შეფასების თვალსაზრისით ნეიტრალური ლექსიკა უკავშირდება გაზეთის საინფორმაციო ფუნქციას-ახალი ამბების გადმოცემას. აქ არის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედების დროსა და ადგილსა და, როდის, რა ხდება. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაგრამ განსაკუთრებით დიდია მისი ხვედრითი წონა გაზეთში, სადაც მუდმივად შუქდება საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. სადაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკას გამოყოფენ, იგულისხმება მისი შინაარსობრივი დახასიათება. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკისათვის დამახასიათებელი საყოველთაო გასაგებობა და მისი ტერმინოლოგიური სფეროს თავისებურებას წარმოადგენს, რაც, როგორც ჩანს, მისი ფუნქციური ნიშანია. ამ საყოველთაო გასაგებობის ერთ-ერთი პირობაა აღნიშნული ლექსიკის გამოყენება მასობრივი პროპაგანდისა და აგიტაციის ენაში, კერძოდ, საგაზეთო მეტყველებაში. მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც აღნიშნული ლექსიკის პუბლიცისტურობას განსაზღვრავს, მის სოციალურ შემფასებლურ ბუნებაშია.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკისათვის შემფასებლური ელემენტის თანხლება განსაკუთრებით დამახასიათებელია გაზეთში სიტყვები: დარტყმა, წნეხი, პროტესტი, აგრესიული, შემფასებლური, შეჯახება, შეთანხმება, ხარკი, ურთიერთობები პროვოკაცია, გლობალური კრიზისი, დარღვევა, გაკრიტიკება, აგიტატორი, წამება, მარაგი, ნაკლებობა, ბრძოლები, ადამიანთა უფლებები და მრავალი სხვა ამგვარი სიტყვები არა მარტო ასახელებენ ცნებებს, არა მარტო ლოგიკურ შინაარსს გადმოგვცემენ, არამედ იწვევენ მკითხველის ემოციურ რეაქციას. უარყოფით და დადებით შეფასებათა შორის დაპირისპირება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკის დამახასიათებელი თავისებურებაა, რაც ფუნქციურ-სტილისტიკურადაცაა გამოყენებული გაზეთში. აღნიშნული ლექსიკის როლი განსაკუთრებით იზრდება მძაფრი სოციალური მოვლენების, რევოლუციური გარდაქმნებისას. სტილისტიკური თვალსაზრისით

ნეიტრალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტყვებიც კი გაზეთში შემფასებლურ ექსპრესიას იძენენ. ერთი ჯგუფი ამ სიტყვებისა აშკარად დადებით-შემფასებლურია, რაც უკავშირდება იმ ცნებების გამოხატვას, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი მსოფლმხედველობისათვის; მეორე ჯგუფი გამოხატავს იდეოლოგიურად მტრულ ცნებებს ამიტომ უარყოფით-შემფასებლურია.

გამოყოფენ ექსპლიციტურსა და იმპლიციტურ შემფასებლობას. ექსპლიციტურ-შემფასებლურია საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტყვები, რომელთა შემფასებლობა მათ სემანტიკურ სტრუქტურაში შედის და უკონტაქტოდაც ცხადია, ხოლო იმპლიციტურ შემფასებლურია ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტყვები, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში იჩენენ შემფასებლობას. ეს უკანასკნელი უფრო მრავალრიცხოვანია. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკა შეიძლება დაიყოს: 1) იმპლიციტურად კლასობრივ, მაგრამ ექსპლიციტურად უკლასო და 2) იმპლიციტურად და ექსპლიციტურად კლასობრივ ფენებდ. ამ თავის დასასრულ, გვინდა დავასკვნათ, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტყვები საგაზეთო ლექსიკის ისეთ ბირთვის წარმოადგენს, რომელსაც თვისობრივადაც და რაოდენობრივადაც დიდი მნიშვნელობა აქვს საგაზეთო-პუბლიცისტური ლექსიკის სისტემური ორგანიზაციისათვის.

3.2. რიტორიკული ანალიზის საფუძვლები

ადამიანის არსებობის ყველა ეტაპზე ორატორული მეტყველება ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა. დღეისათვის მჭერმეტყველება თითქმის ყველა სფეროშია შეჭრილი. ტექნიკურმა პროგრესმა განაპირობა, რომ რიტორიკა მასობრივი კომუნიკაციის სფეროშია ფესვგადგმული. მათ შორის ერთ ერთი მნიშვნელოვანია ახალი ამბები. რიტორიკა ძველ საბერძნეთში იღებს სათავეს. არისტოტელე რიტორიკას განსაზღვრავდა როგორც ორატორულ ხელოვნებას. თავის წიგნში-„რიტორიკა“, ის მიუთითებს, რომ რიტორიკული სიტყვა სამი სახით ვლინდება-სათათბირო, სამოსამართლეო და ეპილეფტიკური სახით. პირველ შემთხვევაში ხორციელდება აკრძალვა ან დაშვება, მეორე შემთხვევაში-ბრალს დებენ ან იცავენ (ამართლებენ) და მესამე შემთხვევაში-ამაგებენ ან აქებენ. ორატორის ზეპირ სიტყვაში უმეტესად პათეტიკური ტონი ჭარბობს, ამიტომაც მასში რიტორიკულ ტროპებს მეტი ყურადღება ეთმობა. ორატორი დარწმუნებისას იყენებს შემდეგს-არგუმენტებს, რომლებიც დასაბუთებულაია. არისტოტელე 30-მდე ტროპებს გამოყოფს. Rhetor ბერძნულად ნიშნავს მჭერმეტყველს, კარგ მოსაუბრეს.

არისტოტელედან მოყოლებული რიტორიკა ხუთი ნაწილისაგან შედგება, რაც გულისხმობს, რომ შინაგანი მეტყველებიდან სიტყვის წარმოთქმამდე ხუთი ეტაპია გასავლელი:

1. ინვენცია- ლათინურად აღმოჩენას, გამოვლენას, პოვნას, მოძებნას ნიშნავს. საჭიროა თემის შინაარსის გახსნა და მასალის სისტემატიზაცია. აქ მოქმედებს პრინციპი-„შექმნა ის, თუ რა უნდა თქვა“. ასეთ შემთხვევაში ხდება არგუმენტების ძიება და დაისმის კითხვა „რა ვთქვათ?“ აქედან გამომდინარე აუდიტორიისათვის სასურველი შედეგის მიღწევის გათვალისწინება ხდება.
2. დისპოზიცია ლათინურად განლაგებას, განფენას ნიშნავს. აქ ტექსტის გაშლა აგება ხდება, მუშაობენ ტექსტის კომპონენტებზე, სადაც მოქმედებს პრინციპი-„არგუმენტების განლაგება“. შემუშავდება კითხვები მოპოვებული მასალის გაშლასთან დაკავშირებით, რომელიც იწყება ფრაზების დონიდან და დაისმის კითხვა „სად ვთქვათ?“
3. ელოკუცია ლათინურად გამოთქმას ნიშნავს. აქ ხორციელდება სიტყვების შერჩევა და შეხამება რიტორიკის ძირითადი ცნებების, კატეგორიების, ტროპების და ფიგურების გამოყენებით. ზეპირად გააზრებული სიტყვა ენობრივად ფორმირდება, აზრი გადადის სიტყვაში, სადაც მოქმედებს პრინციპი-„მართო სიტყვების საშუალებით“. აქ დაისმის კითხვა „როგორ ვთქვათ?“
4. მემორიო ლათინურად გახსენებას ნიშნავს. საჯარო გამოსვლისას სიტყვის დამახსოვრება, სადაც მნემოტექნიკა გამოიყენება. დაისმის კითხვა „როგორ დავიმახსოვროთ?“
5. აქცია ლათინურად შესრულებას ნიშნავს. ეს არის საჯაროდ სიტყვით გამოსვლა, წარმოთქმა. ის კავშირშია გა გამომდინარეობს ელოკუციიდან და ამ შემთხვევაში დაისმის კითხვა „როგორ ვიმოქმედო გამოსვლისას?“

ასეთი სახით ხდება დამარწმუნებელი სიტყვის წარმოთქმა. ხუთივე ელემენტი რიტორიკის წესებში შედის.

რიტორიკული ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ელოკუცია, რაც აზრის გამოსათქმელად სიტყვების შერჩევის შესაძლებლობას იძლევა. აქ გათვალისწინებულია რიტორიკული ფორმები (ფიგურები. ტროპები)

დამარწმუნებელი სიტყვა აუცილებლად მოითხოვს განსახილველი საკითხი რგუმენტირებულად იქნეს წარმოდგენილი. დარწმუნების სამ ელემენტ გამოყოფენ: ეთოსი (კეთილგანწყობა, კარგი კომუნიკაცია, კეთილგონიერება, პატივისცემა, კორექტულობა), პათოსი (ემოციების გადაცემა, ვერბალური, პარავერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, იუმორი) და ლოგოსი (ლოგიკური აზროვნება, ანალიზი,

სინთეზი, არგუმენტირება). მათი გამოყენებით გონებაზე ხდება ზემოქმედება, რისთვისაც მკაცრი არგუმენტებია საჭირო. ზემოქმედების მეორე სახეა გრძნობების გადმოცემა, რომელიც მეტყველებითაა განპირობებული. ზემოქმედების ამ ორ ფორმას ურთიერთ მიმართება გააჩნია. არგუმენტაციის დროს რიტორიკული ასპექტები ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებელია მისი ძირითადი პრინციპების დაცვა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ არგუმენტირება აუცილებლად რიტორიკული ფორმების გამოყენებაზე არაა დამოკიდებული. არგუმენტაციის შედეგი ისაა, რომ მსმენელს სჯერ ფაქტების, თუ ის დამარქმუნებელი, ჭეშმარიტია და შესაძლო კრიტიკას უძლებს.

დღეს რიტორიკას ორი მნიშვნელობა გააჩნია: პირველი-ორატორის ხელოვნება და მეორე-მეცნიერება მჭერმეტყველების შესახებ, ანუ სიტყვიერი კომუნიკაციის ყოველი ნაირსახეობა სადაც წინასწარაა დაშვებული მსმენელზე ზემოქმედების მოხდენა. ამგვარად, რიტორიკა არის მეცნიერება ეფექტური კომუნიკაციის პირობების და ფორმების შესახებ.

დღეისათვის რიტორიკა, რომელიც ხელოვნების დონეზე აპყავთ გამოიყენება სხვადასხვა შეხვედრებისას, სალიტერატურო ნაწარმოებებში, ხოლო კომუნიკაციის კუთხით სემიოტიკა შეისწავლის, სემიოტიკა ითვლება ზოგად მეცნიერულ დისციპლინად, მაგრამ მას ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სემიოტიკა და ფსიქოლოგია მომიჯნავე მეცნიერებებად ითვლება, რაც პირველ რიგში კოგნიტურმა მიდგომამ განაპირობა. ფსიქოლოგები სემიოტიკის საკითხებს სხვა კუთხით უდგებიან. ლინგვისტებისაგან განსხვავებით ფ.დე სოსიური (Sossiore/სოსიური, 1990) სემიოტიკას სოციალური ფსიქოლოგიის დარგად თვლიდა. პირველ რიგში გადაკვეთის წერტილი შეიძლება შეეხოს ნიშნის როლს-როგორც ადამიანის ქცევის ფორმების გაგებას და მის კავშირს ქცევის სხვა ფორმებთან. ნიშანი ფუნდამენტურ ცნებადაა აღიარებული. ის შეიძლება ხელოვნების ფსიქოლოგიის საკვლევი ობიექტიც იყოს. მნიშვნელოვანია ამ კუთხით ახალი ამბების კვლევა. რიტორიკული საშუალებების და ფორმების შესწავლა სემიოტიკის და სხვა კოგნიტური ფსიქოლოგიის მიხედვით არის შესაძლებელი, სადაც სხვადასხვა მოდულები (სქემები, საშუალებები) გამოიყოფა, რომლითაც ადამიანის ცნობიერება ეყრდნობა ნიშნების ამოსავალ შინაარსს, რაც თავისთავად ახალ წარმოდგენებს ქმნის. (Malkhlin/მახლინი, 2003, mechkovskaia/მეჩკოვსკაია, 2004).

ტ. ვესტერგარდი და კ.შრედერი (1985) ასევე გ.კუკი (1992) საკუთარ ნაშრომებს სწორედ სემიოტიკის და ფსიქოლოგიის გადაკვეთაზე აგებენ და ახალ ამბებს უკავშირებებენ. მათი აზრით აღნიშნულის და აღსაღნიშნის მიმართ ნიშნის გაგება ძალიან მნიშვნელოვანია.

მათი აზრით მნიშვნელოვანია განმეორებული ასოციაციის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის (კვამლი-ცეცხლის, შრამი-დაჭრის, ქალაქი-ცივილიზაციის ნიშანი) მსგავსების მიმართების (გვირგვინი ნიშნავს მონარქიას, ვაშინგტონი-ამერიკის ხელისუფლებას), ნაწილის და მთელის მიმართების და ა.შ. დადგენა.

რიტორიკულ ენაში ასეთი შემთხვევები აღიწერება ტროპებით და ფიგურებით, რაც ახალ ამბებში ფართოდაა გადმოცემული. ყველა სახის ახალ ამბებში დინამიურ და სტატისტიკურშიც რიტორიკული ფორმების გამოყენება შესაძლებელია.

ა.ვ.ოვრუცკი და თანაავტორები თვლიან, რომ რიტორიკული საშუალებებით და ფორმებით აზრის და ხატების „შეფუთვა“ მკაცრ იმპლიციტურ ფორმაში საუკეთესოდ ხდება. აქ გამოიყენება სხვადასხვა ტროპები და ფიგურები. ტროპი (ბერძ. შექცევა, შემობრუნება) არის სიტყვისა და ფრაზების გადატანითი მნიშვნელობით ხმარება, ხატოვანი გამონათქვამი, პირდაპირი მნიშვნელობით გადატანითზე გადასვლა. ფიგურა (ლათ. ხატი, სახე) მხატვრული მეტყველების სინტაქსური თვისება, სტილისტიკური ხერხი, სადაც სიტყვათა წყობა წინადადებაში მხატვრული მიზნებითაა განპირობებული და აძლიერებს ემოციებს (ჭილაია, 1971).

ახალი ამბების განხილვისას სხვადასხვა ტროპები და ფიგურები გვხვდება. ადრეულ ახლალ ამბებში რიტორიკულ ფორმებს ნაკლებად ექცეოდა ყურადღება. ტროპებით და ფიგურებით ახალი ამბების პროდუქტის გამომხატველობა მაღლდება. რიტორიკული ფორმები და საშუალებები არა მხოლოდ ახალი ამბების სათაურში, არამედ მთლიან ტექსტში გვხვდება. სათაურებში უმეტესად პოზიტიური ემოციების შექმნას ცდილობენ, რაც შემდგომ ტექსტებზეც ვრცელდება თუმცა არის რა თქმა უნდა ურყოფითი სახის ან სკანდალის გამომხატველი ლექსიკაც ახალ ამბებში. რიტორიკული საშუალებები ინფორმაციის მიწოდებასაც უწყობს ხელს. ახალ ამბებში ხშირად გამოიყენება მეტაფორა. ის წარმოშობს საწიყს ხატს, რომელიც თავს იჩენს ვერბალურ, ვიზუალურ და აუდიალურ დონეზე. ხშირია შემთხვევა, როცა ტროპების და ფიგურების შერწყმა ხდება და ისინი ისე უკავშირდებიან ერთმანეთს, როგორც ფიგურა და ფონი და ერთ მთლიან გემტალტს ქმნიან. არის განსხვავებული შეხედულება, რომ სათაურებში განსახიერება, ალეგორია, სინექლოკე იშვიათადაა გამოყენებული, ხოლო გრადაცია საერთოდ არ გვხვდება. რიტორიკა არის გამოხატვის, გამოსახვის საშუალება, რაც თვალსაჩინოების, შთაბეჭდილებების აღძვრას უწყობს ხელს. ახალ ამბებში უმეტესად არაშაბლონური გამოთქმებია და შესაძლებელია ტექსტის რომელიმე ნაწილზე ყურადღება გამახვილდეს.

მოლაპარაკეთა მიერ კომუნიკაციურ სიტუაციებში ენის გამოყენებისა და მოლაპარაკეთა პრაგმატული კომპეტენციის, როგორც გამაერთიანებელი პრინციპების დასახელებით, პრაგმატიკამ მოიცვა მრავალრიცხოვანი პრობლემატიკა, რომელსაც აქვს კვლევის ხანგრძლივი ისტორია რიტორიკის და სტილისტიკის, კომუნიკაციური სინტაქსის, მოქმედების ტიპოლოგიის, კომუნიკაციის თეორიის და ფუნქციური სტილების, სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, დისკურსის თეორიის და ა. შ. ფარგლებში და რომლებთანაც პრაგმატიკას, კვლევის ინტერესების თვალსაზრისით, ბევრი გსტილისტიკის ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბებასთან ერთად ვითარდებოდა მისი სხვა მიმართულებები. ენის სტრუქტურის შესახებ სწავლებასთან შეპირისპირებით, სტილისტიკა აღიქმებოდა როგორც ზოგადი სწავლება ენის გამოყენებაზე, რაც ლინგვისტიკაში არსებულ ე.წ. „მოქმედი ენის“- ანუ მოლაპარაკეთა მიერ ენის გამოყენების, მეტყველების აქტების წარმატებული განხორციელების და ა.შ. კვლევის მიმართულების ტენდენციას გამოხატავდა. ამდენად, ეს საკითხები ჩართულია ენობრივი პრაგმატიკის სფეროში და, შესაბამისად, ამ შემთხვევაში შესაძლებელია პრაგმატიკული სტილისტიკის შესახებ ლაპარაკი. ადაკვეთის სივრცეები გააჩნია.

ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით განვიხილეთ ინგლისური და ქართული ხალი ამბების წერილობითი ტექსტების სტილის ძირითადი ინვენტარი - საკვლევ ენებში პტაგმატიკული სტილისტიკის მარკერების ფუნქციონირების პრინციპის მსგავსება-განსხვავება.

ჩვენ გამოვყავით ტროპების და ფიგურების ძირიადი სახეები: რიტორიკული ტრიპები: მეტაფორა, მეტონიმია, სინექდოქე, შედარება, ლიტოტესი, ანტონომაზია, ჰიპერბოლა, ეპითეტი, ირონია, ოქსიმორონი, გაპიროვნება, ალეგორია, პერიფრაზი, სიმბოლო.

რიტორიკული ფიგურები: ანტითეზა, ინვერსია, გრადაცია, ანაფორა, ეპიფორე, ამპლიფიკაცია, ელიფსი, კონტრასტი, პარალელიზმი, ასინდეტონი, პოლისინდეტონი, გაჩერება, პარაბოლა, პოეტური მიმართვა, რიტორიკული კითხვა, კალამბური, პარადოქსი, ახსნა, რაფინირება, მოწოდება, ციტირება, მიუღებლობა, ჩანართი, ალუზია.

რ.ბარტი (2003, 1994, 2000) ყოველ ახალ ამბავს შეტყობინებას უწოდებს, რადგან მას ინფორმაციის გამგზავნი და შესაბამის ადრესატიც ყავს. კომუნიკაციის პროცესში

შემავალი შეტყობინება-ახალი ამბები. სწორედ კომუნიკაციის ფარგლებში

უნდაგანხორციელდეს ახალი ამბების ანალიზი, სადაც ყოველი შეტყობინება

აღნიშნულის (გამოხატვა) და აღსანიშნის (საზრისი, გარკვეული შინაარსის ქონა)

საფუძველზეა აგებული. რ. ბარტი ახალი ამბების ფრაზას ან ფრაზებს ორ შეტყობინებად

თვლის, რომლებიც ურთიერთკავშირშია და ახალი ამბების ენის სპეციფიკას ავლენს. კონოტაციურს დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო ახალი ამბებისათვის, არამედ იგი დღეისათვის კომუნიკაციის საშუალებებში თოთქმის ყოველ სფეროში გვხვდება. ნახვისას, ყურებისას, მოსმენისას, წაკითხვისას კონოტაციურ შეტყობინებასთან გვაქვს საქმე. რ. ბარტი დაასკვნის, რომ მე-20 საუკუნის ადამიანი კონოტაციურ სამყაროში ცხოვრობს. ახალი ამბებიც კონოტაციურის სახეა, მაგრამ მისგან გამომდინარე ყოველგვარ კონოტაციურბაზე ვერ ვიმსჯელებთ. ახალი ამბების შეტყობინებაში კონოტაციური მნიშვნელობა არ არის დამალული, პირიქით დეტონაციური შეტყობინება ითხოვს ახსნას. ეს უკანასკნელი საჭიროა დასკვნების გამოტანისას, დარწმუნებისათვის. მიმართება ამ ორ შეტყობინებას შორის (დეტონაციური-კონოტაციური შეტყობინება) ახალ ამბებში ორმაგდება, სადაც პირველადი (დეტონაციური) შეტყობინება შეფარული გზით ემასახურება მეორადს (კონოტაციურს). რეალურად კი კონოტაციურობა ბუნებრივად იჩენს თავს, რომლითაც ყიდვის მოტივაცია დაფარულად კი არ არის, არამედ ორმაგდება, რაც მოქმედებს მომხმარებელზე. რ.ბარტი წერს: „შეიძლება ითქვას, რომ „კარგი“ ახალი ამბავი ისაა, რომელიც შეიცავს მდიდარ რიტორიკას და ზუსტად (ხშირად ერთი სიტყვით) ეხება ადამიანების მნიშვნელოვან მოტივაციას, რომლის დროს ხდება იმ ძლიერი ხატების გამონთავისუფლება, რაც ასევე პოეზიისათვისაა დამახასიათებელი. სხვა სიტყვებით ახალი ამბების ენის კრიტერიუმები იგივეა რაც პოეზიაში: რიტორიკული ფიგურები, მეტაფორები, სიტყვათა თამაში-ყველა ეს ორმხრივობის ნიშანია, რაც ავსებს ენას ლატენტური აღსანიშნით და ადამიანს მთლიანობის განცდას სთავაზობს“. (Bart, 1994). აქედან, რაც უფრო მნიშვნელოვანია ახალი ამბების ფრაზებში შესული ნიშნები, მით უფრო უკეთესად გამოხატავს კონოტაციური შეტყობინების ფუნქციას. მომხმარებელი მაქსიმალურად „ფართო“ სამყაროს უნდა შეერწყას ახალ ამბებში, სადაც „სამყაროში“ ძველი ხატები, ღრმა სხეულებრივი განცდები შედის. ბუნებრივია აღნიშნული და აღსანიშნი ვიზუალურ ხატებშიც გვხვდება. ვიზუალურ (გამოსახულებით) შეტყობინებაში დისკრეტული ნიშნებია მოცემული, რაც იკონური (ხატობრივი) სახითაა წარმოდგენილი.

კონოტაციური გამოსახულება არის კონსტრუქტი შექმნილი ნიშნებით, ამორებულია იდეოლექტებიდან (სიტყვათა კონა, ლექსიკონები), რაც არის კოდი, რომელსაც ის დაშვებაც ასახულებს, რომ ადამიანის ფსიქიკა ენის სპექტრის მსგავსადაა ორგანიზებული. რ.ბარტი ხელოვნების ყველა ნაწარმოებში ხუთ კოდს ასახელებს- კულტურულ, ჰერმენევტიკულს, სიმბოლურს, სემიურს და ნარატიულს. კოდი ეწოდება ასოციაციურ

ველს, ზეტქსტურ ორგანიზაციას, რომელიც გარკვეულ სტრუქტურაზე წარმოდგენას უწყობს ხელს. კოდი კულტურულ სფეროს მიეკუთვნება, რომელიც უკვე ნაჩვენებია, ნანახია, წაკითხულია ან გაკეთებულია და კონკრეტული ფორმით იჩენს თავს. ეს ყველაფერი ისტორიულ დროში იცვლება. ახალი ამბების შეტყობინებაში შეიძლება იყოს დისკრეტული მომენტიც, რასაც შეტყობინების კონოტაციური ბუნება უწყობს ხელს. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნას რიტორიკული ფორმები და ფიგურები, რომელთა რაოდენობა ვარირებს. ეს ეხება როგორც ვერბალურ ასევე ვიზუალურ შეტყობინებას. უ.ეკოც (1998) ეხება ახალი ამბების შეტყობინების ბუნების განხილვას სემიოტიკის კუთხით. ძირითადად რიტორიკულ დისკურსს განიხილავს, რომელშიც რაციონალიზაცია არ არის მთავარი, არამედ ემოციებზეა ხაზგასმა, რაც შთაგონების ეფექტს იწვევს. უ. ეკო აღნიშნავს, რომ ის რაც ადრე ფილოდოფიურ, ლოგიკურ, თეორიულ დისკურსში იყო მოქცეული, დღეს უერთდება იმ ძირითად დისკურსს, სადაც გათვალისწინებულია ბალანსი არგუმენტებსა და შთაგონებას შორის, რათა მკითხველზე ან მსმენელზე ზემოქმედება მოახდინონ. ეს დროის მოთხოვნით და პრაქტიკითაა განპირობებული. არისტოტელესეული ტრადიციით მსმენელის დასარწმუნებლად უდაო არგუმენტებს იყენებდნენ. „ჩვენს ყოველდღიურობაში, როგორც პოლიტიკურ პროპაგანდაში, ასევე რელიგიურ ქადაგებაში, ახალ ამბებში, რეკლამაში, ყოველდღიურ საუბარში ჩვენ ვიჯერებთ და ვიყენებთ ურთიერთგამომრიცხავი დასკვნების საშუალებით“. ასეთ დაშვებას ახალ ამბებშიც იყენებენ. ადამიანი რამეში რომ დარწმუნდეს საჭიროა მივიქციოთ მისი ყურადღება, რასაც ტროპები და რიტორიკული ფიგურები ემსახურება. მათი საშუალებით მეტყველება უფრო უცნაური სიახლის შემომტანი და ამავე დროს ინფორმაციულიც ხდება. რიტორიკული ზემოქმედება ორი გზით ხორციელდება. პირველი-რიტორიკა ყურადღებას ამახვილებს ისეთ სიტყვებზე, რომლებიც თითქოს ახლებურად (ახალი ინფორმაცია) ცდილობენ დაარწმუნონ მსმენელი ან მკითხველი იმაში, რომ ეს მათთვის ჯერ კიდევ უცნობია; და მეორე-შთაგონებას რიტორიკა აღწევს იქიდან გამომდინარე რომ მსმენელმა ან მკითხველმა რაღაც იცის ან სურს და მისთვის დასაბუთება ხდება იმგვარად, რომ შეთავაზებული გადაწყვეტილება მისი სურვილების და ცოდნის სფეროს შეესატყვისება. რიტორიკა კონკრეტულ ტროპებს კი არ ეხება, არამედ ზოგადად მიღებულ კონსტრუქტებს. აქ ასევე იგულისხმება აუდიტორიის ფსიქოლოგიური მახასიათებლები და მოლოდინები, რაც მსმენელისათვის ან მკითხველისათვის ტიპურია. ამიტომ ამ ცნობილი დაშვებების, მოლოდინების,

გადამუშავება რიტორიკულად ხდება, რაც დარწმუნებას უწყობს ხელს. რიტორიკის ფუნქციის ორ სახეს განასხვავებენ:

1. რიტორიკა, როგორც ტექნიკა, ევრისტიკული რიტორიკა, რომელიც დარწმუნების, მოქმედების წარმართვის დისკურსშია გამოხატული.
2. რიტორიკა, როგორც არსებული და ჭარბი ფორმების ხატი, რომლიტაც ადრესატის მსჯელობის განმტკიცება ხდება გრძნობებზე აპელირებით.
ყოველივე ეს ქმნის მოქმედების ილუზიას, გარეგნულად ის წარმართავს არაორდინალური ქმედებისაკენ.

ამგვარად რიტორიკაში უკვე არსებული ფორმების შენახვა და გადმოცემა ხდება. აქ უკვე განასხვავებს:

1. რიტორიკა მდგრადი ფორმების შემნახველია, აქვს ფორმულების დიდი არსენალი, რაც წარსულში მიღებულ გადაწყვეტილებას ეხება. ის შეიცავს რიტორიკული ხერხების კოდებს-სტილისტურ ხერხებს (მხატვრულობა) მდგრად იკონოგრაფიული მნიშვნელობის სინტაგმებს (ახასიათებს ვიზუალურ შეტყობინებას), მდგრად კონოტატიურობას (ეხება ემოციებს) და სხვა სიტყვებით შეფასება (რაც გამონათქვამის შინაარსს არ ეხება).
2. ემოციური ზემოქმედების საშუალებები არ უნდა იყოს ნიშანთა სისტემის მიღმა, რადგან ნიშნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა გამოიწვიოს ემოცია. არის გაუცნობიერებელი რაქციები (რომელსაც ფსიქონალიტიკოსები ეხებიან-სიმბოლოები, არქეტიპები) და სენსორული რეაქციები (ფიზიკური რეაქცია), რომლებსაც ვიზუალურ ხელოვნებაში ვხვდებით და ის არ მიეწერება ნიშნებს.
3. რიტორიკული ფორმებით არა მხოლოდ ვერბალურ სფეროს უნდა შევეხოთ, არამედ ვიზუალურსაც. ვიზუალურ კომუნიკაციაში მრავლადაა მეტაფორა, მეტონიმია, ლიტოტა და ა.შ.

ამ სფეროში მომუშავეთა მეცნიერთა აზრით მნიშვნელოვანია, რომ ცალცალკე იქნეს შესწავლილი ტროპები და ფიგურები, მაგრამ დღეისთვის ვიზუალური კომუნიკაციის პირობებში მათი მიმართება აშკარაა. ზოგი ავტორი ახალი ამბების რიტორიკული ანალიზისათვის კონკრეტულ ტროპებს და ფიგურებს გამოყოფს. მიგვაჩნია, რომ მათი რაოდენობა აუცილებლად უნდა იქნეს აღებული ისე, რომ გათავალისწინებული იქნას რიტორიკის ყველა საშუალება და ფორმა. სწორედ ასეთი ფორმების კლასიფიცირებაცაა შესაძლებელი.

რიტორიკული საშუალებები და ფორმები (ტროპები, ფიგურები) ეყრდნობა ანტიკური რიტორიკის შეხედულებებს, მაგრამ თანამედროვე ავტორები ცდილობენ მათ

კლასიფიკაციას. კლასიფიკაცია ძირითადად კომუნიკაციის ძირითადად ზემოქმედებით მხარეს ეხება. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ავტორი რიტორიკული ფორმების (ტროპები, ფიგურები) სახელებსაც ცვლის, ზოგი კი ინარჩუნებს მათ ანტიკურ დასახელებას.

გერმანელი მეცნიერი ჰ.ლეიმერმანი მიუთითებს, რომ ჰ. ლაუსბერგმა შეაჯამა ანტიკური და შუა საუკუნეების რიტორიკა და გარკვეული კლასიფიკაცია შემოგვთავაზა.

ჰ.ლეიმერმანი სწორედ ამ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით აყალიბებს აზრს, რომ რიტორიკული საშუალებების და ფორმების ანალიზი საშუალებას იძლევა სიტყვის (მონათხრობის) აგებულება შევისწავლოთ. წარმოთქმული სიტყვის შინაარსს ასეთი სახისი ანალიზი აშკარად თვალსაჩინოდ, დამარწმუნებლად და წამახალისებლად წარმოგვიდგენს. ყოველივე ეს ხელს უწყობს აუდიტორიაზე ზემოქმედებას. ყოველ მონათხრობში (სიტყვაში) გადმოცემული რიტორიკული ფორმები და საშუალებები იდენტურად მეორდება, რაც ცალკეულ წინადადებებში ან წინადადებათა კომპლექსებშია დაფიქსირებული. ტექსტში გადმოცემული ფორმები და საშუალებები ღირებულებებით განსხვავდებიან, ენიჭებათ მნიშვნელობა და სხვადასხვა ხარისხით გამოიყენება.

(მაგალიტად შეიძლება წარმოთქმულ ან დაწერილ სიტყვაში შედარებები უფრო ჭარბობდეს, ვიდრე ჰიპერბოლები და სხვა). ხშირია შემთხვევა, როცა სიტყვაში გადაჭარბებულადაა მოცემული მსგავსი საშუალებები და ფორმები. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ორატორი (ტექსტის შემქმნელი) ცდილობს თიტქმის ყველა სახის რიტორიკული ფორმები შეიტანოს წარმოსათქმელ სიტყვაში. ეს არ არის სწორი, რადგან ყოველი რიტორიკული ფორმის ერთობლივად გამოყენება გავლენის ფორმებს ამცირებს. აქვე უნდა დავუშვათ ისიც, რომ ბევრი საშუალება და ფორმა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. მაგალითად, გარკვეული ხატი (შესაძლოა მეტაფორა) საფუძვლად დაედოს შედარებას. ქვემოთ მოგვყავს კლასიფიკაცია, რომელიც ზემოქმედების სფეროს მიხედვით დაახარისხა, სადაც გამოყო ხუთი ერთეული-1) ხატოვანება. 2)დარწმუნებულობა. 3) მომხიბვლელობა. 4) ესთეტიკური ხატოვანება. 5) კომუნიკაციაში მსმენელის ჩართვა.

ტექსტში და საუბრისას უმეტესი რიტორიკული საშუალება ან ფორმა გაუცნობიერებლად გამოიყენება, მაგრამ სიტყვის (მონათხრობის) შექმნისას მათი წინასწარ, მიზანმიმართულად გამოყენება ხდება. ყოველივე თავის მხრივ სიტყვას ეფექტურს ხდის. აქედან გამომდინარე მსმენელზე ან მკითხველზე ზემოქმედებაც ხდება.

რუსი ავტორი ვ.ი.კურბატოვი რიტორიკულ საშუალებებს და ფორმებს ორ დიდ კლასად ჰყოფს-1. აზრის (ბუნებრივი) საშუალებები. 2. სიტყვის (მონათხრობი) საშუალებები.

პირველს ეწოდება სიტყვიერი გამონათქვამები, სადაც ხდება დაზუსტება-ა) ორატორის პოზოციოს, ბ) საგნის არსის, გ) საგანთან მიმართების და დ) მსმენელთან კონტაქტის. მორე საშუალებებში შედის-მატება, კლება, დაზუსტება და ხელახლა გააზრება.

1. აზრის საშუალებები

ორატორის პოზიცია

- 1.1 დაზუსტება - „მე დავასაბუთებ ამას და ამას“
- 1.2 განჭვრეტა, გათვალისწინება-„შემეწინააღმდეგებიან, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ...“
- 1.3 დათობა-„მე იძულებული ვარ დავეთანხმო იმას, რომ...“
- 1.4 უფლების მიცემა-„შეგიძლიათ გააკეთოთ ეს ასე, მაგრამ ვნახოთ როგორ გამოვა...“
2. საგნის არსი
 - 2.1 განსაზღვრა, შესწორება, ანტითეზა-„სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე“
 - 2.2 მინიჭება-„რაც უფრო ცუდია ეს, მით უფრო კარგია ჩემი საქმისათვის“.
 - 2.3 ოქსიმორონი-„სამართლიან დავას, უსამართლობა მშვიდობა სჯობს“
3. საგანზე მიმართება
 - 3.1 წამომახილი-„ო, დრონი, დრონი“
 - 3.2 თვალსაჩინოება-სურათის საგნობრივად დეტალიზაცია.
 - 3.3 პროსოპოპეა-სხვადასხვა განსახიერება.
 - 3.4 ეპოპეა-საკუთარი სიტყვების ჩასმა სხვების გამონათქვამებში.
4. მსმენელთან კონტაქტი
 - 4.1 ვედრება, მუდარა-დამცირება აუდიტორიის წინაშე.
 - 4.2 საყვედური-აუდიტორიაზე არ არის მიმართული.
 - 4.3 კითხვები-რიტორიკული კითხვა: კითხვა-პასუხი; კსრნახი-მინიშნება; კითხვა საკუთარი თავისადმი.

2. სიტყვის საშუალებები

1. მატება

- 1.1 გამეორება-სიტყვის გამომხატველ ფუნქციას და ზემოქმედებას აძლიერებს. ერთი და იგივე სიტყვის ან ფრაზის რამდენჯერმე გამეორება.
- 1.2 აპაფორა-„ვფიცავ შექმნის პირველ დრეს და ბოლო დდეს“.
- 1.3. ეპიფორა-წინადადება ერთი და იგივე სიტყვებით მთავრდება

- 1.4. გადაჯაჭვა-აპაფორის და ეპიფორის ერთობლიობა.
- 1.5 მოცვა-მოვლენებზე ერთნაირი შეხედულება.
- 1.6. დაპირისპირება-„გაზაფხული უკიდევანოა, უკიდევანოა გაზაფხული“.
- 1.7. გრადაცია-განმეორების მატება, განსხვავებული, ამაღლებული ტონით გამონათქვამი.
2. კლება, შემცირება
- 2.1 ნაგულისხმები სიტყვების გამოტოვება.
- 2.2 ზევგმა-შემცვლელი სიტყვის გამოტოვება ფრაზაში.
- 2.3. ასინდეტონი-აუცილებლად გამოსაყენებელი სიტყვის გამოტოვება.

3. დაზუსტება

- 3.1 ანაფორა-მსგავსი სიტყვების ურთიერთგადასმა.
- 3.2 ჰიპერბატონი-დაკავშირებული სიტყვების დაშორება.
- 3.3 პარალელიზმი-(ჰაიზმი).

4. ხელახალი გააზრება

- 4.1 მეტაფორა-მსგავსზე მნიშვნელობის გადატანა.
- 4.2. მეტონიმი-პარალელური მნიშვნელობით გადატანა-„მიზეზი-შედეგი“, „აღნიშნული-ნიშანი“ და ა.შ.
- 4.3. სინექდოქე-რაოდენობრივი მნიშვნელობის გადატანა.
- 4.4. ანტონომაზია-კერძო შემთხვევაა სინექდოქესი (სახელის პირუკუ დარქმევა)
- 4.5. ირონია-საპირისპიროზე მნიშვნელობის გადატანა (საგნის საწინააღმდეგო მნიშვნელობას ავლენს).
- 4.6. ემფაზა-სიტყვის მნიშვნელობის შემცირება.
- 4.7. ჰიპერბოლა-მნიშვნელობის გაძლიერება, გადაჭარბება.

ავტორისეული კლასიფიკაცია საკმაოდ რთულია და გაუგებრობას იწვევს ზოგიერთი ტროპის ან ფიგურის კონკრეტულ ქვეკლასში მოთავსება. მაგალითად, ჰიპერბოლა შესაძლებელია მატების ქვეკლასში მოთავსებულიყო, მაგრამ ავტორს ის მოთავსებული აქვს ხელახალი გააზრების ქვეკლასში.

რუსი მეცნიერი რ. ბ.მეჩკოვსკაია (2004) სემიოტიკის და კოგნიტურ ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით რიტორიკულ საშუალებებს და ფორმებს მოდულებს უწოდებს, რაც ადამიანის ცნობიერებაში ნიშნის ამოსავალ შინაარსს ეყრდნობა და ახალ წარმოდგენებს აყალიბებს. ავტორი ორ ძირითად მოდულს გამოყოფს. რ.იაკობსონის შეხედულების

მსგავსად, რომელსაც მეტყველების სფეროში ორი ძირითადი ღერძი შემოაქვს-მეტაფორა და მეტონიმია, სადაც ერთიანდება სხვა ტროპები და ფიგურები. ისინი უკავშირდება ნიშანს და მნიშვნელობებს. ზოგიერთი ტროპი უფრო ახლოსაა მეტაფორასთან (მაგ: ჰიპერბოლა, ლიტოტა, ირონია, მსგავსება, განსახიერება), ხოლო ზოგი უკავშირდება მეტონიმიას (სინექდოკე, გაფართოება, შემცირება). ავტორი ამ ორს, უნივერსალურ მოდულებს უწოდებს. ისინი მეორადი წარმონაქმნები არიან. დერივაციის მეტაფორული მოდული არსებობს იქ, სადაც ურთიერთსაპირისპიროს, უკუ-ანალოგიებზეა მითითება. დერივაციის მეტონიმური მხარე ხატოვანია, როგორც გრძნობადი, უშუალო, ინტუიტიური. ამ ორი მოდულის არსებობა (მეტაფორა და მეტონიმია) არის გზა ინსაიტისაკენ. ყოველივე ამას კი მოსდევს ზემოქმედება მსმენელზე ან მკითხველზე. ჩვენ ინტერესს შეადგენს ახალი ამბების რიტორიკული ანალიზი. ბუნებრივია არ არსებობს მზა რეცეპტი, რომლითაც ახალ ამბებს შევაფასებთ. აქ საჭიროა ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით მოხდეს რიტორიკული საშუალებების და ფორმების გამოყოფა. პირველ რიგში უნდა მოხდეს მათი გამოყენება აუდიტორიის ან მკითხველის მიზნებიდან გამომდინარე. ამის გაუთვალისწინებლობა განსხვავებულ შედეგს იძლევა. ახალი ამბების შესწავლა რიტორიკული ანალიზით შესაძლებელია პირველი-მათი შესწავლის, შეფასების კუთხით და მეორე-მიღებული მონაცემები შესაძლოა გათვალისწინებული იქნეს ახალი ახალი ამბების შექმნისას.

საჭიროა გაირკვეს რომელი რიტორიკული ფორმა და საშუალება იძლევა მნიშვნელოვან სურათს.

სტილისტური განსაზღვრულობა წარმოდგენილია ცხრილებში:

3.3 რიტორიკული ფიგურების გამოყენების სიხშირის ცხრილები ქართულ და ბრიტანულ პრესაში

ცხრილი N 5

სერიოზული ბრიტანული პრესა. ცხრილი 1
 რიტორიკული ფიგურების გამოყენების სიხშირე
 2010-2012 წლების პრესა

გაზეთის N	რიტორიკული ფიგურები
5	3
13	4
18	2
24	7
25	5
22	9
3	6
7	3
10	1
16	8
19	3
17	2
11	7
23	3
21	6
1	4
2	3
4	5
6	6
8	1
9	5
14	1
12	8
20	4
25	2

წყარო: (მ.მარღანია, 2009)

ცხრილი N 6

სერიოზული ქართული პრესა ცხრილი 2
რიტორიკული ფიგურების გამოყენების სიხშირე

გაზეთის N	რიტორიკული ფიგურები
23	2
6	5
9	7
11	4
21	8
7	6
15	3
10	1
14	5
40	9
25	2
13	8
33	7
8	8
4	1
45	4
30	1
39	3
45	2
22	2
18	5
44	6
5	1
12	5
52	3

წყარო: (მ.მარღანია, 2009)

ცხრილი N 7

ტაბლოიდური ბრიტანული პრესა. ცხრილი 3
რიტორიკული ფიგურების გამოყენების სიხშირე

გაზეთისN	რიტორიკული ფიგურები
37	3
35	2
2	3
7	5
8	2
3	8
5	9
11	4
10	3
9	1
45	8
52	9
17	3
30	2
34	5
51	3
66	2
38	2
40	7
120	2
45	4
56	8
39	5
21	4
27	2

წყარო: (მ.მარღანია, 2009)

ცხრილი N 8

ტაბლოიდური ქართული პრესა ცხრილი 4
რიტორიკული ფიგურების გამოყენების სიხშირე

გაზეთის N	რიტორიკული ფიგურები
30	4
24	3
17	6
29	3
45	2
51	4
50	9
3	4
9	3
44	8
28	1
23	6
22	2
5	7
7	8
6	2
18	3
43	5
35	7
25	2
13	9
18	7
37	4
15	2
49	6

წყარო: (მ.მარღანია, 2009)

ჩვენი მასალის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ საერთო მონაცემები, რომელშიც დაფიქსირებულია ძირითადად, რომელი რიტორიკული ფიგურები გამოიყენება ახალ ამბებში და რა სიხშირით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შეჯამებულია ეს მონაცემები.

ცხრილი N 9

შემაჯამებელი ცხრილი ბრიტანული ახალი ამბები	
რიტორიკული ფიგურები	
ასინდეტონი (25)	
პოლისინდეტონი (34)	
ალიტერაცია (14)	
მეტაფორა (28)	
მეტონიმია (25)	
ირონია (15)	
სიმილი (13)	
პერიფრაზი (17)	
ჰიპერბოლა (5)	
კლიშე (28)	
პარალელური კონსტრუქცია (22)	
გამეორება (17)	
ელიფსი (19)	
რიტორიკული კითხვა (35)	
შედარება (27)	

წყარო: (მ.მარლანია, 2009)

ცხრილი N 10

შემაჯამებელი ცხრილი
ქართული ახალი ამბები

რიტორიკული ფიგურები
ასინდეტონი (30)
პოლისინდეტონი (38)
ალიტერაცია (18)
მეტაფორა 32
მეტონიმია 28
ირონია (13)
სიმილი (10)
პერიფრაზირება 20
ჰიპერბოლა 7
კლიშე 25
პარალელური კონსტრუქცია 24
გამეორება 22
ელიფსი 14
რიტორიკული კითხვა 39
შედარება 22

წყარო: (მ.მარღანია, 2009)

განხილული 100 გაზეთიდან (აქედან 50 ბრიტანული, 50 ქართული) საბოლოოდ გამოიყო შემდეგი რიტორიკული ფიგურები: ასინდეტონი (55), პოლისინდეტონი (72), ალიტერაცია (32), მეტაფორა (60), მეტონიმია (53), ირონია (28), სიმილი(23), პერიფრაზირება (37), ჰიპერბოლა (12), კლიშე (53), პარალელური კონსტრუქცია (46), გამეორება(39), ელიფსი (33), რიტორიკული კითხვა (74), შედარება (49).

აქედან, სერიოზული ბრიტანული პრესიდან - გამოიყო ასინდეტონი (15).

პოლისინდეტონი(20), ალიტერაცია (10), მეტაფორა (18), მეტონიმია (13), ირონია(7), სიმილი (6), პერიფრაზი(10), ჰიპერბოლა (3), კლიშე (17), პარალელური კონსტრუქცია (15), გამეორება (8), ელიფსი (6), რიტორიკული კითხვა (19), შედარება (13).

სერიოზული ქართული პრესიდან -ასინდეტონი (13), პოლისინდეტონი (28), ალიტერაცია (8), მეტაფორა (25), მეტონიმია (20), ირონია (6), სიმილი (5), პერიფრაზი (15), ჰიპერბოლა

(5), კლიშე (15), პარალელური კონსტრუქცია (12), გამეორება (10), ელიფსი (5), რიტორიკული კითხვა (25), შედარება (16).

ტაბლოიდური ბრიტანული პრესა - ასინდეტონი (10), პოლისინდეტონი (14), ალიტერაცია(4), მეტეფორა (10), მეტონიმია (15), ირონია (8), სიმილი(9), პერიფრაზი (7), ჰიპერბოლა (2), კლიშე (11), პარალელური კონსტრუქცია (7), გამეორება (9), ელიფსი (13), რიტორიკული კითხვა (16), შედარება (14).

ტაბლოიდური ქართული პრესა - ასინდეტონი (17), პოლისინდეტონი (10), ალიტერაცია (10), მეტაფორა (7), მეტონიმია (8), ირონია (7), სიმილი (1), პერიფრაზი (5), ჰიპერბოლა (2), კლიშე (10), პარალელური კონსტრუქცია (12), გამეორება (12), ელიფსი (9), რიტორიკული კითხვა (14), შედარება (6).

3.4 ბრიტანული და ქართული ემპირიული მასალა

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში წარმოგიდგენთ მაგალითებს და კვლევის მოკლე შედეგებს.

„- You're talking immediately post-invasion?

- I mean not too long after the - right, exactly. We were pretty centralized in Baghdad. And I know now, I remember now stories of kind of little local councils trying to grow up. In retrospect, I think, that maybe we should have spent more time trying to nurture those...“

ამ მაგალითში ჟურნალისტი აწყვეტინებს კონდოლიზა რაისს საუბარს და უსვამს შეკითხვას, რათა დააკონკრეტოს, რომ რესპონდენტი ერაყის დაპყრობის შემდგომ პერიოდზე საუბრობს. შეკითხვის ილოკუცია ადეკვატურად გაიგება კ. რაისის მიერ, რომელიც ასევე ადეკვატურ პასუხს იძლევა. სწორედ პასუხი ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე წარმოადგენს მის პერლოკუციურ ეფექტს.

ადრესანტის მიერ გამოგზავნილი ინფორმაციის მიღება-ინტერპრეტაცია (ლექსიკურ-სემანტიკური, გრამატიკული, პრაგმატიკული, სიტუაციური და ა.შ. სისტემის, რომელსაც ადრესანტი იყენებს თავისი აზრებისა და ინტენციის გადმოსაცემად) დამოკიდებულია მსმენელ სუბიექტზე. მამასადაძმე, ადრესატს უხდება ამგვარი გზის გავლა: გამოხატვის საშუალებებიდან - აზრის გაგებამდე (თევდორაძე, 2010). ამ გზის გავლის შედეგს კი წარმოადგენს პერლოკუციური ეფექტი.

მაგალითად, გამონათქვამი:

„I'll be back!“

შეიძლება იყოს დაპირება, მუქარა ან გაფრთხილება. თანამედროვე ლინგვისტურ თეორიაში, სამეტყველო აქტში ინტენციის ფორმირება დაკავშირებულია ილოკუციის ძალის ცნებასთან და მის უშუალო დაკონკრეტებას წარმოადგენს. ილოკუცია შეიძლება მოცემული იყოს როგორც გამონათქვამის ზედაპირზე, ისე მის სიღრმეში.

- Is there any way to break through that obstructionism by Republicans?

ეს გამონათქვამი წარმოადგენს შეკითხვას, ესახება თუ არა მოცემული შეკითხვის ადრესატს რესპუბლიკელების ობსტრუქციონიზმის გარღვევის გზები, ანუ ამ გამონათქვამის ილოკუციური ძალა გამოხატულია შეკითხვით. ამრიგად, ყოველ დასრულებულ წინადადებაში, თუნდაც ერთსიტყვიანში, მოიპოვება კონკრეტული ილოკუციური ძალის ინდიკატორი, ამიტომ არც ერთი სემანტიკური თეორია არ იქნება სრულყოფილი ილოკუციური კომპონენტის გათვალისწინების გარეშე.

მარკერებმა შეიძლება კონტექსტუალური იმპლიკაციის წარმოქმნა განაპირობოს (so, therefore, too, also); მაგალითად:

So, I think they look beyond that to how does this person handle problems? Do they share some basic values with me?

შეიძლება ხელი შეუწყოს გადმოცემული შინაარსის აღქმას დამატებითი ინფორმაციის გადმოცემის გზით (after all, moreover, furthermore); მაგალითად:

And the idea that Iraq would be unable to secure its unity and truly break up then into warring sects would have such a devastating impact on the rest of the region, which after all has some of the same fault lines that exist in Iraq

შეიძლება დაუპირისპირდეს მოცემულ შინაარსს (however, still, nevertheless, but); მაგალითად:

We've got 30 governors that represent 315 electoral votes. If Scott Walker and Chris Christie can win in Wisconsin and New Jersey, we can win during the presidential election, too. But we've got to ask for the order, and you can't just do it nine months before a presidential campaign
მათ შეიძლება დააკონკრეტონ გამონათქვამის როლი მოცემულ დისკურსში (anyway, incidentally, by the way, finally) მაგალითად:

I'm not even sure it's a blow to the government. And by the way, they've done this before and come back.

დ. ბლეკმორის ეს კატეგორიები არაზუსტად, მაგრამ მაინც ეხმაურება იმას, რასაც ბ. ფრეიზერი დისკურსის მარკერების ქვეკლასში განიხილავს.

ზოგიერთ სიტყვას აქვს სინტაქსურიც და პრაგმატიკული მარკერის ფუნქციაც, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითისთვის შედარებულია ზმნიზედა well და პრაგმატიკული მარკერი well

People have a sense the game is rigged, so just a few people can do well, and everybody else is left to scramble to get by

Well, I think that first of all Kosovo, despite the brutality and the horrors of what was happening in the Balkans, was immensely simple in lots of ways than what we're talking about in Syria

იმ ენობრივ საშუალებებს შორის, რომლებიც პოლიტიკურ დისკურსში გამოიყენება საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით შეიძლება დასახელდეს: პარალელური კონსტრუქციები, ანადიპლოზისი (სტილისტური ხერხი, როდესაც მომდევნო სტრიქონი იწყება იმ სიტყვით, რომლითაც დასრულდა წინამავალი სტრიქონი), რთული სინტაქსური კონსტრუქციები, იმპერატივები, რიტორიკული შეკითხვები და სხვა. მაგალითად:

პარალელური კონსტრუქციები:

ა) You have a Republican Party, and a presumptive Republican nominee, that believes in drastically rolling back environmental regulations, that believes in drastically rolling back collective-bargaining rights, that believes in an approach to deficit reduction in which taxes are cut further for the wealthiest Americans..

ბ) But when you look at the history of how we became an economic superpower, that rugged individualism and private-sector dynamism was always coupled with government creating a platform so that everybody could succeed, so that consumers weren't taken advantage of, so that the byproducts of capitalism, like pollution or worker injuries, were regulated

გ) One of the reasons I am in this is because that's what governors do. We balance budgets. We make things work. We improve schools. We build highways. We work to make sure the healthcare system has improvement, more people can access it, more people can afford it. That's what matters to people

ანადიპლოზისი:

That's hugely important – but you shouldn't also underestimate the fact that there are a whole bunch of little white girls and white boys all across the country who just take it for granted that there's an African-American president. The president they're growing up with, and that's changing attitudes

პარალელური კონსტრუქციები ანადიპლოზისთან ერთად:

I think Fox is part of that tradition — it is part of the tradition that has a very clear, undeniable point of view. It's a point of view that I disagree with. It's a point of view that I think is ultimately destructive for the long-term growth of a country that has a vibrant middle class and is competitive in the world

რიტორიკული შეკითხვები:

ა) I just made the announcement about Elizabeth Warren setting up our Consumer Finance Protection Bureau out in the Rose Garden, right before you came in. Here's an agency that has the potential to save consumers billions of dollars over the next 20 to 30 years — simple stuff like making sure that folks don't jack up your credit cards without you knowing about it, making sure that mortgage companies don't steer you to higher-rate mortgages because they're getting a kickback, making sure that payday loans aren't preying on poor people in ways that these folks don't understand. And you know what? That's what we say we stand for as progressives. If we can't take pleasure and satisfaction in concretely helping middle-class families and working-class families save money, get a college education, get health care — if that's not what we're about, then we shouldn't be in the business of politics. Then we're no better than the other side, because all we're thinking about is whether or not we're in power.

ბ) But if the rules are written properly — and I have confidence that the people I appointed to these agencies intend to apply them properly — it's going to make a difference. Is it going to solve every potential problem in Wall Street in a multi-trillion-dollar, worldwide, capital market? Probably not. There could end up being new schemes, new loopholes that folks are going to try to exploit. The special interests are already ginning up to try to influence the rulemaking process in all these issues, so we have to remain vigilant. But to say that we did not significantly improve oversight of the derivatives market, it just isn't true.

იმპერატივი:

We have been very successful in recruiting and beginning to train Afghan security forces. There are elements that are working, and there are elements that are not working. Keep in mind that the decision I have to make is always, "If we're not doing this, then what does that mean? What are the consequences?" I don't know anybody who has examined the region who thinks that if we completely pulled out of Afghanistan, the Karzai regime collapsed, Kabul was overrun once again by the Taliban, and Sharia law was imposed throughout the country, that we would be safer, or the Afghan people would be better off, or Pakistan would be better off, or India would be better

off, or that we would see a reduction in potential terrorist attacks around the world. You can't make that argument .

A good honest debate is a healthy thing, especially when it comes to something as defining as a war.

პირველ რიგში, იგი ამით გამოხატავს რწმენას, რომ სუფთა დებატები ჯანსაღი რამაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ომს ეხება. მაგრამ ის, თუ როგორი რწმენაა - მტკიცება, აღიარება, დათანხმება, ცნობა თუ დადასტურება - არ კონკრეტდება. ეს შეიძლება დაზუსტდეს, მაგალითად, ექსპლიციტური პერფორმატივების გამოყენებით. თუმცა ასეთი სტილური ვარიაციების შემთხვევაშიც კი, ამ ტიპის მარკერის მიერ გამოხატული პირველადი მნიშვნელობა - რწმენა იგივე რჩება.

იმავე ილოკუციური ძალის გამომხატველია წინადადების თხრობითი სტრუქტურა ქართულშიც:

ის ყელყელობა, რომლითაც „ნაცმოძრაობის“ ლიდერები მიემართებოდნენ გადაჭედილ ქუჩებზე, თავისთავად გამომწვევი ქცევა იყო.

თხრობითი აგებულების ძირითადი სტრუქტურული მარკერის მქონე გამონათქვამი შეიძლება ასე ფორმულირდეს:

(რწმენა) პროპოზიცია.

განსხვავებით თხრობითი ფორმისგან, კითხვითი ფორმა გამოხატავს ადრესანტის მოთხოვნას ადრესატის ვერბალურ პასუხზე. მაგალითად, ბარაკ ობამასთან ინტერვიუში ჟურნალისტი სვამს შემდეგ შეკითხვებს:

ა)- Given all that, what do you think the general election is going to look like, and what do you think of Mitt Romney?

(ბ)- What about the two biggest concerns at the moment, Syria and Iran? (9) (გ)- Do you read Paul Krugman?

რომელზეც იგი რესპონდენტისგან ითხოვს ვერბალურ პასუხს.

ვერბალურ პასუხზე თხოვნის ილოკუცია ძირითადად, წინადადების კითხვითი სტრუქტურით გამოიხატება ქართულ ენაშიც. მაგალითად:

როგორ ფიქრობთ, დადგა დრო, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მართლაც საზოგადოებას ეკუთვნოდეს და მის ხელმძღვანელებად ამა თუ იმ პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები არ ინიშნებოდნენ, თუ მსგავს პერსპექტივას ჯერ ვერ ხედავთ?

ინტერვიუს თავისებურებიდან გამომდინარე, შეკითხვები კითხვითი ფორმების გარდა შეიძლება გამოხატული იყოს სხვადასხვა სინტაქსური საშუალებით, თხრობითი ან ბრძანებითი ფორმით. მაგალითად,

ა) - And everybody telling you how bad you're doing every day. - You end up having a very thick skin. I entered here with a thick skin, and now my skin is even thicker. Part of what you understand is that you are a person, but you're also a symbol. If things are going wrong, then people are looking to you to fix them. And sometimes, if you're just frustrated in your efforts, you're going to be the object of their frustration. You don't take it personally – you just recognize that it goes with the office and the desk and Marine One and all the other aspects of being president.

ბ) - He told me that the night before, you came down to the rehearsal and hung out quite a bit. - Yeah, I was down there for probably about 45 minutes. It was great fun, just watching them work through stuff. And he had unbelievable energy. I tell you, that guy, when he performed the next night, he was as energized as he's ever been.

(გ) - ისე, სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილიც „წუხდა“ - ძლიერი ოპოზიცია არ მყავსო.

- მახსოვს ეს ამბავი. ბიძინა ივანიშვილი რამდენად გულწრფელია ამ წუხილში, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ხედავს ძლიერი ოპოზიციის საჭიროებას...

რაც შეეხება წინადადების ბრძანებით ფორმას, განსხვავებით თხრობითი ფორმისგან და კითხვითი ფორმის მსგავსად იგი, როგორც ძირითადი მარკერი გამოხატავს თხოვნას, მაგრამ ეს თხოვნა შეიძლება მიმართული იყოს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური პასუხისკენ (მოქმედების შესრულებისკენ). მაგალითად:

(ა) We've talked in the past about how you've met Bob Dylan and Paul McCartney here in the White House. Now you've met Mick Jagger. Tell us a bit about that.

(ბ) დავუბრუნდეთ ტარიფების თემას...

შეკითხვით ჟურნალისტი მიმართავს რესპონდენტს გასცეს მას ვერბალური პასუხი - მოუთხროს მიკ ჯაგერთან შეხვედრის შესახებ. ბ)-ში კი, ჟურნალისტი წინადადების ბრძანებითი სტრუქტურით აფიქსირებს თემის შეცვლას.

მაგალითად, კონსტატივია:

(ა) Baghdad is a completely mixed city.

(ბ) არსებობს ტენდენციური შედეგების მიღების რამდენიმე საშუალება.

პერფორმატივის მაგალითად მოვიყვანოთ მოსამართლის სიტყვები (რაც ბუნებრივია, საანალიზო კორპუსიდან არ არის წარმოდგენილი):

- სასამართლო ამა და ამ პირს სცნობს დამნაშავედ!

რის შედეგადაც ბრალდებული იქცევა დამნაშავედ და მას სვამენ ციხეში.

ა. თხრობითი ძირითადი სტრუქტურული მარკერის დაზუსტება -

ა) I tell you, not a day passes where somewhere, somehow, I don't hear about something we've done that's really touched somebody directly.

ბ) გარწმუნებთ, რომ ბიძინა ივანიშვილს არავისი გადაბირება არ სჭირდება, პირიქით არის საქმე, ბევრს სურს ამ კოალიციაში გაწევრიანება.

ბ. კითხვითი ძირითადი სტრუქტურული მარკერის დაზუსტება -

გეკითხებით (ჩემი შეკითხვა ასეთია), რატომ არ წავიდა მმართველი გუნდი დათმობაზე, როდესაც ამის საჭიროება შეიქნა.

გ. ბრძანებითი ძირითადი სტრუქტურული მარკერის დაზუსტება -

ა) Let me ask you about the Middle East in general.

ბ) დააზუსტეთ - ოქრუაშვილი ჩვენებების მიცემას მაშინ დაიწყებს, როდესაც ამას თავად ჩათვლის საჭიროდ, თუ ახალი ხელისუფლება...

შორისდებული:

Oh, I remember on the Don Imus show one time I made a comment, because we were having election problems in Arkansas.

გამონათქვამი:

ა) "...The second thing, when I was a college freshman I had a professor that used to tell us, "don't use all your water on too small fire". His point was, to apply it today.

(ბ),,...სხვათა შორის, სააკაშვილმა განაცხადა - მოდი, ისე ვიცხოვროთ, რომ ჩვენს წარსულს ვიმსახურებდეთო. ღმერთმა დაგვიფაროს სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული წარსულის დამსახურებისაგან".

გამონათქვამის („დრონი მეფობენ და არა მეფენი“) მოდიფიცირებული ვარიანტი:

„...ასე რომ, დრონი იცვლებიან. დრონი მეფობენ და აგერ უკვე სააკაშვილი მერაბიშვილში ხედავს გადარჩენის უკანასკნელ შანსს“.

ანდაზები:

ა) No, it can't be repaired. It can be repaired to a point. But there is a British proverb which is insidious and awful where people say "There is no smoke without a fire", you know, "he appears to be innocent, but..."

ბ) - ამერიკაში ვიზიტზე საუბრისას, პრემიერმა აღნიშნა, რომ ყოფილი ხელისუფლება ახერხებს საზღვარგარეთ დეზინფორმაციის გავრცელებას. ამ დღეებში მთავრობამ ორი ლობისტური კომპანია დაიქირავა - ერთი ევროკავშირში მუშაობს, მეორე - ამერიკაში, ისე, ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის?

- სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. არაერთხელ მითქვამს - ახალი ხელისუფლების დრამატული შეცდომა იყო, რომ ლობისტურ მიმართულებას არ აქცევდა ყურადღებას. 2-3- თვის წინ რომ გაეკეთებინათ ეს, უკეთესი იქნებოდა..."

გ) „ - დებატებზე შეიარაღებული მიდიხართ?

- მე ყოველთვის შეიარაღებული ვარ და ჩემი იარაღი სიმართლეა. ხალხი არასოდეს მომიტყუებია, თუმცა ყოფილა შემთხვევა, როდესაც რაღაც არ მითქვამს, რადგან ყოველთვის მახსოვს გამოთქმა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების"

დ) ამ მრავალწლიანი უსამართლობის აღმასრულებლები იყვნენ პოლიტიზებული პროკურატურის, სასამართლოსა და ძალოვანი უწყებების სწორედ ის მაღალჩინოსნები, რომელთა მცირე ნაწილმა დღეისათვის უკვე გააცნობიერა, რას ნიშნავს ხალხური სიბრძნე რასაც დასთეს, იმას მოიმკი.

განსხვავებით ძირითადი პრაგმატიკული მარკერებისაგან, რომელთა სტრუქტურული, ლექსიკური და ჰიბრიდული ფორმები მეტყველი სუბიექტის ძირითად საკომუნიკაციო მიზანს გამოხატავს, კომენტარის პრაგმატიკული მარკერები ისეთი ლექსიკური გამონათქვამებია, რომლებსაც აქვთ როგორც რეპრეზენტაციული მნიშვნელობა, რომელიც მთლიან შეტყობინებას განსაზღვრავს, ისე პროცედურული, როგორც კომენტარი ძირითადი შეტყობინების რომელიმე ასპექტზე. მაგალითად:

ა) Frankly, sometimes that gets me in trouble.

ბ) გულწრფელად რომ გითხრათ, ვერ გეტყვით, აქვს თუ არა ოქრუაშვილს სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი, მაგრამ მან ქვეყნის წინაშე ჩაიდინა დიდი დანაშაული.

იმის მიხედვით, თუ ძირითადი შეტყობინების რომელ ასპექტზე კეთდება კომენტარი, კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კლასში შემდეგი ექვსი ქვეკლასი შეიძლება გამოიყოს:

1. შეფასების
2. საუბრის მანერის
3. სიცხადის
4. გაგონილის გადმოცემის
5. სათქმელის შერბილების
6. ემფატიკური .

ქვემოთ სათითაოდ განვიხილავთ თითოეულ მათგანს. თვალსაჩინოებისათვის კი წარმოვადგენ საანალიზო კორპუსში დაძებნილ ყველაზე საინტერესო მაგალითს. შეფასების მარკერები გამოხატავენ მეტყველი სუბიექტის შეფასებით კომენტარს სამყაროსეული კონტინუუმის იმ სეგმენტზე, რომელზეც პროპოზიციამია საუბარი. მაგალითად:

ა) Understandably, everybody has a great sense of urgency about these issues.

ბ) გაუგებარია, რატომ არ მოხდა საჭირო საინფორმაციო ველის შექმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში შეფასების მარკერები ძირითადად ზმნიზედებით ან მათი ვარიაციებითაა წარმოდგენილი. ასე, მაგალითად:

ა) ...suddenly to find yourself a figure of public hatred, unjustifiably, is terrifying.

ბ) ...hopefully she will say yes and we'd love to have her on the show if she wants to do that.

გ) ...I am hopeful we'll get some more financial support. The Iraqis' debt relief would be a major breakthrough.

დ) For the first year, unfortunately, the people who were trying to represent the opposition outside Syria just couldn't gain traction or credibility.

ე) ბუნებრივია, ყველა თავის სამრეკლოდან რეკავს.

ვ) სამწუხაროდ, სააკაშვილის გუნდმა არ გაითვალისწინა ეს, არ ისარგებლა უსაფრთხო გასასვლელებით.

შეფასების მარკერები საანალიზო კორპუსის ქართულენოვან სეგმენტში გაცილებით მრავალფეროვნებით გამოირჩევა: ინგლისურენოვანში 9 ტიპის შეფასების მარკერი დაფიქსირდა, ქართულენოვანში კი - 17. მრავალფეროვნების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მარკერების ნაწილი ჰომოფუნქციურია: მაგალითად, ქართული პრაგმატიკული მარკერები - რაც მთავარია და მნიშვნელოვანია გამოხატავს იმავე ილოკუციას, რასაც ინგლისური importantly;

ა) Importantly, it should be conducted in a civilized and civilian manner.

ბ) რაც მთავარია - უწმინდესმა შეძლო ამ 20-წლიან ურთულეს ვითარებაში, ეკლესიისთვის შენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი.

საუბრის მანერის გამომხატველი მარკერები წარმოადგენენ კომენტარს ძირითადი შეტყობინების გადმოცემის მანერაზე. მაგალითად,

ა) I personally think it's an unfortunate thing.

ბ) პირადად მე ვფიქრობ, საქართველოში იმ მომხსენებლებს ჩამოვიყვანდი და ადგილზე გავაცნობდი არსებულ ვითარებას, ვინც ევროსაბჭოს უკანასკნელი რეზოლუცია მოამზადა.

გ) Frankly, it's an easy issue to demagogue.

ინგლისურ ენაში ზმნიზედების გარდა, საუბრის მანერა შეიძლება გამოიხატოს ფრაზებით, რომლებიც ძირითადად, ამ ზმნიზედების ვარიაციებად შეიძლება მივიჩნიოთ. ასე, მაგალითად:

ა) And that was, to be very frank (=frankly), unexpected and I think put us into a different set of circumstances with Iraqi Government and Iraqi security forces had to very quickly respond to that their government would evenhanded.

ბ) My personal feelings are, I would have no problem with him being killed, to be honest with you (=honestly).

საუბრის მანერას ინგლისურ ენაში გამოხატავს, ბ. ფრეიზერის აზრით, იდიომური გამოთქმა you know. იგი დ. შიფრინის საწინააღმდეგოდ ფიქრობს, რომ აღნიშნული ერთეული მიეკუთვნება არა დისკურსის მარკერთა ჯგუფს (შიფრინი 1987), არამედ confidentially-ს ანალოგურად, იგი საუბრის მანერას გამოხატავს (ფრეიზერი 1996:183).

ა) But what I would say is that there's intolerance, and you know, I think in many different aspects of society that always have to be dealt with.

ბ) ... Nobody knows where these rumours came from. You know, they've called for, that there was a cover up. But you can't have a cover up where there was no crime.

კომენტარის პრაგმატიკული მარკერების კიდევ ერთი ქვეჯგუფია სიცხადის გამომხატველი ზმნიზედები. ისინი მეტ-ნაკლებად ასახავენ სიცხადის ხარისხს, დადებითს ან უარყოფითს, რომელსაც მეტყველი სუბიექტი გამოხატავს ძირითად შეტყობინებაში გადმოცემულ ფაქტთან დაკავშირებით. მაგალითად:

ა) Obviously, some of these things happen, and you can't carpet the world, as much as you try to, and you want everything to be perfectly done and you want candidates to have comments coming out of their mouths that don't embarrass the party...

ბ) What I liked was just real complicated characters. Obviously, there's a lot of overdramatization of what our days are like around here day to day, and how our national security apparatus works.

გ) - ...On top of that you only have to look at the jihadist and the semi jihadist web sites to see that they regard... Islam will conquer Europe. It won't do it through guns, it will just do it through having lots of children.

- Surely you don't believe that, that's nonsense, isn't it?

- Nope. There's an utter gulf of comprehension between us isn't there.

დ) აშკარაა, რომ მომხდარში ორივე მხარეს ჰქონდა ჩადებული ძალის დემონსტრირების კომპონენტი.

ე) რასაკვირველია, ისინი ამავე ტერმინების გამოყენებით გაგზავნიან ანგარიშს თავიანთ საგარეო საქმეთა სამინისტროებში.

ა) I'm very proud of the fact that we stood with the people of Egypt and said that it would be unacceptable, from our perspective, to see all those tens of thousands of people in Tahrir Square subjected to violence, and that it was time to transition to democracy. I believe we did the right thing with respect to Libya, in a very surgical way, avoiding a potential massacre.

ბ) ამნისტია ორ ნაწილად რომ ყოფილიყო გაყოფილი, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი ხელს მხოლოდ პოლიტპატიმრების ნაწილს არ მოაწერდა.

გ) I think the American approach has to be to uphold core principles of universal rights, freedom and democracy. We're also going to have to show some humility, in the sense that we're not going to be able to completely impose our own vision on these countries.

დ) ვფიქრობ, რომ ევროპასთან ურთერთობაში გამაღიზიანებელ ტონს უნდა მოვერიდოთ.

ე) Part of the challenge over these past three years has been that people's number-one priority is finding a job and paying the mortgage and dealing with high gas prices. In that environment, it's been easy for the other side to pour millions of dollars into a campaign to debunk climate-change science. I suspect that over the next six months, this is going to be a debate that will become part of the campaign, and I will be very clear in voicing my belief that we're going to have to take further steps to deal with climate change in a serious way.

ა) - Let's talk about the campaign. Given all we've heard about and learned during the GOP primaries, what's your take on the state of the Republican Party, and what do you think they stand for?

- First of all, I think it's important to distinguish between Republican politicians and people around the country who consider themselves Republicans. I don't think there's been a huge change in the country. If you talk to a lot of Republicans, they'd like to see us balance the budget, but in a balanced way"

ბ) ...So, yeah, we may not win. I don't believe we have a god given right to win or come to power in this country: It's not even likely...

გ) არა მგონია, ამ განცხადებას იურიდიული ძალა ჰქონდეს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინგლისურ კორპუსში დაძებნილი 259 სიცხადის მარკერიდან 168 არის I think და მისი უარყოფითი ფორმა I don't think, რაც 358 კომენტარის პრაგმატიკულ მარკერს შორის ყველაზე დიდი მაჩვენებელია. ამ მარკერის გამოყენების მასშტაბი იმდენად დიდია, რომ დისკურსის ერთ მცირე სეგმენტშიც კი შეიძლება რამდენიმე აღმოჩნდეს. მაგალითად:

- I'm going to start by asking you the question that I could not get Congressman Ford to answer earlier, which is, given what you know about Barack Obama, do you think he's a progressive who is now posing as a centrist, or do you think he's a centrist who posed as a progressive in the primaries?

- I'm not sure I want to answer the question in exactly those terms. I don't know enough about him to be able to start slapping labels on him. I think he's somewhat a newcomer to the world of politics. I suspect there are areas in which his views are not fully formed. I happen to think that's a very good thing. I think the last thing you want in a president is someone who knows all the answers the day they come in the door.

I think what Harold said is right: I think he springs from roots of great patriotism and love of country.

Most of the great presidents have grown in many ways from what they brought to the door of the office. I think that office is almost unique in its demand for people to set things behind them and to continue to grow. And I think he's someone, from what I can tell, who has the personality and has the intellect to do that.

So I don't know enough to label him. And I would hate to do so because I think what the presidency needs is an agile, intelligent mind, looking at some of these problems from a basis of deep patriotism not of some particular solidly constructed view of the world.

ქვემოთ წარმოდგენილ სეგმენტში რამდენიმე ტიპის სიცხადის მარკერს ვხვდებით. ეს მიანიშნებს რესპონდენტის მცდელობაზე, რაც შეიძლება დამაჯერებლად მიუთითოს პროპოზიციაში წარმოდგენილი ფაქტების სიცხადეზე:

- President Clinton said that one of his greatest regrets was not doing more to stop genocide in Rwanda. We have a situation in Syria where more than 60,000 Syrians have been killed. [U.N. envoy Lakhdar] Brahimi has been making no headway diplomatically. The conflict is beginning to spread regionally with Iran's intervention with its Quds Forces, its arms supplies, Hezbollah's participation and now the Israeli strike on the convoy in Syria. Looking back, can you say that the United States has done everything it could have to stem the killing in Syria? And when you

look back on this episode in the book you are going to write, do you think that you might regret that the United States wasn't able to do more in your years here?

- I think those are two separate questions, Michael. I think, that certainly there will always be regrets when you are in positions like this one when it comes to the horrific slaughter of people trying to express themselves and defend themselves by a government that seems to have lost all sense of responsibility toward their own population. That is definitely a terrible set of facts on the ground that we try to deal with every single day.

ასევეა ქართულ პოლიტიკურ მედიადისკურსშიც - ერთ მცირე სეგმენტშიც კი ხშირად რამდენიმე სიციხადის მარკერი ჩნდება:

ა) ჩემი აზრით, ამ თემას გარკვეულწილად ხელი აშკარად დავაკელით, ყურადღება არ მივაქციეთ. იმდენი რამ ითქვა ჩახალიანის შესახებ, რომ ვითარებაში სრულად გარკვევა ჭირს. ფაქტია, რომ ეს გათავისუფლება ძალიან ცუდი საინფორმაციო კამპანიის ფონზე მოხდა.

დისკურსის პრაგმატიკული მარკერები

That's real terror. I mean, people have to understand that there are many forms of terror in the United States.

საზოგადოებრივი აქტიურობით ზოგიერთს სურს, თავისი პერსონა წარმოაჩინოს. გარდა ამისა, თვითმმართველობებთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების გამართლება არც იმით შეიძლება - როგორ შეიძლება იქ „ნაციონალები“ იყვნენო.

And to say that someone who's on the battlefield, who is a high-ranking member of an enemy force, is somehow entitled to due process - listen, if we can capture that person, if we could somehow bring him to justice, otherwise, fine.

წესით, 8 თებერვალს პრეზიდენტი ანგარიშით პარლამენტში უნდა წარმდგარიყო, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობამ მისი გამოსვლა გადადო.

აზრის განვითარების მარკერები

You contest these things, I mean, it's time and money that John McCain is going to have to spend in these other areas so as not to lose it.

The issues that cross my desk are hard and complicated, and oftentimes involve the clash not of right and wrong, but of two rights. And you're having to balance and reconcile against competing values that are equally legitimate.

The key thing was, I remember it was a pledge states were confronted with and as a governor it was going to be very difficult for me to sign a pledge as absolute as it was because as a governor I had to balance a budget; I couldn't print money, I couldn't borrow money, I could go to jail for not

balancing a budget. Also you're under very different constraints; you have to spend certain things in a state government because you have court orders to educate people, as we did in Arkansas, you have judicial mandates to incarcerate and deal with people in your prison system.

This is, to me, one of the dichotomies of where the American people get it and some of the punditry does not. Pundits tend to think it's what you know, in other words it's your "database" that's incredibly important, and as president they want to peer into your database and see what they can find.

Afghanistan, if I can find a way of reducing the costs to the American taxpayer, and more profoundly, to our young men and women in uniform, while making sure that we are not rendered much more vulnerable to a terrorist attack in the future, that's going to be the option that I choose.

... That is discrimination. If that was being carried out, say in a remnant whit South Africa or in Alabama, you'd be outraged by it and so would every good liberal in Britain but because it's my people, specifically because it's the white working class everyone thinks its great. And it's a huge injustice and it's a core part of our job to put that right.

თუ პარლამენტის არჩეული იქნება პრეზიდენტი, მუდმივი კრიტიკის ატმოსფეროში მოუწევს მუშაობა. კერძოდ, ოპოზიცია მუდმივად იტყვის - საყოველთაო არჩევნები რომ გამართულიყო, პრეზიდენტი პარლამენტის მიერ დანიშნული კი არა, ჩვენი კანდიდატი იქნებოდაო.

რადგან ვლასპარაკობთ საკადრო საკითხებზე, ალბათ ყურადღება ე.წ. რუხ კარდინალიზმზეც უნდა გავამახვილოთ. მაგალითად, ზოგიერთი ექსპერტი აქტიურად მონაწილეობდა, მეტიც, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა მინისტრების დანიშვნაში...
დასკვნითი მარკერები

What I specifically said was that we were not going to prioritize prosecutions of persons who are using medical marijuana. I never made a commitment that somehow we were going to give carte blanche to large-scale producers and operators of marijuana – and the reason is, because it's against federal law. I can't nullify congressional law. I can't ask the Justice Department to say, "Ignore completely a federal law that's on the books." What I can say is, "Use your prosecutorial discretion and properly prioritize your resources to go after things that are really doing folks damage." As a consequence, there haven't been prosecutions of users of marijuana for medical purposes.

კარგია, რომ ხელისუფლებას ამგვარი გეგმები აქვს. პირადად მე მექნებოდა სურვილი, რომ ნებისმიერ ასეთ გეგმებზე ტრადიციად იქცეს უკვე გადადგმულ ნაბიჯებზე და განხორციელებულ შედეგებზე საუბარი. გულახდილად და გულწრფელად ვუთხრათ ერთმანეთს თუ რაიმე ეჭვები გვაქვს და რამეს გაკეთებას უკეთესად ვისურვებდით.

საბოლოო ჯამში, ასეთი კომუნიკაცია საქმის წარმატებულად კეთების და დასახული გეგმების წარმატებით შესრულებას შეუწყობდა ხელს. ხელისუფლება დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ რამდენადაც ის იქნება გულახდილი თავის ამომრჩეველთან და თავის საზოგადოებასთან, მათ შორის შეცდომების აღიარებაში, მას საზოგადოებისაგან მეტი მხარდაჭერა ექნება.

დასკვნა

ბრიტანულ და ქართულ გაზეთებს დისკურსისადმი პრაქტიკულად ერთნაირი მიდგომები გააჩნიათ: ტრადიციულად სერიოზული გაზეთები იყენებენ ნარატიულ ფორმებს, რომლებიც აღბეჭდილია ავტორიტეტული, ოფიციალური და სერიოზული „იერიტ“, ხოლო პოპულარული გაზეთების ანუ ტაბლოიდების დისკურსებში ფიქსირდება ფამილარული და არაოფიციალური ტონი.

თუმცა განსხვავება მაინც ადვილად შესამჩნევია: თუ ბრიტანულ ბაზარზე სერიოზულსა და „ყვითელ“ პრესას შორის მკაცრი ზღვარია გავლებული, ქართულ გაზეთებში ამ მიჯნის დადება ჯერ კიდევ რთულია. ბრიტანული ტაბლოიდები ერიდებიან ბილწისტყვაობასა და უხამს გამონათქვამებს, რასაც უხვად შეხვდებით ქართულ პოპულარულ გაზეთებში.

ინგლისურ და ქართულ მედიადისკურსში პრაგმატიკული მარკერების ფუნქციონირება ალომორფული ხასიათისაა. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ: პრაგმატიკული მარკერების ინგლისურ ველში დისკურსის მარკერები I პერიფერიას იკავებს, ხოლო კომენტარის მარკერები - II პერიფერიაში თავსდება. ქართულ ველში კი, კომენტარის მარკერები I პერიფერიას იკავებს, დისკურსის მარკერები - II პერიფერიაში ინაცვლებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართულ პოლიტიკურ მედიადისკურსში კეთდება გაცილებით მეტი კომენტარი, ვიდრე ინგლისურში, სადაც ნაკლები კომენტარების ილოკუციის გამომხატველი საშუალებებია დაფიქსირებული. ამ სეგმენტში კი თითქმის ორჯერ მეტი ყურადღება ეთმობა დისკურსის მენეჯმენტს. ყველაზე დიდი მაჩვენებელი ორ ენაში პრაგმატიკული მარკერების სხვადასხვა ქვეკლასმა აჩვენა:

ინგლისურ ენაში ყველაზე დიდი დატვირთვა მოდის აზრის განვითარების მარკერებზე (დისკურსის მარკერთა კლასიდან). ქართულ ენაში კი პირველი ადგილი სიცხადის მარკერებს უჭირავს (კომენტარის მარკერთა კლასიდან).

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში შეფასების მარკერები ორჯერ ნაკლებია ვიდრე ქართულენოვან სეგმენტში.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში საუბრის მანერის გამომხატველი მარკერები მეტია ვიდრე ქართულენოვან სეგმენტში.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში სიცხადის მარკერები თითქმის უტოლდება ქართულენოვან სეგმენტში გამოყენებულ სიცხადის მარკერებს.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში გაგონილის გადმოცემის მარკერები ერთჯერ მეტია ვიდრე ქართულენოვანი სეგმენტისა.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში სათქმელის შერბილების მარკერები არ არსებობს, ხოლო ქართულენოვან სეგმენტში ფიქსირდება უმნიშვნელო რაოდენობა.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში ემფატიკური მარკერები ზუსტად ტოლია ქართულენოვან სეგმენტში გამოყენებული მარკერებისა.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში ვოკატივები მკვეთრად ნაკლებია ვიდრე ქართულენოვანი სეგმენტისა.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში ფოკუსირების მარკერები სამჯერ მეტია ვიდრე ქართულენოვან სეგმენტში გამოყენებული აღნიშნული მარკერები.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში კონტრასტული მარკერები უმნიშვნელო რაოდენობით ნაკლებია ვიდრე ქართულენოვან სეგმენტში.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში აზრის განვითარების მარკერები თითქმის უტოლდება ქართულენოვან სეგმენტს.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში კონტრასტული მარკერები ერთჯერ ნაკლებია ვიდრე ქართულენოვანი საგმენტისა.

საანალიზო კორპუსის ინგლისურენოვან სეგმენტში თემის შეცვლის მარკერები თითქმის 9-10 ჯერ ნაკლებია, ვიდრე ქართულენოვანი სეგმენტისა.

ბრიტანული და ქართული პრესის კონტრასტული ანალიზისას გამოვლინდა მისი ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები. პირველი, თავის მხრივ, იყოფა უნივერსალურ და მადიფერენცირებელ ნიშნებად, რომლებსაც უფრო მეტად აკონკრეტებს ანთროპოცენტრისტული და ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორები, ხოლო მეორეს განეკუთვნება თემატური და სტილისტური განსაზღვრულობა და კომპოზიციურობა.

გამოყენებული ლიტერატურა

ალავიძე მ. (2011), ინტერვიუს ქვეტექსტის ლინგვისტური ანალიზი (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე), ქუთაისი, აწსუ-ს გამომცემლობა,

გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. (2003). თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

თევდორაძე ნ. (2010). ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კირვალიძე ნ. (2008). გრამატიკის თანამედროვე თეორიები. თბილისი. ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლებანიძე გ. (2004), კომუნიკაციურ ლინგვისტიკა. თბილისი. გამომც. ენა და კულტურა.

მეგრელიშვილი, მ. (1986). ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.

მეგრელიშვილი მ., გვილავა რ., ალავიძე მ., ნიჭარაძე ნ., ზვიადაძე ნ. (2012). ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ლინგვისტიკა (ზმნის კატეგორიათა მასალაზე). ქუთაისი. აწსუ გამომცემლობა.

მერაბიშვილი თ. (2011). სამეტყველო აქტების თეორია უახლეს ლიტერატურაში, კულტურათაშორისი კომუნიკაციები #15. www.nplg.gov.ge, მოძიებული - აპრილი, 2012.

ნებიერიძე გ. (1991). ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: გამომც. „განათლება“.

ნიჭარაძე ნ. (2010). საკომუნიკაციო კომპეტენცია და სინტაქსური სინონიმია, როგორც ფსიქოლინგვისტური პრობლემა. დისერტაცია. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფურცელაძე ვ. (1998). ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება. ნაწილი პირველი. თბილისი, გამომც. „სამშობლო“.

ჭრელაშვილი კ. (2001). ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხახუტაიშვილი ნ. (2012): პურსუაზიული კომუნიკაციის გადმოცემის ენობრივი საშუალებები წინასაარჩევნო პოლიტიკურ დისკურსში, www.education.ge, მოძიებული - თებერვალი, 2013.

- Арутюнова Н. Д. (1990): Дискурс. Москва, Лингвистический энциклопедический словарь.
- Балли Ш. (1955). Общая лингвистика и вопросы французского языка. Москва, Изд. ин. лит.
- Бахтин М.М. (1996). Проблема речевых жанров, Бахтин М.М. Собрание сочинений в семи томах., Москва, Русские словари., Т. 5
- Бенвенист Э. (1974). Общая лингвистика, Москва, Прогресс.
- Богданов Н.Г., Вяземский Б.А. (1971). Справочник журналиста. Ленинград, Лениздат.
- Гальперин И.Р. (1981). *Текст как объект лингвистического исследования*. М.: Наука
- Грабельников А. А. (2001). Работа журналиста в прессе: Уч. пособие. – М.: Изд. РИП-холдинг
- Голанова Е. И. (2000). Публичный диалог вчера и сегодня (коммуникативно-речевая эволюция жанра интервью). Москва, Русский язык сегодня. Вып.1.
- Добросклонская Т. Г. (2008), Медиалингвистика: системный подход к изучению языка СМИ, изд. Наука Флинта, Москва
- Вакуров В.Н., Кохтев Н.Н., Солганик Г.Я. (1978). Москва. Стилистика газетных жанров.
- Валгина Н. С. (2003). Теория Текста. Москва, Изд. „Менеджер“.
- Деик ван Т.А. (1989). Язык, познание, коммуникация. Москва. Прогресс.
- Вежбицкая А. (1997). Речевые жанры. Жанры речи. Саратов, СГУ.
- Ворошилов В. В. (1999). Журналистика. – Учебник. – СПб.: Изд-во Михайлова В. А.
- Ярцева В.Н. (1981). Контрастивная грамматика. Москва, Наука
- Иванова С. В. (2008): Политический медиа-дискурс в фокусе лингвокультурологии. Екатеринбург, Политическая лингвистика, Вып. 1(24).
- Карасик В.И. (2000). О типах дискурса. Языковая личность: Языковая личность: институциональный и персональный дискурс: Сб. науч. тр. Волгоград: Перемена, С. 5-20.
- Кашкин В.Б. (2007). Сопоставительная Лингвистика. Воронеж. Федеральное агентство по образованию
- Комлева, Е. В. Соотношение понятий «речевой жанр» и «речевой акт» (на материале немецких апеллятивных текстов). Теория и практика общественного развития

[Электронный ресурс] / Е.В.Комлева. // Научный журнал. www.teoria-praktica.ru N 5.- 2011.
– С. 296–301.

Лотман Ю. М. (1992). Культура и взрыв. Москва.

Лукина М. (2003). Технология интервью. Учебное пособие для вузов. Москва. Аспект пресс.

Минский М. (1979). Фреймы для представления знаний. Ред. Кулаков Ф. М., Москва, Энергия.

Никитина К. В. (2006). Политический дискурс СМИ и его особенности, создающие предпосылки для манипуляции общественным сознанием. Управление общественными и экономическими системами: многопредмет. науч. журн №2. / – Орел: Орел ГТУ.

Седов К.Ф. (2007). Антология речевых Жанров. Москва.

Серль Дж. (1986). Классификация иллокутивных актов. Новое в зарубежной лингвистике. Москва. Вып. XVII.. С 170-194.

Стрельцов Б.В. Основы публицистики Жанры. Минск, 1990. С. 51.

Тертычный А.А. (2000). Жанры периодической печати, Учебное пособие, Москва. Аспект Пресс.

Шаймиева Л. В. (2011). Виды диалогизации и диалогичности в текстах радиointerview (на примере передач радио «Эхо Москвы»), Материалы Международного молодежного научного форума «ЛОМОНОСОВ-2011» / Отв. ред. А.И. Андреев, А.В. Андриянов, Е.А. Антипов, М.В. Чистякова. [Электронный ресурс] — Москва. МАКС Пресс, 2011. <http://lomonosov-msu.ru>, მოძიებული 23.01.2013.

Шейгал Е.И. (2004). Семиотика политического дискурса, Москва. Гнозис

Шибалева Л.В. (2001). Жанры в теории и практике журналистики. Ростов: Изд-во Ростовского гос. ун-та.

Шмелева Т.В. (1997). Модель речевого жанра. Антология речевых жанров. Москва.

Шостак А.В. (1998). Журналист и его произведение. Москва.

Щерба Л.В. (1947). О частях речи в русском языке. В кн. : Щерба Л.В. Языковая система и речевая деятельность/ под. ред. Л.Р Зиндера и М.И. Матусевич. Ленинград. Наука.

Aijmer K. (2002). English discourse particles. Evidence from a corpus. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins.

- Aijmer K., Simon-Vandenberg A.M. (2003). Well in English, Swedish and Dutch. *Linguistics* 41(6).
- Aijmer K., Simon-Vandenberg A.M. (eds). (2006). *Pragmatic markers in contrast*. Amsterdam: Elsevier.
- Aijmer k., Simon-Vandenberg A.M. (2009). *Pragmatic Markers*, in *Handbook of Pragmatics*, ed. Östman J., Verschueren J., Amsterdam/Philadelphia. John Benjamins Publishing Company.
- Andersen G., Fretheim T. (eds). (2000). *Pragmatic markers and propositional attitude. Pragmatics & Beyond. New Series 79*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins.
- Ariel M. (1994), *Pragmatic Operators*, *The Encyclopedia of Language and Linguistics*. Oxford, Pergamon Press.
- Arndt W. (1960). *Modal particles in Russian and German*. *Word* 16(3).
- Austin J. L. (1962). *How to Do Things With Words*. London, Oxford University Press.
- Bazzanella C. (1990). *Phatic connectives as interactional cues in contemporary spoken Italian*. *Journal of Pragmatics* 14.
- Blakemore D. (1987). *Semantic Constraints on Relevance*, Oxford, Blackwell.
- Blakemore D. (1992). *Understanding utterances*. Oxford: Blackwell.
- Blakemore D. (1996). *Are apposition markers discourse markers?* *Journal of Linguistics* 32.
- Blum-Kulka Sh., Olshtain E. (1984), *Requests and Apologies: A Cross-Cultural Studies of Speech Act Realization Patterns (CCSARP)*, *Applies Linguistics*, Vol. 5, #3
- Brinton L. (1996). *Pragmatic markers in English. Grammaticalization and discourse functions*. Berlin/New York: Mouton de Gruyter.
- Connor U. (1996). *Contrastive Rhetoric: Cross-Cultural Aspects of Second Language Writing*. Cambridge. Cambridge University press.
- Corum C. (1975). *A pragmatic analysis of parenthetical adjuncts*. In *Papers from the Eleventh Regional Meeting of the Chicago Linguistic Society*. Grossman et al (eds). Chicago: Chicago Linguistic Society
- Crystal D. (1987). *The Cambridge Encyclopedia of Language*. Cambridge. Cambridge University Press.
- Couture B. (1986). *Functional Approaches to Writing: Research Perspectives*. - Norwood N. J. Ablex.
- Denniston, J. D. (1934). *The Greek particles*. Oxford: Clarendon.

Di Pietro R. J., (1971). *Language Structures in Contrast*. Rouley, Mass.: Newbury House Publishers.

Dijk T. A. van (1991). *The Interdisciplinary Study of News as Discourse*, *Handbook of Qualitative Methods in Mass Communication Research* Ed. by K. Bruhn - Jensen, N. Jankovski, London.

Eggins S. (2004). *An Introduction to Semantic Functional Linguistics*, 2nd Edition, Continuum, New-York, London.

Erman B. (1987). *Pragmatic expressions in English: A study of 'you know', 'you see' and 'I mean' in face-to-face conversation*. Stockholm: Almqvist & Wiksell.

Fischer K. (1998). *Validating semantic analyses of discourse particles*. *Journal of Pragmatics* 29: 111-127.

Fleischman S., Yaguello M. (2004). *Discourse markers across languages? Evidence from English and French*. In: Moder, Carol Lynn and Aida Martinovic-Zic (eds.). *Discourse across languages and cultures*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins

Franch B.P. (1998). *On Pragmatic Transfer*, *Studies in English Language and Linguistics*, 0: 5-20. <http://www.uv.es/~boup/PDF/sell-98.pdf> , მოძიებული 4.04.2012.

Fraser B. (1987). *Pragmatic Formatives. The pragmatic perspective*, ed. by Jef Verschueren & Marcella Bertucelli-Papi. John Benjamins.

Fraser B. (1988). *Types of English discourse markers*. *Acta Linguistica Hungarica* 38, 19-33.

Fraser B. (1990). *An approach to discourse markers*. *Journal of Pragmatics* 14: 383-95.

Fraser B., (1996). *Pragmatic Markers*, *Pragmatics* 6(2), ed. Briggs Ch. et al, June 1996.

Fraser B. (1999). *What are discourse markers?* *Journal of pragmatics* 31: 931-952.

Fraser B. (2005). *Towards a theory of discourse markers*. In *Approaches to Discourse Particles* edited by K. Fischer. Elsevier Press.

Fraser B., Malmaud-Makowski M. (1996). *English and Spanish contrastive markers*. *Language Sciences* 18: 863-881.

Friske J. (1987). *Television Culture*. London, Menthuen.

Grice H.P. (1975). *Logic and Conversation*. In *Syntax and Semantics, Vol. 3, Speech Acts*, New York: Academic Pres ed. by P. Cole & J. L. Morgan (141-58).

Hymes D. (1974). *Foundations in Sociolinguistics - an Ethnographic Approach*. Philadelphia, University of Pensilvania Press.

- Halliday M. A. K. (1978). *Language as social semiotic: The social interpretation of language and meaning*. London. Edward Arnold.
- Halliday M. A. K., Hasan R. (1976). *Cohesion in English*. London: Longman.
- Halliday M. A. K., Hasan R. (1985). *Language, Context and Text. Aspects of Language in a Social-Semiotic Perspective*. Geelong, Vic. Deakin University Press.
- Hansen Maj-Britt M. (1998). *The function of discourse particles. A study with special reference to spoken standard French*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company.
- Hutchinson B. (2003). *Automatic Classification of Discourse Markers on the Basis of their Co-occurrences*, Proceedings of the ESSLLI Workshop
- Hinnenkamp V. (1995). *Intercultural Communication*. in: Verschueren et al. *Handbook of pragmatics*, Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publ.Co.,
<http://www.ciesas.edu.mx/biblioteca/BIBLIOGRAFIAS/MAS-E.SALGADO/V.HINNENKAMP.PDF>, მოძიებული 4.04.2012.
- Hölker K. (1988). *Zur Analyse von Markern, Korrektur-und Schlussmarker des Französischen*. (Zeitschrift für französische Sprache und Literatur –Beiheft 15). Stuttgart: Steiner.
- Jucker A. (1993). *The discourse marker well. A relevance-theoretical account*. *Journal of Pragmatics* 19(5): 435-53.
- Jucker A. (1986). *News Interviews. A Pragmalinguistic Analysis*. (Pragmatics & Beyond VII:4). Amsterdam: John Benjamins.
- Jucker A. and Ziv Y. (eds). 1998.*Discourse markers. Description and theory*. Amsterdam: John Benjamins.
- Jucker A., Smith S. W. (1998). *And people just you know like ‘wow’: Discourse markers as negotiating strategies*. In Jucker and Ziv(eds.),pp. 171-201.
- Johnson K., Johnson H. (1999). *Encyclopedic Dictionary of Applied Linguistics*, Blackwell Publishers.
- Knott A., Dale, R. (1994). *Using Linguistic Phenomena to Motivate Coherence Relations*. *Discourse Processes* 18(1), 35-62.
- Kroon C. (1995). *Discourse particles in Latin: a study of nam, enim, autem, vero, and at*. Amsterdam: Gieben.
- Labov W., Fanshel D. (1977). *Therapeutic Discourse*. New York.: Academic Press.

- Lado R. (1957). *Linguistics Across Cultures. Applied linguistics for language teachers.* University of Michigan Press: Ann Arbor.
- Lyons J. (1977). *Semantics. Vol.s 1&2.* Cambridge, Cambridge University Press.
- Levinson S. C. (1983). *Pragmatics.* Cambridge, Cambridge University Press.
- Lenk, Uta.1998. *Marking discourse coherence. Functions of discourse markers in spoken English.* Tübingen: Gunter Narr Verlag.
- Mann, W. and S. Thompson, (1987). *Rhetorical structure theory: A theory of text organization.* Technical Report RR/87/190, Information Sciences Institute, Marina del Rey, CA.
- Mann, W. and S. Thompson, (1988). *Rhetorical structure theory: Toward a functional theory of text organization.* Text 8: 243-281.
- Martin J.R., Rothery J. (1986). *Working Papers in Linguistics 4: Writing Project Report.* - Sydney: University of Sydney.
- Östman J-O. (1981). *You know A discourse-functional approach.* Amsterdam: John Benjamins.
- Östman J-O. (1995). *Pragmatic particles twenty years after.* In Wårvik, Brita, Tanskanen, Sanna-Kaisa & Risto Hiltunen, *Organization in discourse. Proceedings from the Turku Conference.* Turku: University of Turku, pp. 95-108 .
- Östman J-O. (2006). *Constructions in cross-language research: Verbs as pragmatic particles in Solv.* In *Pragmatic markers in contrast, 2*, edited by K. Aijmer, A-M. Simon-Vandenberg . Amsterdam: Elsevier. pp. 237-257.
- Oh S-Y. (2000). *Actually and in fact in American English: a data-based analysis.* *English Language and Linguistics* 4 (2): 243-268.
- Pragmatic Connectives, Journal of Pragmatics, 3(1979), 447-456.*
- Redeker, G. (1991). *Review article: Linguistic markers of discourse structure.* *Linguistics, 29(6): 1139-72.*
- Rühlemann, Christoph. 2007. *Conversation in context. A corpus-driven approach.* London: Continuum.
- Sadock J. M. (1974). *Toward a Linguistic Theory of Speech Acts.* New York. Academic Press.
- Sanders T., Spooren W., Noordman L., (1993). *Coherence relations in a cognitive theory of discourse representation.* *Cognitive Linguistics* 4: 93-133.
- Searle J. R. (1969). *Speech Acts.* Cambridge, Cambridge University Press.

- Searle J.R., Vanderveken D. (1985). Foundations of Illocutionary Logic. Cambridge, Cambridge University Press.
- Smith, Sara W. and Andreas H. Jucker. 2000. Actually and other markers of an apparent discrepancy between propositional attitudes of conversational partners. In Andersen and Fretheim (eds.), pp. 207-237.
- Swales J. M. (1990). Genre Analysis. Cambridge, Cambridge University Press.
- Schiffrin D. (1987). Discourse markers. Cambridge: Cambridge University Press.
- Schourup L. C. (1985). Common discourse particles in English conversation. New York: Garland.
- Thorne S. (1997). Mastering Advanced English Language. Palgrave Master Series. Palgrave Mcmillan.
- Traugott E. C., Dasher R. B. (2002). Regularity in semantic change. Cambridge: Cambridge University Press.
- Urmson J.D. (1952). Parenthetical Verbs. Mind 61, 480-496.
- White P. (2003). Beyond modality and hedging: a dialogic view of the language of intersubjective stance. Text 23 (2): 259-284.
- Wilson, D., Sperber D. (1993). Linguistic form and relevance. Lingua 90:1-25.
- Yule G. (1996). Pragmatics. Oxford. Oxford University Press.
- Zwicky A. (1985). Clitics and Particles. Language 61:283-305.

დანართი

პრესაში მოძიებული და გამოყენებული ფრაზები და მაგალითები

“At least 27 people, including a senior British diplomat, were killed yesterday and hundreds injured when two suspected al-Qa’eda suicide bombers attacked the British consulate and the headquarters of HSBC bank in Istanbul.” (The Daily Telegraph, November 21,2011).

“One would have thought a former career in public relations and a familiarity with the machinations of the Press might have helped her to easily avoid a blooper. But Sarah Brown, despite her reputation as an experienced and professional PR woman, broke her own publisher's embargo yesterday by announcing she had agreed a deal to write her memoirs.” (The Independent, June 4, 2010).

“The US decision comes from the same mindset that kept the US away from everyone else’s line of thought on global warming. It was reasonable to imagine, after September 11, that missile defense might vanish from the agenda. If the sole superpower could be terrorized by a handful of men with retractable knives and by what might be a solitary mad scientist arms with a job-lot of anthrax germs, what use could missile defense be? That remains a reasonable line of thought. It just happens not to be shared by the US president.” (The Guardian Weekly, December 20-26, 2012).

“In fact, this rate was far higher in the Afghanistan conflict - perhaps four times higher - than in the 1999 Balkans was.”(The Guardian Weekly, February 14-20, 2012).

“Mr. Da Silva’s victory would be in the most potent of recent political shifts in Latin America against globalisation. He is likely to become Brazil’s first leftwing president since Goulart was ousted in 1964.” (The Guardian Weekly, October 10-16, 2012).

“U.S. Army troops seized the southern edge of this key Euphrates River City today as Iraqi militia fighters appeared to retreat in the face of overwhelming fire power.” (The Washington post, April 2, 2013)

“Hundreds of curious civilians, many of them smiling, waving, lined the narrow, dusty streets while soldiers from the 101st Airborne Division pressed to within half a mile of the gilded dome of the tomb of Ali, a site venerated by Shiite Muslims as the burial site of the prophet Muhammad’s son-in-law.” (The Washington post, April 2, 2013).

“Sarah Thompson had finally been able to get some rest after hours of tossing and turning. Then, she recalls, she rolled over and saw her husband tucked under the white covers beside her, and she began to cry. He was not really there or anywhere in their two-story white town house just outside Camp Lejeune. He was 6,500 miles away in the desert of Iraq” (The New York Times, April 15,2013).

"The Government gave Cambridge University permission yesterday to build a monkey laboratory where scientists will study brain disorders such as autism and Alzheimer's disease." (The Daily Telegraph, November 22,2013).

"A patient whose life has changed beyond recognition thanks for research on animals yesterday welcomed the decision to approve the laboratory." (The Daily Telegraph, November 22, 2013).

"To neighbours in the ancient Kashbah, Jamal Zougam was an affluent expatriate. They noticed him when he was home from Spain, at the apartment his family kept for holidays. They admired his jeans and fashionable haircuts. They knew him socially: he played football with the youngsters on their concrete-surfaced street, Rue Ben Ali Ym." (The Guardian Weekly, March 25-31, 2011)

"In the world of biotechnology, where sterling scientific credentials are critical to winning investor confidence, Samuel Waksal bona fides seemed impeccable: a string of research positions at such prestigious institutions as Stanford and Tufts universities and the National Cancer IMClone Systems Inc., the biotechnology company he founded in 1985, and to the dozen other scientific ventures he says he has helped start since." (The Wall Street Journal, Sep. 27, 2012).

"Every 100 years, someone like him is born," said Robert Schwartz, a hermatologist who supervised Dr. Waksal at Tufts University school of Medicine in the late 1970s and now is a deputy editor of the New England Journal of Medicine. 'He's a very persuasive person who can convince you of anything,' Dr. Schwartz adds. 'Within five minutes, you're begging him to work for you.' " (The Wall Street Journal, Sep. 27, 2012).

"Harry Potter has one shaped like a lightning bolt, glamour model Jordan will have several that she keeps hidden from the cameras, and the actor Al Pacino's was so prominent that the ruthless gangster Tony Montana, whom he played in the 1983 film, will be forever known by another name" (The Guardian Weekly, March 25-31, 2011).

The world's first clinical trial of a drug that aims to stop scars forming after surgery is set to begin in Manchester, England. This month some 300 people having minor operations to 67 remove moles will start testing a drug that, according to the scientists who developed it, can mend their skin without leaving a trace." (The Guardian Weekly, March 25-31, 2011).

"A study has found that one of every four children in central Harlem has asthma, which is double the rate researchers expected to find and, experts say, is one of the highest rates ever documented for an American neighborhood." (The New York Times, April 19, 2013).

"Days of cold clear skies with a drying wind and the floods are all but forgotten. That wild spirit of the river has dived to underwater caves with wrecks and bones and broods there waiting for the next storms. Along the riverbanks canada geese are setting up their nesting sites, and apart from a few fugitive puddles, it is as if the floods never happened." (The Guardian Weekly, March 4-10, 2010).

"Morua Kgoma, 62, has picked a pounchful of tasty berries. He has also plucked fresh, pulpy leaves and pounded them in a mortar to make a kind of a bush pesto. With long fingers he expertly uncovers tubers that look like new potatoes and small onions. He will roast them over a fire for an evening meal. 'There is lots of food here,' he says. 'We can always survive here. We 69 know where to find

our food. This is where we were born and where we belong.” (The Guardian Weekly, March 18-24, 2010).

“A lean, 45-year-old mountaineer and entrepreneur, Tim is a strong-looking man. He will have to be. Next summer he and his project partner, former UK squad kayaker Geoff 70 Shacklock-Evans, plan to spend several weeks on an iceberg being towed by a kite.” (The Guardian Weekly, March 25-31, 2010).

“It was 8.15 and the sun was already beating down on the dusty road as I carefully executed a three-point turn, ‘OK,’ said Mr Johnson, my driving instructor, ‘lessgo,’ and I drove straight ahead.” (The Guardian Weekly, March 18-24, 2011)

“From the air, the storm’s capriciousness came clear: here, a hamlet devastated by flood, wind and sand: a mile away, a town untouched.” (The New York Times, Sep. 20, 2013).

“On the embankment we awaited the noon start in the shadow of the Cleopatra’s needle . . .” (The Guardian Weekly, Feb. 20-26, 2013)

“His round face and smile and rapid, articulate style of speaking remind me, oddly, of Muhammad Ali.” (The Guardian Weekly, May 1-7, 2013).

"In Washington, Mr. Bush challenged Muslims who live under oppressive and corrupt rulers to throw off that yoke. . . ." (The Daily Telegraph, Nov. 21, 2013).

He had none of the qualities that owed me when I watched President Clinton arrive in Britain eight years ago.” (The Daily Telegraph, Nov. 21, 2013).

“My colleague Andrew Mckie, the obituaries editor of this newspaper, was on the train to King’s Cross the other day when he noticed that the woman sitting next to him, of Middle Eastern appearance, was reading a manual giving instructions on the quantity of explosives required to make a bomb.” (The Daily Telegraph, Nov. 12, 2013).

“‘I’m still paying for groceries I bought for my family years ago,’ said Julie Pickett.” (The New York Times, Feb. 15, 2013).

. “As one general tried to reassure Congress that she respects the military, the other general tried to reassure Congress that the military respects civilians.” (New York Times, June 29, 2010).

“Throughout most of their conflict, Arab and Israeli leaders have tended to oscillate between two, and only two, worldviews: I am weak; how can I compromise? I am strong; why should I compromise? Israel today is very much in the second mode.” (New York Times, 25 June, 2011)

“For both Russia and Georgia, the stakes are higher than just boosting patriotism among their people. The war shook the world’s trust in each country, and both Moscow and Tbilisi are eager to stitch those wounds.” (New York Times, August 6, 2011).

“The advance into Georgia proper fed fears that Moscow aimed to take the entire country that had once been part of the Russian Empire.” (New York Times, Aug. 6, 2009). “The European Union said Monday that it would resume negotiations with Russia that it had halted following Russia’s invasion of Georgia...” (New York Times, Nov. 11, 2011).

“The accounts are neither fully conclusive nor broad enough to settle the many lingering disputes over blame in a war that hardened relations between the Kremlin and the West. But they raise questions about the accuracy and honesty of Georgia’s insistence that its shelling of Tskhinvali, the capital of the breakaway region of South Ossetia, was a precise operation. Georgia has variously defended the shelling as necessary to stop heavy Ossetian shelling of Georgian villages, bring order to the region or counter a Russian invasion.” (New York Times, Nov. 7, 2011)

“But even though European monitors have long been on the ground, Russia still holds large areas that had irrefutably been under Georgian control, and thousands of Georgians have not been allowed free access to homes far from the disputed territory where the war began.” (New York Times, April 3, 2012).

“The Georgians have been quite clear that they were shelling targets – the mayor’s office, police headquarters –that had been used for military purposes,” said Matthew J. Bryza, a deputy assistant secretary of state and one of Mr. Saakashvili’s vocal supporters in Washington.” (New York Times, Nov. 7, 2011).

“ [Joe Biden] He noted the largess of Americans- “they said, ‘It’s OK., take my money, raise my taxes’” – in pledging \$1 billion in aid to Georgia after the war. Only five million people live in Georgia, making it one of the highest per capita recipients of American aid in the world.” (New York Times, July 24, 2011).

“Mr. Biden intends to make it clear on this trip that the United States will not abandon its allies in deference to Russia, said one of his senior advisers. ‘We will continue to reject the notion of spheres of influence,’ Antony J. Blinken, Mr. Biden’s national security adviser, said in a conference call with reporters last week. ‘We will continue to stand by the principle that sovereign democracies have the right to make their own decisions and choose their own partnerships and alliances.’” (New York Times, July 21, 2011).

“His [Joe Biden’s] visit after President Obama’s meeting with the Russian president, Dmitri A. Medvedev, in Moscow, is aimed at reassuring the countries that American support will remain despite an improvement in Russian relations.” (New York Times, July 21, 2012).

“War, though, would be crazy-because, it would in effect be war against Russia, whose support helped the two enclaves to achieve their quasi-secession and sustains them in it.” (The Economist, August 3, 2011)

“One of the most striking trends at the Paris fashion shows last week was the obscuring, by masks, hoods, hats and swath of fabric, of the radiant faces of the models.” (New York Times, March 5, 2011).